სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 150-51 (20192) ოთხშაბათი, 29 ივნისი, 1988 წელი. ფასი 6 კაპ.

გუშინ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციამ.

მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა.

სურათზე: კონფერენციის გახსნისას.

საქინფორმის ტელეფოტო.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

საინფორმაციო ცნობა

1988 წლის 28 ივნისს მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში საქმიან ვითარებაში, ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციამ.

წინა კონფერენციისაგან მას 47 წელი აშორებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწვეული XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია შეიკრიბა გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე, რათა პასუხი გასცეს პარტიისა და ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის კითხვებს: როგორია გარდაქმნის პირველი შედეგები, რა უნდა გაკეთდეს მის გზაზე აღმართულ დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის, როგორ უნდა გავხადოთ რევოლუციური განახლების პროცესი შეუქცევადი.

კონფერენციას წინ უძღოდა ნაყოფიერი და გულახდილი დისკუსია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების გამო. დისკუსიის დროს კომუნისტებმა და უპარტიოებმა გამოთქვეს ბევრი კონსტრუქციული წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, რომელთა მიზანია საბჭოთა საზოგადოების შემდგომი შეკავშირება და კონსოლიდაცია, გარდაქმნის გაღრმავება.

დილის 10 საათია. დელეგატები ტაშით მიესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ე. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის და ვ. მ. ჩებრიკოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს სახელით მან წინადადება შეიტანა აირჩიონ კონფერენციის პრეზიდიუმი ყრილობაზე ნაკლები რაოდენობრივი შემადგენლობით — 112 კაცი. წინადადებას ერთსულოვნად ეთანხმებიან.

კონფერენციამ აგრეთვე მიიღო წინადადება დელეგატის მანდატი მიეცეს ამხ. ვ. ი. ვიალიასს — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რომელიც ამ პოსტზე აირჩიეს საერთო-პარტიულ კონფერენციაზე დელეგატთა არჩევნების დამთავრების შემდეგ.

შემდეგ ერთხმად ჩამოაყალიბეს კონფერენციის სხვა ხელმძღვანელი ორგანოები — სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

თავმჯდომარემ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. კ. ლიგაჩოვმა გამოაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დამტკიცებული კონფერენციის დღის წესრიგი:

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგები და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები გარდაქმნის პროცესის გაღრმავებისათვის.

2. პარტიისა და საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი.

მტკიცდება კონფერენციის დღის წესრიგი და რეგლამენტი, იღებენ წინადადებას ერთიან მოხსენებაში ჩამოაყალიბონ დღის წესრიგის როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის შინაარსი.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები" დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა ტაში.

სალამოს სხდომაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი თავმჯდომარეობდა, კონფერენციის მონაწილენი შეუდგნენ მოხსენების განხილვას.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ვ. ბაკატინი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. კ. მოტორნი — ხერსონის ოლქის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. ბელიაევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ლ. ი. აბალკინი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ე. ი. ჩაზოვი — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციამ მუშაობა დაიწყო

28 ივნისს დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენცია. დარბაზში შეკრებილნი ტაშით მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ე. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს.

კონფერენციის გახსნისას მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

ჩვენს სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე არჩეულია ხუთი ათასი დელეგატი. კონფერენციაზე ჩამოვიდა 4 ათას 991 დელეგატი. დანარჩენები არ ესწრებიან საპატიო მიზეზით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ.

ჩვენ უნდა ავირჩიოთ პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები. გუშინ გაიმართა დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს სხდომა. ამ ორგანოების შემადგენლობის შესახებ წინადადებანი შემუშავებულია და წარმოდგენილია თქვენს განსახილველად. ჯერ კონფერენციის პრეზიდიუმის შესახებ. ჩვენი კონფერენციის ხასიათის გამო, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, ჩვენ დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ, კონფერენციაზე რაც შეიძლება საქმიანი ვითარება უნდა იყოს.

დელეგატები ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმს 112 კაცის შემადგენლობით. ამხანაგებო, განაგრძო მ. ს. გორბაჩოვმა, თქვენ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მდივნები, გარდა ესტონეთისა, რამდენადაც ამხანაგი ვიალიასი ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს მას შემდეგ, როცა კონფერენციის დელეგატები უკვე არჩეული იყვნენ. ჩვენ გუშინ მოვითათბირეთ და თქვენს განსახილველად შემოგვაქვს წინადადება — ეს ჩვენი უფლებაა: მივცეთ მანდატი ამხანაგ ვიალიასს, რათა ყველა პარტორგანიზაცია გვყავდეს წარმოდგენილი. ჩვენ ასეთი უფლება გვაქვს.

ვ. ი. ვიალიასს ერთხმად ირჩევენ კონფერენციის დელეგატად და პრეზიდიუმის წევრად.

შემდეგ დაიწყო სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების შემადგენლობის ჩამოყალიბება. თავმჯდომარემ ე. კ. ლიგაჩოვმა განაცხადა, რომ დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭო გვირჩევს ავირჩიოთ სამდივნო 27 კაცის შემადგენლობით.

დელეგატები ერთხმად ირჩევენ კონფერენციის სამდივნოს შემადგენლობას.

დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს წინადადებით ერთხმად ირჩევენ სარედაქციო კომისიას აგრეთვე 27 კაცის შემადგენლობით.

დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს, განაცხადა ე. კ. ლიგაჩოვმა, შემოაქვს წინადადება აირჩიონ სამანდატო კომისია 43 კაცის შემადგენლობით. მას აგრეთვე ერთხმად ირჩევენ.

დელეგატები ამტკიცებენ შემდეგ დღის წესრიგს:

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგები და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები გარდაქმნის პროცესის გაღრმავებისათვის.

პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი.

ცხადდება, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ კონფერენციაზე გამოვიდეს ერთიანი მოხსენებით დღის წესრიგის როგორც პირველ, ისე მეორე საკითხზე.

კონფერენციის დღის წესრიგსა და რეგლამენტს ერთხმად ამტკიცებენ.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **მ. ს. გორბაჩოვს.**

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები" დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

კონფერენციაზე იწყება დისკუსია. სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, პარტიის კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. ვ. ბაკატინს.** XIX საკავშირო პარტკონფერენციისათვის ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვა, თქვა მან, ნაყოფიერი იყო. კომუნისტებმა და უპარტიოებმა, სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, ბედის ადამიანებმა წამოაყენეს 75 ათასზე მეტი წინადადება.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუზბასის შრომითი კოლექტივების დიდ უმრავლესობას საჭიროდ მიაჩნია გარდაქმნა განიზომებოდეს საქმით და მხოლოდ საქმით. გარდაქმნა დიდი შრომა და დიდი პასუხისმგებლობაა. კუზბასელი მშრომელები სავსებით ეთანხმებიან მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების დასკვნებს იმის თაობაზე, რომ უნდა დავაჩქაროთ საწარმოთა მართვის დემოკრატიზაციიდან დარგების მართვის დემოკრატიზაციაზე გადასვლა. კერძოდ, აუცილებელია შეწყდეს შრომითი კოლექტივების დახრჩობა სახელმწიფო შეკვეთით. ეს შეკვეთა უთუოდ, საგეგმო დავალებაზე ნაკლები უნდა იყოს. რაც უფრო სწრაფად მივაღწევთ ამას, მით უფრო სწრაფად ვისწავლით მუშაობას არა მთლიანი მაჩვენებლისათვის, არამედ მომხმარებლისათვის.

დელეგატმა შემდეგ ილაპარაკა იმაზე, რომ საწარმოები უნდა გავათავისუფლოთ სამინისტროებისა და უწყებების დიქტატისაგან. ჯერჯერობით კი ცენტრიდან ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების დაძლევა უაღრესად ნელა და არათანამიმდევრულად წარმოებს. ასეთი მდგომარეობა გავლენას ახდენს, კერძოდ, სახსრების განაწილებაზეც, ადგილობრივ საბჭოებთან საწარმოთა კონტაქტებზეც. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება, რომ მომავალი წლიდან დავიწყოთ ადგილობრივი ბიუჯეტების სოციალურად დასაბუთებულ ფორმირებაზე გადასვლა.

ორატორმა მხარი დაუჭირა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენების დებულებას, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველმა მდივანმა უნდა გაიაროს ფარული კენჭისყრა, სანამ გახდება შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე. ეს, მიაჩნია დელეგატს, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, თითოეული კონკრეტული ხელმძღვანელის საქმიანობისადმი ორმაგი კონტროლის ქმედითი საშუალებაა.

დელეგატი დაწვრილებით შეეხო შემდეგ იმას, რომ უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერული ნამუშევრები კუზბასის მსგავსი რეგიონების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის. ასრულებენ რა დიდ როლს ქვეყნის ეკონომიკაში, მათ ყოველთვის როდი აქვთ წინსვლის ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული ორიენტირები, რაც ხელს უშლის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის უფრო სწრაფ ზრდას.

შეეხო რა საბჭოთა საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებას, დელეგატმა წამოაყენა კონკრეტული წინადადება: მისი აზრით, ადგილებზე უნდა გადავიდნენ პარტიული ბიუჯეტის ნორმატიულ ფორმირებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად განსაზღვრონ კომიტეტების საშტატო ნუსხა, მათი მუშაკების ხელფასები და განაკვეთები კონკრეტული ადგილობრივი პირობების მიხედვით. ეს თეზისი დელეგატმა დაასაბუთა მრეწველობის, მატერიალური წარმოების სხვა სფეროების მუშაკებისა და პარტიული მუშაკების შრომის

(დასასრული მე-8 გვ.).

28 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ე. კ. ლიგაჩოვი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. ვ. შჩერბიცკი, ვ. მ. ჩებრიკოვი, სკკპ ცე-

გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი

ნტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, დ. ტ. იაზოვი, ი. დ. მასლიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ფ. სოლოვიოვი, ნ. ვ. ტალიზინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ო. დ. ბაკლანოვი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, ა. ი. ლუკიანოვი, ვ. ა. მედვედევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ი. ვ. კაპიტონოვი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის პრეზიდიუმის სხვა წევრები, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები მივიდნენ ვ. ი. ლენინის — კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს იგი.

გვირგვინის წითელ ლენტზე წარწერილია: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინს სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის დელეგატებისაგან".

(საქინფორმი).

კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები

პრეზიდიუმი

აბრამიანი ო. ო.
აბროსოვი ა. ა.
ავგუსტინოვიჩი ე. ი.
ანუჩკინა რ. ა.
არუთინიანი ს. გ.
აუელბეკოვი ე. ნ.
აფანასიევი ვ. გ.
ახრომეევი ს. თ.
ბაკატინი ვ. ვ.
ბაკლანოვი ო. დ.
ბირიუკოვა ა. პ.
ბობიკინი ლ. თ.
ბოგომიაკოვი გ. პ.
ბოიკო ო. მ.
ბოროდინი ა. დ.
გელერტი ნ. ვ.
გერასიმოვი ა. ნ.
გორბაჩოვი მ. ს.
გრომიკო ა. ა.
გროსუ ს. კ.
გულოვა ზ. ხ.
დემიჩევი პ. ნ.
დობრინინი ა. თ.
დოლგიხი ვ. ი.
დროზდეცკი ე. ი.
ელისეევი ა. ს.
ვასილიევი ი. ა.
ვეზიროვი ა.-რ. ხ.
ვიალიასი ვ. ი.
ვორობიოვი ნ. ნ.
ვოროტნიკოვი ვ. ი.
ვოსკოლუპოვა ნ. ი.
ზაიკოვი ლ. ნ.
იაგოდინი გ. ა.
იაზოვი დ. ტ.
იაკოვლევი ა. ნ.
იბრაგიმოვი გ. რ.
ივანოვა გ. დ.
ივაშკო ვ. ა.
ილიზაროვი გ. ა.
კაბაიძე ვ. პ.
კალაშნიკოვი ვ. ი.
კაპიტონოვი ი. ვ.
კარპოვი ვ. ვ.
კოლბინი გ. ვ.
კოლესნიკოვი ს. ი.
კოლპაკოვი ს. ვ.
კორზიუკი ა. ტ.
კოროლიოვი ა. მ.
კრასნენკოვა ვ. თ.
კულიბეკოვი ე.
კუჟილნი ა. ვ.
ლავროვი კ. ი.
ლიგაჩოვი ე. კ.
ლიზიჩოვი ა. დ.
ლიტაუნიეცე მ. პ.
ლუკიანოვი ა. ი.
მალკოვი ნ. ი.
მანაენკოვი ი. ა.
მანიაკინი ს. ი.
მარჩუკი გ. ი.
მასალიევი ა. მ.
მასიკი კ. ი.
მასლიუკოვი ი. დ.
მახკამოვი კ.
მედვედევი ვ. ა.
მერკულოვა გ. ვ.
მესიაცი ვ. კ.
მეტონიძე ბ. ა.
მიროშნენკო ვ. ი.
მურახოვსკი ვ. ს.
ნიაზოვი ს. ა.
ნიკონოვი ვ. პ.
ნიშანოვი რ. ნ.
ნურგელდიევი ა.
ორლოვი ვ. პ.
ოსიპენი ი. პ.
ოსმინინი ს. ა.
პატიაშვილი ჯ. ი.
პატონი ბ. ე.
პოლოზკოვი ი. კ.
პოპოვი თ. ვ.
პოსტნიკოვი ვ. ი.
პუგო ბ. კ.
პუხოვა ზ. პ.
ჟალიმასი ბ. ბ.
რაგდაევი ბ. ლ.
რაზუმოვსკი გ. პ.
რომაზანი ი. ხ.
რიჟკოვი ნ. ი.
საარი ვ. ა.
საფრონოვი ს. დ.
სიდორეიკო ვ. ლ.
სლიუნკოვი ნ. ნ.
სმირნოვი ვ. პ.
სოკოლოვი ე. ე.
სოლოვიოვი ი. ფ.
სოლომენცევი მ. ს.
სონგაილა რ.-ბ. ი.
სტაროდუბცევი ვ. ა.
სტროევი ე. ს.
ტალიზინი ნ. ვ.
ტრავკინი ნ. ი.
უსმანოვი გ. ი.
უტკინი ვ. თ.
შალაევი ს. ა.
შევარდნაძე ე. ა.
შულიაკი ე. ა.
შჩერბიცკი ვ. ვ.
ჩებრიკოვი ვ. მ.
ჩურსინა გ. ა.
ხაბიბულინი რ. ს.
ხლებუშკინა ა. პ.

სამდივნო

ანიშჩევი ვ. პ.
ბატალინი ი. პ.
ბოლდინი ვ. ი.
ბრაკოვი ე. ა.
ბრაუსოვა გ. ა.
გალდეევი ა. ი.
ველიხოვი ე. პ.
ვლადიმიროვი ბ. ვ.
ვლასოვი ა. ვ.
ვოლოდინი ბ. მ.
ვორობიოვი ი. ლ.
ზაბებაევა კ. ნ.
კოვალიოვი მ. ვ.
კონოვალიოვი ბ. ვ.
მარტინი ი. ი.
მასოლი ვ. ა.
ნესტერენკო ს. მ.
პეტროვი კ. გ.
პოგორელოვი ი. ნ.
პრიმაკოვი ე. მ.
სვეტლიჩნი ნ. ი.
სოლომინი ვ. ი.
ულიანოვი მ. ა.
შევცოვა რ. მ.
შენინი ო. ს.
ჩორნი ა. კ.
ხომიაკოვი ა. ა.

სარედაქციო კომისია

არბატოვი გ. ა.
აქსიონოვი ა. ნ.
გრიშჩენკო პ. ს.
ვასნეცოვი ა. ვ.
ვოლობუევი ვ. მ.
ზორკალცევი ვ. ი.
იგრუნოვი ნ. ს.
კალდარბეკოვა ა.
კალინინი ი. პ.
კამალიდენოვი ზ.
კლაუცენი ა. პ.
კულიკოვი ვ. გ.
კუპცოვი ვ. ა.
ლაპტევი ი. დ.
ლოსევი ს. ა.
მხითარიანი გ. მ.
ნესტერიუკი ა. თ.
პონომარიოვი ა. თ.
რევენკო გ. ი.
სკლიაროვი ი. ა.
სუხორუჩენკოვა გ. თ.
ტერეშკოვა ვ. ვ.
შაკოლინა ლ. თ.
შაპოვალოვი ო. ბ.
შარინი ლ. ვ.
შჩერბინა ბ. ე.
ხარლამოვი ა. პ.

სამანდატო კომისია

ბასანოვი ბ. მ.
ბელიაკოვი ი. ა.
ბიკენინი ნ. ბ.
ბოლდირევი ი. ს.
ბოროვიკი გ. ა.
ბრაუნი ა. გ.
გაგაროვი დ. ნ.
გულამოვი რ.
დადოვი ს. ა.
ზალეცკასი კ. ვ.
იუსუპოვი მ. ი.
კაბასინი გ. ს.
კავუნი ვ. მ.
კამაი ა. ს.
კამენცევი ვ. მ.
კატიკი ს. ა.
კნიაზიუკი მ. ა.
კოვალენკო ლ. ა.
კოლესნიკოვი ვ. გ.
კოპტიუგი ვ. ა.
კოჟახმეტოვი ი.
კუბაშევი ს.
კუზნეცოვა ს. ა.
ლიტვინცევი ი. ი.
ლუშევი პ. გ.
მურახოვა ა. ვ.
ნიკოლსკი ბ. ვ.
ოსინოვსკი ნ. პ.
პლეტნიოვა ვ. ნ.
რაზუმოვი ე. ზ.
რაზუმოვსკი გ. პ.
სილაევი ი. ს.
სოლომინი ი. მ.
სტეპანოვი ვ. ს.
სულეიმანოვი ს. მ.
ტარაზევიჩი გ. ს.
ტიტარენკო ა. ა.
ტოდოროვი ვ. ვ.
ულანოვი ბ. ი.
ფილიპოვა ა. ე.
ფომინი ბ. ი.
ხაბიბულაევი პ.
ხაჩატრიანი ვ. ს.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე 1988 წლის 28 ივნისს

ამხანაგო დელეგატებო!

როგორ გავაღრმაოთ და გავხადოთ შეუქცევადი რევოლუციური გარდაქმნა, რომელიც პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიშალა ჩვენს ქვეყანაში, — აი ჩვენ წინაშე, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატების წინაშე მდგომი ძირეული საკითხი.

ეს საკითხი თვით ცხოვრებამ წამოჭრა. მას ფართოდ განიხილავენ პარტია და ხალხი. და იმაზე, თუ რამდენად სწორ პასუხს გავცემთ მას, დამოკიდებულია, შეუძლია თუ არა პარტიას შეასრულოს პოლიტიკური ავანგარდის როლი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე.

ჩვენი ცხოვრების ამ ბოლო სამ წელიწადს სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ შემობრუნების წლები. პარტიის, მშრომელთა ძალისხმევით მოვახერხეთ შეგვეჩერებინა ქვეყნის დაქანება კრიზისისაკენ ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში. საზოგადოებამ ახლა უკეთ იცის, მას ახლა უკეთ ესმის თავისი წარსული, აწმყო და მომავალი. კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში გაშლილი გარდაქმნის პოლიტიკა მილიონთა პრაქტიკული საქმე ხდება. ეს არის ქვეყნის პოლიტიკური ვითარების არსი.

ჩვენ ვხედავთ, როგორ გამოცოცხლდა საზოგადოება. უფრო მრავალფეროვანი, უფრო საინტერესო და მდიდარი გახდა ქვეყნის სულიერი ცხოვრება. ახლებურად გვესმის კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის მრავალი იდეა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ან ცალმხრივად აღიქმებოდა, ანდა სულაც მიჩუმათებული იყო. დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიმდინარეობს მეცნიერული, ჰუმანური სოციალიზმის შემოქმედებითი საწყისის აღორძინება.

ადამიანებმა იგრძნეს საკუთარი პასუხისმგებლობა, თავისუფლდებიან აპათიისა და გაუცხოებისაგან. განახლების სიო განამტკიცებს ხალხის ზნეობრივ სიჯანსაღეს. დემოკრატიზაციამ გამოათავისუფლა აზრების, ემოციების, ინიციატივების მძლავრი ნაკადი. სიმართლისა და საჯაროობის დამკვიდრება წმენდს საზოგადოებრივ ატმოსფეროს, ფრთას ასხამს ადამიანებს, ათავისუფლებს შეგნებას, სტიმულს აძლევს აქტიურ საქმიანობას.

ეს, ამხანაგებო, მკაფიო, შთამბეჭდავი პროცესია, რომელშიც ჩართულია ყოველივე პატიოსანი, მოწინავე, რაც აქვს ჩვენს ხალხს. მიმდინარეობს რევოლუციური განახლების ძალთა კონსოლიდაცია. ადამიანებმა იწამეს გარდაქმნა, ისინი მოითხოვენ განუხრელად ვიაროთ წინ და მხოლოდ წინ.

დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას იჩენს მუშათა კლასი. ჩვენს ცხოვრებაში უჩვეულოს, ახლისა და რთულის შემოჭრის პროცესში იგი კვლავ ცხადყოფს თავის შესანიშნავ პოლიტიკურ და მორალურ თვისებებს, იჩენს ნამდვილად მოქალაქეობრივ, სახელმწიფოებრივ მიდგომას საქმეებისადმი, შრომით გამოხატავს გარდაქმნის მხარდაჭერას. მუშათა კლასის ეს პოზიცია საშუალებას აძლევს პარტიას გულდაჯერებით განახორციელოს რევოლუციური გარდაქმნები.

დიდი დაინტერესებით გამოგვეხმაურა გლეხობა. კოლმეურნეთა ყრილობამ ცხადყო, რა მძლავრი გარდამქმნელი ენერგია აქვს მას. გარდაქმნის ქომაგები სოფლის მეურნეობაში გაბედულად ნერგავენ მუშაობის ახალ ფორმებს, აღიჭურვებიან მეცნიერებით, ეფექტიანი ტექნოლოგიით, ავლენენ მზადყოფნას მოსინჯონ, ეძებონ და რისკიც კი გასწიონ ახალი საქმის გულისთვის, სრული უკუგებით, პასუხისმგებლურად და უნარიანად იმუშაონ საკუთარი თავისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

გარდაქმნამ დაადასტურა ლენინის ცნობილი დებულება ინტელიგენციის გამწვავებული სოციალური გულისხმიერების, საზოგადოებრივი ცვლილებებისადმი მისი თანაგრძნობის შესახებ. იგი მხურვალედ გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას, რომ სრულად ჩავაყენოთ გარდაქმნის სამსახურში საზოგადოების ინტელექტუალური, სულიერი პოტენციალი. ინტელიგენციამ გულწრფელად დაუჭირა მხარი XXVII ყრილობის მიერ მოცემულ სიმართლის გაკვეთილს. უკანასკნელი სამი წლის პარტიულ გადაწყვეტილებებს იგი ღრმა გაგებით მოეკიდა.

მაშ ასე, აპრილის შემდგომი პერიოდის მთავარი პოლიტიკური შედეგია მთელი საზოგადოებრივი ატმოსფეროს შეცვლა, განახლების იდეების დაწყებული მატერიალიზაცია, საბჭოთა ხალხის მხრივ პარტიის მიერ აღებული გარდაქმნის კურსის მზარდი მხარდაჭერა.

მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ ყველგან და სრული სვლით მიმდინარეობს ძვრები უკეთესობისაკენ, რომ რევოლუციური ცვლილებები შეუქცევადი გახდა?

არა, არ ნიშნავს. თუ ჩვენ გვსურს დავრჩეთ რეალურ ნიადაგზე, უნდა ვაღიაროთ: ეს ჯერ არ მომხდარა, ამხანაგებო. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ დამუხრუჭების ღრმა მიზეზები, ყველგან ვერ გამოვიყენეთ, ხოლო ზოგჯერ ვერ გამოვიმუშავეთ განახლების მექანიზმები. მრავალი პარტიული ორგანიზაციის ქმედითობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნის ამოცანათა დონეზე. საჭიროა ახალი, თვისებრივი ცვლილებები ჩვენს განვითარებაში, ეს კი მოითხოვს კარდინალურ გადაწყვეტებს, აქტიურ და ინიციატივიან მოქმედებას.

ჩვენ წინაშე დღეს მრავალი რთული საკითხია. მაგრამ რომელია მათ შორის მთავარი? სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთი საკითხია ჩვენი პოლიტიკური სისტემის რეფორმა.

ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი პლატფორმა ჩამოაყალიბა კონფერენციის თეზისებში. აქ დასახული არ იყო ამოცანა ყველაფერზე მზა პასუხი გაგვეცა. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ განხილვის მსვლელობაში წარმოიშობა ახალი იდეები და წინადადებები, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინოს კონფერენციამ. და მაშინ მისი გადაწყვეტილებები მთელი პარტიისა და ხალხის კოლექტიური შემოქმედების ნამდვილი შედეგი იქნება.

ამრიგად, ჩვენი კონფერენციის პოლიტიკური მიზანია ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით და დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყოველმხრივ და კრიტიკულად გავიაზროთ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის და სკკპ XXVII ყრილობის შემდგომი პერიოდი, გავამდიდროთ სტრატეგია და დავაკონკრეტოთ ჩვენი გარდაქმნების ტაქტიკა, განვსაზღვროთ მუშაობის გზები, ფორმები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფდა გარდაქმნის განუხრელ განვითარებასა და შეუქცევადობას.

I. განვავითაროთ და გავაღრმაოთ გარდაქმნა

1. თვითკრიტიკულად შევაფასოთ მიღწეული

ამხანაგებო! რევოლუციური განახლების პროცესი სულ უფრო ღრმად აღწევს ცხოვრების გადამწყვეტ სფეროში — ეკონომიკაში.

ჩვენ ხელი მოვკიდეთ სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის ღრმა, თავისი მიზნებით და მასშტაბებით ჭეშმარიტად რადიკალურ რეფორმას. ეკონომიკის პირველადი რგოლების მნიშვნელოვანი ნაწილი ითვისებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის შესაბამისად. ახლახან მიღებული კანონი სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ სახავს ქვეყნის ეკონომიკაში დიდი კოოპერაციული სექტორის შექმნის, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კოოპერაციის მრავალფეროვანი ფორმების ფართო გამოყენების გზას.

დაიწყო შრომითი, შიდასაწარმოო ურთიერთობის გარდაქმნა იჯარისა და ნარდად მუშაობის საფუძველზე, რაც საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ საზოგადოებრივი საკუთრების უპირატესობანი ადამიანის პირად ინტერესებთან, საქმისადმი მის ყაირათიან დამოკიდებულებასთან, მოქალაქეობრივ თვითდამკვიდრებასთან. საგრძნობი იმპულსი მიეცა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას.

მიღებულია პრინციპული ხასიათის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის და სოციალური სფეროს ძირითად დარგებში გარდაქმნის მიმართულებებს, რომლებსაც ხორცი ესხმება.

ეკონომიკა თანდათანობით ძალას იკრებს. შარშან ეროვნული შემოსავლის მთელი მატება პირველად მივიღეთ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. განახლდა მშრომელთა რეალური შემოსავლის ზრდა: მიმდინარე ხუთწლედის ორ წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე იგი 4,6 პროცენტით გაიზარდა.

მეთერთმეტე ხუთწლედთან შედარებით ყოველწლიურად 15 მილიონი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი სახლები გადაიცემა საექსპლოატაციოდ. ჩვენ სერიოზულად მოვკიდეთ ხელი სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რეორგანიზაციას. გაიზარდა შობადობა და შემცირდა სიკვდილიანობა, რაც მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღების ტენდენცია წელსაც ვითარდება. ეროვნული შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, ამასთან აბსოლუტურად მცირდება მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვი.

უპირატესი ტემპით იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესრულებინა საქონელბრუნვის მოცულობის ხუთი თვის დავალება. გაყიდულია 5,9 პროცენტით მეტი სასურსათო პროდუქტები და არასასურსათო საქონელი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 13,5 პროცენტით გაიზარდა.

დაჩქარდა საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. აშენდა 6 პროცენტით მეტი ბინები და სახლები, 22 პროცენტით მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, თითქმის მესამედით მეტი სკოლამდელი დაწესებულებები, კლუბები და კულტურის სახლები, 2-ჯერ მეტი საავადმყოფოები.

ყოველივე ეს გარდაქმნის რეალური ნაყოფია. მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, მოვალენი ვართ თვითკრიტიკულნი ვიყოთ, მკაფიოდ ვხედავდეთ, რომ, ყველა პოზიტიური მომენტის მიუხედავად, ეკონომიკის საქმის მდგომარეობა ნელა იცვლება, განსაკუთრებით, თუ ვიმსჯელებთ საბოლოო შედეგით — ხალხის ცხოვრების დონით.

რა არის ამის მიზეზები?

გულახდილად უნდა ვთქვათ, ამხანაგებო: ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ წარსული წლების დეფორმაციებისა და უძრაობის მთელი სიღრმე და სიმძიმე. ბევრი რამ უბრალოდ არ ვიცოდით და მხოლოდ ახლა ვხედავთ: ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში საქმის ხელმიშვებულობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად წარმოგვედგინა.

თუ რამდენად სერიოზულია სიტუაცია, ჩანს, კერძოდ, ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაში. მრავალი წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები შემოსავალზე უფრო სწრაფად იზრდებოდა. ბიუჯეტის დეფიციტი ზეგავლენას ახდენს ბაზარზე, არყევს მანეთისა და მთელი ფულის მიმოქცევის სტაბილურობას, წარმოშობს ინფლაციურ პროცესებს.

მაინც ვფიქრობ, რომ, როცა წარსულის შეცდომებსა და მწარე გაკვეთილებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არანაკლები მომთხოვნელობით და პრინციპულად, ვიდრე წინამორბედებს, უნდა მოვეკიდოთ საკუთარ თავს, აწმყოს, გავაანალიზოთ არა მარტო წარმატებანი, არამედ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენი საქმიანობის შეცდომები და გაკვეთილებიც, გარდაქმნის მსვლელობაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები. და ამ თვალსაზრისით თვითკრიტიკულად უნდა ვთქვათ: სამი წლის მანძილზე ჩვენ შეგვეძლო მნიშვნელოვანი მეტი გაგვეკეთებინა, ვიდრე გავაკეთეთ გარდაქმნის მთავარი მიმართულებებით, უწინარესად ჩვენი ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის, მისი საბოლოო შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით.

ეს ხომ ფაქტია, რომ დღესაც ქვეყანა ეროვნული შემოსავლის ერთეულზე განგარიშებით კვლავ მეტისმეტად ბევრ სათბობს, ელექტროენერგიას და ლითონს ხარჯავს. აქედან მომდინარეობს რესურსების დეფიციტი მათი წარმოების დიდი მოცულობების პირობებში, რაც გვაიძულებს სულ ახალ-ახალი სახსრები გამოვყოთ სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული ბაზის ზრდისათვის.

ამ მანკიერი წრიდან თავის დასაღწევად, ჩვენ დავიწყეთ სამამულო მანქანათმშენებლობის — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გადამწყვეტი პირობის — ძირეული მოდერნიზაცია. ეს, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო პროგრამაა. იგი მოითხოვს არაორდინარულ ძალისხმევას, და არა მარტო თვით მანქანათმშენებლობაში, არამედ ქიმიურ მრეწველობაშიც, მეტალურგიაში, სხვა დარგებში, და, რაღა თქმა უნდა, მეცნიერული კვლევისა და ნამუშევრების სფეროში. მუშაობა აქ გაიშალა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დასახულ ამოცანათა მასშტაბს, წარმოებს ნელა, განსაკუთრებით ისეთი ავანგარდული მიმართულებებით, როგორიც არის მიკროელექტრონიკა, კომპიუტერული ტექნიკა, პროგრესული მასალების შექმნა. ამისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროსა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, დარგის ხელმძღვანელ კადრებს. ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებებიც საერთოდ ნელა ხდება. ეს კი ნიშნავს, რომ აქ შენარჩუნებულია წარსულში დაგროვილი პრობლემების უმრავლესობა. მაგრამ ესეც ხომ ეკონომიკის ხელმძღვანელობისადმი ახლანდელი მიდგომების ასახვაა.

და კიდევ. ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, როგორც გახსოვთ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა ხანგრძლივი სტრატეგიული მიზნების მიღწევა შევუხამოთ ხალხის ყოველდღიური მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. სტრუქტურული გარდაქმნა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა ფუნდამენტური პროცესებია. ისინი მოითხოვს დროს, დიდ ძალისხმევასა და სახსრებს. ამ ამოცანების რომ გადაწყვიტოთ, ამავე დროს დაუყოვნებლივ უნდა გადავჭრათ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გადაუდებელი პრობლემებიც. ეს გეზი მოლიანად გამომდინარეობს პარტიის XXVII ყრილობის დებულებებიდან ჩვენი განვითარების სოციალური მიმართულების გაძლიერების შესახებ.

როგორ წყდება ეს ამოცანები?

დავიწყებ სასურსათო პრობლემით, რადგან ეს, ალბათ, საზოგადოების ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეული წერტილი, ყველაზე მწვავე პრობლემაა.

გარკვეული ძვრები აქაც არის. მაგრამ ისინი ვერ დაგვაკმაყოფილებს. არსებითად, სურსათის ის ზრდა, რომელსაც მივაღწიეთ, მნიშვნელოვანწილად მოხმარდა მოსახლეობის მატებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს კი ნიშნავს, ამხანაგებო, რომ ჩვენ გვჭირდება სასურსათო რესურსების ზრდის სხვა, უფრო სწრაფი ტემპი. ჩვენ არა გვაქვს არც მორალური, არც პოლიტიკური უფლება შევურიგდეთ სასურსათო პრობლემის გაჭიანურებულ გადაჭრას.

ისმება სამართლიანი კითხვა: რატომ ვერ ვახერხებთ ამდენ ხანს წინსვლას აქ? უთუოდ, ბევრ მიზეზს ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულში, როცა სერიოზულად შეირყა სოფლის განვითარების საფუძვლები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს ახლანდელ ხარვეზებს სოფლის მეურნეობაში. თითქოსდა, ყველა კვანძი გახსნილია, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, რაიონებს, ოლქებს, რესპუბლიკებს მინიჭებული აქვთ უფართოესი უფლებები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გასაზრდელად, სასურველი შედეგი კი ჯერ არ ჩანს. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროის მრავალი გადაწყვეტილება აწყდება გაუგებრობას, გაჭიანურებას მათი რეალიზაციაში, ყოველგვარ ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს, ზოგჯერ კი, უბრალოდ ახლებურად მუშაობის სურვილის უქონლობას.

ამგვარი დასკვნის მართლზომიერებას ადასტურებს განსხვავებანი ერთნაირი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე მრავალი რეგიონის საქმიანობის შედეგებში. სადაც ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საქმეს, სადაც ნამდვილად იყენებენ ახალ შესაძლებლობებს, იქ მდგომარეობა საგრძნობლად სწორდება. აიღეთ ბელორუსია, ლიტვა, ალტაის მხარე, ბელგოროდის, ვოლგოგრადის, ქუიბიშევის, ლიპეცკის, ორიოლის, ხმელნიცკის, ცელინოგრადის ოლქები. აქ სტაბილურად იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რამაც საშუალება მოგვცა საგრძნობლად გაგვეუმჯობესებინა სურსათით მომარაგება.

მაგრამ რატომ შეძლეს გაეუმჯობესებინათ მოსახლეობის სასურსათო მომარაგება ბელგოროდის ოლქში და ვერ შეძლეს ეს მეზობელ კურსკის ოლქში? რატომ გაზარდეს ცელინოგრადის ოლქის სოფლების მშრომელებმა ვაჭრობისათვის ხორცის, რძის, ბოსტნეულის მიწოდება, ხოლო ჩრდილოეთ ყაზახეთისა და ზოგიერთ სხვა მეზობელ ოლქებში ეს ვერ ქნეს?

ამგვარი მაგალითები, ამხანაგებო, როგორც იტყვიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. უფრო მეტიც, ვოლოგდის, კალინინგრადის, კიროვოგრადის, კურგანის, იაროსლავლის ოლქებში, ყალმუხეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემცირეს კიდეც მრავალი სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება. უძრაობის მოვლენები კვლავ არის უზბეკეთის, მოლდავეთის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში. მაშასადამე, ბევრ რამეს განსაზღვრავს საქმისადმი დამოკიდებულება, ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა, მეურნეობის ახლებურად გაძღოლის უნარი.

ვფიქრობ, სასურსათო საქმის გაუმჯობესების გზების ძიება უნდა განვაგრძოთ ყველგან და, უწინარეს ყოვლისა, იმ ოლქებსა და რესპუბლიკებში, სადაც მდგომარეობა არ იცვლება ან ნელა უმჯობესდება. ამასთან ეს უნდა ვქნათ საჯაროდ — სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე.

რას უნდა მივაპყროთ ძირითადი ყურადღება? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სურსათის სიუხვის მიღწევის უმოკლესი და საიმედო გზაა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების საიჯარო და სხვა ეფექტიანი ფორმების ფართო, ყველგან დანერგვა. ეს არის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ძირული რგოლი.

სანარდო და საიჯარო კოლექტივების მუშაობის შედეგებმა გვიჩვენა, რომ შედარებით მოკლე დროში შეიძლება სწრაფად გავზარდოთ მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, არსებითად მოვუმატოთ შრომის ნაყოფიერებას, შევამციროთ დანაკარგები და მივიღოთ კარგი ხარისხის პროდუქტები. სწორედ ეს გამოცდილება, ამხანაგებო, შეიცავს პასუხს მთავარ კითხვაზე რა ვადებში გადაჭრის ქვეყანა სასურსათო პრობლემას. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დავაინტერესებთ ადამიანებს და მოვაგვარებთ სანარდო და საიჯარო კოლექტივების მუშაობას, რამდენად ფართოდ ჩავაბამთ სოფლის მშრომელებს ამ პროცესში, გავხდით გლეხს მიწის ნამდვილ ბატონ-პატრონად.

რა თქმა უნდა, ამასთან ერთად უნდა განვაგრძოთ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გეზი. გადაუდებელი ხასიათისაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებანი. თუ ჩვენ შევძლებთ დროზე ავიღოთ, გადავიტანოთ, შევინარჩუნოთ და გადავამუშაოთ მოსავალი, დროულად მივაწოდოთ პროდუქცია მომხმარებელს, მაშინ მინდვრებისა და ფერმების პროდუქტიულობის ახლანდელი დონის პირობებში შესაძლებელი იქნება 20-30 პროცენტით გაიზარდოს სასურსათო პროდუქტების მოხმარება.

ეს აშკარა რეზერვი უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ შევიმუშავეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესების კონკრეტული პროგრამა და ამ მიზნებისათვის მეთორმეტე ხუთწლედის დარჩენილ წლებში და მეცამეტე ხუთწლედისათვის გამოვყავით 77 მილიარდი მანეთი. ახლა უნარიანად უნდა მოვაწყოთ საქმე, ეფექტიანად გამოვიყენოთ ეს რესურსები, რომ მოკლე დროში მკვეთრად გამოვასწოროთ მდგომარეობა.

კოოპერაციის ფართო განვითარება, სამეურნეო ანგარიში, სანარდო იჯარის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვა ობიექტურად მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვაში. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროსამრეწველო ორგანოებს ახლანდელი სახით რაიონებსა და ოლქებში ყველი გაუდით. როგორც ჩანს, უნდა ვიაროთ ცხოვრების მიერ ნაკარნახევი გზით, რომელსაც, ტულელ მხვნელ-მთესველთა მაგალითისამებრ, უკვე დაადგა მრავალი რაიონი, ოლქი და რესპუბლიკა. მხედველობაში მაქვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნებაყოფლობითი გაერთიანება მართვის ერთობლივი სამსახურებისა და ორგანოების შექმნისათვის. სოფლის მშრომელებმა უფრო კარგად იციან მართვისა და მომსახურების ორგანიზაციის როგორი ფორმები სჭირდებათ.

რაც შეეხება საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, მათი ამოცანა ის არის, რომ დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ მეურნეობებს სოფლად გარდაქმნაში, მართვის მეთოდების ძირეულ შეცვლაში. ხოლო ის მუშაკები, რომლებიც ამუხრუჭებენ საქმეს, გზას უღობავენ ახალს, როგორც უკვე ითქვა კოლმეურნეთა ყრილობაზე, საბოლოოდ უნდა ჩამოვიშოროთ გზიდან.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. რა რესურსებიც უნდა მოვახმაროთ სოფლის მეურნეობას, ისინი ჯეროვან უკუგებას არ მოგვცემენ, თუ არ ვიზრუნებთ ადამიანისათვის, მისი შრომისა და ყოფის პირობებისათვის. საგანგებოდ მინდა შევეხო სოფლის სოციალურ განვითარებას. აქ საზოგადოებას საკმაო ვალი აქვს სოფლის მცხოვრების წინაშე. მრავალ რაიონში საბინაო, სოციალურ-კულტურული პირობები, სოფლის სამედიცინო მომსახურება დაბალ დონეზეა. ამას უნდა დავუმატოთ სოფლის სახლების არადამაკმაყოფილებელი მოწყობა, სიძნელეები ენერგომომარაგებასთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით, გზების ცუდი მდგომარეობა.

მიმდინარე ხუთწლედში ხორციელდება, როგორც არასდროს, სოფლის სოციალური სფეროს გაუმჯობესების დიდი ღონისძიებანი. გარდაქმნების ვრცელი პროგრამა ხორციელდება, კერძოდ, ქვეყნის ისეთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, როგორიც არის რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონა. სოფლის მშრომელებმა უკვე უახლოეს წლებში ყველგან უნდა იგრძნონ ცხოვრებისა და შრომის პირობების რეალური შეცვლა. ეს გეზი თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ მომავალშიც. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახაგრომრეწვმა ამის საფუძველზე უნდა მოამზადონ მეცამეტე ხუთწლედის გეგმა.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, აგრარული პოლიტიკის არსი მიმდინარე ეტაპზე ის არის, რომ შევცვალოთ წარმოებითი ურთიერთობა თვით სოფლად. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ეკონომიკური წონასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის, ყოველნაირად გამოვავლინოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პოტენციალი იჯარისა და სანარდო მუშაობის მრავალფეროვანი ფორმების განვითარების მეშვეობით, დავძლიოთ გლეხის გაუცხოება მიწისაგან, გავხადოთ იგი მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, დავიცვათ ყოველგვარი მბრძანებლობისაგან, კარდინალურად შევცვალოთ სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობები. მხოლოდ ამ საფუძველზე შეგვიძლია მკვეთრად გავზარდოთ აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობა, უზრუნველვყოთ ქვეყანაში სასურსათო მომარაგების ძირეული გაუმჯობესება.

საბინაო პრობლემის შესახებ. ჩვენ შევუდექით უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას — 2000 წლისათვის უზრუნველვყოთ პრაქტიკულად ყოველი ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით. ამისათვის, როგორც ცნობილია, უნდა ავაშენოთ 35 მილიონზე მეტი ბინა და სახლი. თუმცა ვითარება ბინების მშენებლობაში უმჯობესდება, მაგრამ იგი მეტად დაძაბული რჩება, ხალხი წლობით ელოდება ბინას.

ამასთან დაკავშირებით მივმართეთ არაორდინარულ გადაწყვეტებს — არსებითად გავზარდეთ ახალი სახლებისა და ბინების მშენებლობის მასშტაბი სახელმწიფო რესურსების ხარჯზე, ამასთან შევამცირეთ საწარმოო მშენებლობის კაპიტალდაბანდებანი. აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადასული შრომითი კოლექტივების სახსრების ხარჯზე. პრაქტიკული ღონისძიებანი განხორციელდა კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის. მათი არსი ის არის, რომ გავითვალისწინოთ ადამიანთა სურვილები შეიძინონ კოოპერაციული ბინა ან საკუთარი სახლი. ამ მიზნით გაუქმდა ყველა აკრძალვა და შეზღუდვა ნაგებობათა ოდენობასა და მათს სართულიანობაზე. დაე ადამიანებმა თავიანთი შრომითი სახსრებით ააშენონ ის, რაც სჭირდებათ, მათი დღევანდელი და მომავალი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ვფიქრობ, დასაბუთებულია მრავალი წინადადებაც იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოისყიდონ სახელმწიფოსაგან ბინები, რომლებიც მათ უკავიათ, მემკვიდრეობით მათი გადაცემის უფლებით.

საბინაო პრობლემის შესახებ. ჩვენ შევუდექით უაღრესად მნიშვეტილებანი საბჭოთა ადამიანებმა მოიწონეს. საქმე ყველგან უმჯობესდება, მაგრამ წარმოიშობა ახალი პრობლემებიც. გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამშენ მასალათა მრეწველობის ბაზის განვითარების დონე. და აქ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რომლებიც აქვთ ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული მანქანათმშენებლებზეც, რომლებიც ვალდებული არიან ყველაზე თანამედროვე ტექნიკა და მოწყობილობა მიაწოდონ მშენებლებსა და სამშენ მასალათა ინდუსტრიის საწარმოებს. ყოველივე ეს უნდა გადავწყვიტოთ დაუყოვნებლივ, საქმიანად.

და ბოლოს, სახალხო მოხმარების საქონლის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს განვითარების შესახებ. ცვლილებანი, რომლებიც აქ იგრძნობა, არ ხსნიან მთავარ პრობლემას — საქონლის მიწოდება და მომსახურება კვლავ ჩამორჩება მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდას, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია როგორც ამ სფეროს მეშვეობით, ისე მისდამი დამოკიდებულებითაც.

ბევრი რამ არის დამოკიდებული მსუბუქი მრეწველობის მუშაობაზე. დღეს ჩვენ, როგორც იტყვიან, ვიმკით ამ დარგის განვითარებისადმი მრავალი წლის აგდებული დამოკიდებულების ნაყოფს. მის საწარმოებში გამოიყენება მოძველებული მოწყობილობა, ბევრია მძიმე ხელის შრომა. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მწარმოებლობაზე, პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე, კადრების სტაბილურობაზე. ახლა განხორციელებულია ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა. გამოყოფილია დიდი სახსრები. საწარმოთა მოდერნიზაცია ხდება როგორც საბჭოური, ისე იმპორტული მოწყობილობის გამოყენებით.

მაგრამ არის სხვა მიზეზებიც. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ნელი ზრდა ბევრად აიხსნება ჩვენი ეკონომიკური მექანიზმის გაუმართაობით, სუსტი სტიმულებით. საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა უმრავლესობას, რომლებმაც ბაზარს უნდა მიაწოდონ ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი, ეს ამოცანა მიაჩნიათ მეორეხარისხოვნად, ცდილობენ ყოველგვარი საბაბით თავი აარიდონ მის გადაწყვეტას.

ჩვენ მოკლე დროში უნდა შევქმნათ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების თანამედროვე და მძლავრი ინდუსტრია. ეს ეხება არა მარტო მსუბუქ მრეწველობას, არამედ თავდაცვით ქარხნებსაც, მძიმე ინდუსტრიის საწარმოებს, რომელთა წვლილი სამომხმარებლო საქონლის წარმოებასა და მიწოდებაში გადაჭრით უნდა გაიზარდოს. და საქმე ეხება არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფისათვის აკისრიათ ადგილობრივ ორგანოებს. რესპუბლიკებსა და ოლქებში არის ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენების გზით ბაზრის საქონლით უხვად უზრუნველყოფის საქმეში ნამდვილი ინიციატივისა და ფხიანობის მრავალი მაგალითი. და მაინც მრავალ რეგიონში საკმაოდ ძლიერია სხვისი მოიმედეობის განწყობილებანი, ცდები მიიღონ ფონდები იმ საქონელზეც კი, რომელთა წარმოება სავსებით შესაძლებელია ადგილზე. ასეთი პოზიცია მიუტევებელია ახლა, როცა დაისახა ფართო შესაძლებლობანი კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებისათვის. იქ, სადაც ამას დროულად მიხვდნენ და შექმნეს საჭირო პირობები, შედეგებსაც მიაღწიეს, ჩნდება ახალი საქონელი და მომსახურების სახეობანი. და ამას შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, დამოკიდებულება ამ საქმისადმი, რომელიც ეხება ადამიანთა საარსებო ინტერესებს, ძირეულად უნდა შევცვალოთ ცენტრშიც და ადგილებზეც.

2. თანამიმდევრულად განვახორციელოთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა

ამხანაგებო! ვიხილავთ რა გარდაქმნის მიმდინარეობას, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ის საკითხი, თუ როგორ ხორციელდება რადიკალური ეკონომიკური რეფორმა.

სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე საწარმოთა გადასვლა კოლექტივებს საშუალებას აძლევს ნამდვილად იგრძნონ თავიანთი ახალი უფლებებიც, პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთიც. და თუმცა რეფორმა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს კი ეს-ეს არის ვითვისებთ, ისინი უკვე დადებით გავლენას ახდენენ მრავალი საწარმოო და სოციალური პრობლემის გადაჭრაზე, კოლექტივებში მთელ ვითარებაზე.

წელს ახლებურად მომუშავე საწარმოებმა არა მარტო უზრუნველყვეს პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება, არამედ სერიოზულადაც გააუმჯობესეს კიდეც თავიანთი ეკონომიკური მაჩვენებლები. ეს მეტად ნიშანდობლივია.

მაგრამ დღეს მთავარია გამოვიტანოთ დასკვნები რეფორმის თავდაპირველი ეტაპის სიძნელეებიდან. პრაქტიკამ გამოავლინა პრობლემები, რომლებიც აბუქსავებენ ახალ ეკონომიკურ მექანიზმს. ისინი გარკვეულწილად დაკავშირებულია იმასთან, რომ ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მისი ყველა ელემენტი, რომ რეფორმის განხორციელება დავიწყეთ, როგორც იტყვიან, გზადაგზა ხუთწლედის მსვლელობის დროს, ისეთ პირობებში, როცა უკვე განსაზღვრული იყო გეგმის სტრუქტურული პოზიციები, მოძველებული ფასების შენარჩუნების, რესურსების განაწილების წინანდელი ცენტრალიზებული მეთოდების პირობებში.

და ამით ბევრი რამ შეგვიძლია ავხსნათ, ბევრი რამ, მაგრამ ყველაფერი არა. შექმნილი სიძნელეები მნიშვნელოვანწილად წარმოშვა მეურნეობრიობის სტერეოტიპების გამძლეობამ, იმის მისწრაფებამ, რომ შეინარჩუნონ ეკონომიკის ხელმძღვანელობის ჩვეული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები, მართვის მუშაკთა ნაწილის მხრივ სიახლისადმი წინააღმდეგობამ. ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ვაწყდებით რეფორმის არსის დამახინჯების, მართვის ახალი ფორმების ძველი შინაარსით შევსების პირდაპირ ცდებსაც. სამინისტროები და უწყებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ საწარმოთა შესახებ კანონის ფორმასა და შინაარსს, რომელთა გამო, როგორც მრავალი სამეურნეო მუშაკი აღიარებს, იგი სრულად ვერ ხორციელდება.

სწორედ ამას მოწმობს მიმდინარე წლისათვის საწარმოთა გეგმების შემუშავების გამოცდილება, როცა სახელმწიფო შეკვეთების სახით პრაქტიკულად შენარჩუნებულ იქნა წარმოების მოცულობის სავალდებულო დავალებათა წინანდელი სისტემა. ეს სხვა არაფერია, თუ არა შედეგი სამინისტროების თვითნებობისა, როცა, ჯეროვან კონტროლს არ უწევენ, ის კი არა, ნებაზეც კი უშვებენ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოები.

და სრულიად დაუშვებელია, როცა სახელმწიფო შეკვეთების მეშვეობით საწარმოებს აიძულებენ გამოუშვან პროდუქცია, რომელზეც არ არის მომხმარებელთა მოთხოვნა. აიძულებენ მხოლოდ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ყბადაღებული „მთლიანი მაჩვენებელი". ამგვარი დიქტატი მიმართეს ისეთი დიდი კოლექტივების მიმართაც, როგორიცაა ურალმანქანა, ალტაის სოფლმანქანა, კურგანის თვლიანი საწევრების ქარხანა, ბაქოს საბურავების ქარხანა, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ საშუალო და წვრილ საწარმოებზე.

რაოდენ მრავლად არიან ჩვენში ისინი, ვინც ერთგულად ემსახურება მის უდიდებულესობას „მთლიან მაჩვენებელს"!

განა საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ეს ძირეულად ეწინააღმდეგება რეფორმის აზრს, ნიშნავს მართვის იმ მეთოდების შენარჩუნებას, რომლებმაც ჩვენი ეკონომიკა ჩიხში მოაქცია.

ალბათ, ახლა უკვე ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ წინანდელ წესებს ვერა და ვერ დავუბრუნდებით. მიუხედავად ამისა, ახლაც გაისმის აზრი თუ საწარმოს გეგმით არ დავადექით თავს, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას არ ეცდებაო. ერთი შეხედვით, ამ მოსაზრებებს თითქოს აქვს რაღაც აზრი. მაგრამ რეალური ცხოვრება სხვას მეტყველებს. დავასახელებ მხოლოდ ერთ ფაქტს.

ბევრი შიშობდა, საწარმოთა უფლებების გაფართოება, სადირექტივო მაჩვენებლების წრის შევიწროება საგეგმო მაჩვენებლების შემცირებასა და ხუთწლედის დავალებათა გადასინჯვის საჭიროებას გამოიწვევსო. მართლაც მოგების გეგმების თანხა, რომლებიც ამ წლისათვის იკისრეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასულმა სამრეწველო საწარმოებმა, საკონტროლო ციფრებთან შედარებით 4,5 მილიარდი მანეთით ნაკლები აღმოჩნდა. ძველი მეთოდების ზოგიერთი თავგამოდებული ქომაგი ნიშნის მოგებით იფშვნეტდა ხელებს: აი რას იწვევს მხოლოდ ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებზე დაყრდნობის მისწრაფებაო.

როგორ წარიმართა საქმე პრაქტიკულად? წარიმართა ისე, რომ მიმდინარე წლის ხუთ თვეში ამ საწარმოებმა მოგების გეგმები 2,5 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით შეასრულეს. მისმა მატებამ სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე შრომით კოლექტივებში 12,8 პროცენტი შეადგინა, ძველებურად მოქმედ საწარმოებში კი 10,2 პროცენტია. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მოგების მატება უმთავრესად მიღწეულია თვითღირებულების და მატერიალური დანახარჯების შემცირების გზით.

ეს შედეგი ჩვენი ეკონომიკისათვის ამ ბოლო დროს, პირდაპირ გეტყვით, მეტად უჩვეულოა. იგი იმსახურებს იმას, რომ ყურადღებით და ყოველმხრივ გავიაზროთ. რა შეგვიძლია ვთქვათ ამაზე? როგორც ჩანს, ეკონომიკურ მექანიზმში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ეფექტიანი სტიმულები იმისათვის, რომ საწარმოებმა მიიღონ უფრო დიდი საგეგმო დავალებანი. ამაზე უნდა ვიფიქროთ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის, ამხანაგებო, ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ საბოლოო შედეგია. და თუ სამეურნეო მექანიზმი ამოქმედდა და უზრუნველყოფს რეალური შედეგების გაუმჯობესებას, ჩვენც სწორედ ეს გვინდა.

ყურადსაღები გაკვეთილია! მან, ბოლოს და ბოლოს, საგეგმო ორგანოებს გადაჭრით უნდა გადაასინჯინოს მიდგომა დაგეგმვისადმი, „გეგმით შემოქმედებიდან" სიმძიმის ცენტრი გადაატანინოს ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებზე.

გამოცდილება ცხადყოფს, ამხანაგებო, რომ ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობას ნიადაგ ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა. უნდა ვაღიაროთ, რომ მათ დაგვიანებით აღმოაჩინეს სახელმწიფო შეკვეთის იდეის დამახინჯება. სიგნალები, რომლებსაც ვიღებდით, დროულად და ჯეროვნად ვერ შევაფასეთ. ახლა ამ შეცდომას ვასწორებთ. უახლოეს დროში მივიღებთ მთავრობის გადაწყვეტილებებს სახელმწიფო შეკვეთების გამოყენების წესის შესახებ.

რეფორმის საწყის ეტაპზე შრომითი კოლექტივებისა და მმართველობის ორგანოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა აგრეთვე ეკონომიკური ნორმატივების ფორმირების საკითხები. აქაც გამოვლინდა რომ სამინისტროები და უწყებები ვერ ელევიან დიქტატორულ ჩვევებს საწარმოთა მიმართ. ბევრი სამინისტრო შეეცადა დაედგინა ისეთი ნორმატივები, რომელთა მეოხებით უწინდებურად ექნებოდა შესაძლებლობა კარგად მომუშავე საწარმოებისაგან მიღებული სახსრები გადაენაწილებინა ნაკლებეფექტიანი საწარმოების სასარგებლოდ.

ალბათ, დღეს, იმ შრომითი კოლექტივების სხვადასხვა სასტარტო შესაძლებლობათა გათვალისწინებით, რომლებიც ადგებიან სამეურნეო ანგარიშისა და თვითანაზღაურების გზას, გარკვეულწილად შეიძლება ასეთი გადანაწილების ახსნა. მაგრამ ნორმატივების მთავარი ამოცანა ხომ სულ სხვა რამ არის — ისე უზრუნველვყოთ შემოსავლის უშუალო დაკავშირება საბოლოო შედეგებთან, რომ კოლექტივის მუშაობის ხარისხის ყოველგვარ გაუმჯობესებას ასტიმულირებდეს მისი შემოსავლის ზრდა. ვერ შევურიგდებით სხვისი მოიმედეობის ვერავითარ, აშკარა თუ ფარულ ფორმებს, ცუდი მუშაობით დალხინებული ცხოვრების შესაძლებლობას. ამხანაგებო, მეტისმეტად მოიკიდა ფეხი ჩვენს ფსიქოლოგიასა და სამეურნეო პრაქტიკაში გათანაბრებამ! მას, როგორც იტყვიან, კარში აგდებ, ის კი ფანჯარაში მოძვრება.

ასეთსავე პრობლემას ვაწყდებით ხელფასის რეფორმის დროს. თითქოსდა მისი პირველი შედეგები დამაიმედებელია. კოლექტივებში, რომლებიც ახალ პირობებში მუშაობენ, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, იმატა მისმა ანაზღაურებამ. მაგრამ გათანაბრება აქაც არ გვეპუება. საწარმოები, რომლებმაც მოიპოვეს უფლება ღირსეულად დააჯილდოონ კარგი მუშაკები და ხელფასი დააკლონ უქნარებს, წუნის მკეთებლებს, ცუღლუტებს, მას მაინც გაუბედავად იყენებენ, მოქმედებენ პრინციპით, ვაითუ ვინმეს ვაწყენინოთო.

შრომითი კოლექტივების საქმიანობაში ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ უძრაობისდროინდელი მიდგომა, როცა ხელოვნურად იზღუდება იმ მუშების, ტექნიკოსების, ინჟინრების ხელფასი, რომლებიც შემოქმედებითი, დიდეფექტიანი, ზოგჯერ კი უნიკალური შრომის

(გაგრძელება 3-ე გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გაგრძელება

მაგალითს იძლევიან. კრიტიკულად უნდა მივუდგეთ ამ თვალსაზრისით ზოგიერთ ნორმატიულ აქტსაც. განა კიდევ უნდა ვამტკიცოთ, რომ გამათანაბრებელი ტენდენციების აღმოფხვრის ყველაზე ეფექტიანი გზაა სამეურნეო ანგარიშის პრინციპების თანამიმდევრული განხორციელება არა მარტო შრომითი კოლექტივების საქმიანობაში, არამედ მათ ყველა ქვეგანაყოფში, თითოეულ სამუშაო ადგილზე?

უბრალოდ, რეფორმა ვერ ამოქმედდება, ვერ მოგვცემს შედეგებს, რომლებზეც იმედს ვამყარებთ, თუ იგი ღრმად არ შეეხება თითოეული მშრომელის პირად ინტერესებს, არ გახდება მისი ღვიძლი საქმე.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი მაგისტრალური მიმართულებაა კოოპერაციული მოძრაობის ფართო განვითარება. ეს საკითხები საკმაოდ საფუძვლიანად განიხილეს კოლმეურნეთა ყრილობამაც, უმაღლესი საბჭოს სესიამაც, რომელმაც დაამტკიცა კანონი კოოპერაციის შესახებ. ამით ძირითადად დავამთავრეთ მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭირო წანამძღვრების შექმნა. ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს იმით, რომ კოოპერაციული მოძრაობის აღმავლობა ფართო შესაძლებლობებს უქმნის საზოგადოების მრავალი საარსებო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრას.

კოოპერაციის განვითარებას სწორედ ის მნიშვნელობა და როლი მივაკუთვნეთ, რომლებსაც ანიჭებდა მას ვ. ი. ლენინი. ახლა სიმძიმის ცენტრი ინაცვლებს პრაქტიკული საქმეების დარგში. საბჭოების, პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა მისწრაფებას, რომ კოოპერაციის საფუძველზე მზარდი წვლილი შეიტანონ გარდაქმნის საქმეში.

ამხანაგებო! ეკონომიკური რეფორმა გაცილებით უკეთ განხორციელდებოდა, ესოდენ გამძლე რომ არ იყოს კონსერვატიზმი მართვის აპარატში. მბრძანებლობა და ადმინისტრირება ჯიუტად არ თმობენ პოზიციებს. რეფორმის პრაქტიკული განხორციელების დროს რეალურად ვგრძნობთ ინერციული ძალების წინააღმდეგობას, ამას კი ხშირად მოჰყვება სანახევრო, კომპრომისული, ზოგჯერ კი მცდარ გადაწყვეტილებათა მიღება.

ის ხომ ფაქტია, ამხანაგებო, რომ სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებების შექმნის საბაბით შეეცადნენ აღედგინათ სამინისტროების უწინდელი ბიუროკრატიული მთავარი სამმართველოების სისტემა. ამ გზით აპირებდნენ დამოუკიდებელი საწარმოების ნებაყოფლობითი გაერთიანების იდეა შეეცვალათ მკაცრად ცენტრალიზებული ორგანიზაციით და შეენარჩუნებინათ უწყებრივი ბარიერები და სამმართველოს გაბერილი აპარატი.

ცენტრშიც და ადგილებზეც ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მუშაკი, რომლებიც არ იღებენ მართვის ახალ ფორმებს, დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური რეფორმის პირობებს რომ შეესაბამება.

ეს გამოვლინდა საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების სამმართველო აპარატის საოლქო და სამხარეო მართვის ორგანოების შემცირების დროსაც. რისი თქმა შეიძლება აქ? ჩვენთვის ეს პრინციპული საკითხია. მტკიცედ უნდა გავატაროთ აპარატის შემცირებისა და გაიაფების, მისი მუშაობის ეფექტიანობის გადიდების გზა. ამასთან უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ ღონისძიებათა შედეგად გამოთავისუფლებული ადამიანები სხვა კანტორებს კი არ შეეკედლონ, არამედ წავიდნენ წარმოებაში, მომსახურების სფეროში, კოოპერატივებში, ვაჭრობაში, კომუნალურ მეურნეობაში — იქ, სადაც ნამდვილად იგრძნობა კადრების ნაკლებობა.

როგორც ხედავთ, რეფორმის დაწყებასთან დაკავშირებული პროცესების მოკლე ანალიზიც კი ცხადყოფს, რაოდენ რთული საქმეა ეს, რა დიდ და შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს იგი. დიახ, სიძნელეები გვაქვს, ეს სიძნელეები გამორიცხული არ არის მომავალშიც, მაგრამ რეფორმა მოიცავს მეურნეობის სულ უფრო ფართო სფეროებს და ავლენს თავის ცხოველუნარიანობას.

შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით საგულდაგულოდ უნდა მოვემზადოთ იმისათვის, რომ 1989 წლის დამდეგიდან მატერიალური წარმოების სფეროს ყველა საწარმომ დაამთავროს მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლა. ეს მეტად სერიოზული საკითხია, აქ არ არის წვრილმანები, რადგან რეფორმა მშრომელთა ახალ-ახალ მილიონებს შეეხება.

ახალ პირობებში მუშაობისათვის საწარმოთა კაბინეტური მომზადება წარსულის ყველაზე დიდი შეცდომაა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიმეოროთ. სწორედ იქ აღმოჩნდა ყველაზე სერიოზული შეცდომები, წარმოიშვა ბევრი გაუთვალისწინებელი სიძნელე, სადაც მშრომელები, შრომითი კოლექტივების საბჭოები მონაწილეობას არ იღებდნენ რეფორმების განხორციელებაში, სადაც ყველაფერი ფარულად, ზემოდან წყდებოდა. ამან კი გავლენა მოახდინა ადამიანების სოციალურ განწყობილებაზე, რეფორმისადმი მათს დამოკიდებულებაზე.

წლევანდელმა გამოცდილებამ განგვიმტკიცა შეგნება იმისა, რომ უნდა დავაჩქაროთ წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა. რას ვხედავთ დღეს? იმათთვის, ვინც გადავიდა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, საბითუმო ვაჭრობა არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. რაკი მომავალი წლის დამდეგიდან მატერიალური წარმოების სფეროს ყველა საწარმო იმუშავებს სამეურნეო ანგარიშით, ჩვენ, ალბათ, ახლებურად უნდა მივუდგეთ წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლის ვადებსაც, რათა იგი წლობით კი არ გაჭიანურდეს, არამედ მიმდინარე ხუთწლედის ფარგლებში დამთავრდეს. ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგებაც ამის თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს წამოაყენებენ.

რა თქმა უნდა, ბევრ რამეს ახლა განსაზღვრავს ფასწარმოქმნის რეფორმა, მხედველობაში მაქვს საბითუმო, შესასყიდი, საცალო ფასების და ტარიფების გადასინჯვა. ამ პრობლემის გადაუჭრელობა უაღრესად ართულებს ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას. თუ არ მოვახდენთ ფასების რეფორმას, ვერ შევძლებთ სახალხო მეურნეობაში ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის შექმნას, ვერ უზრუნველვყოფთ წარმოების დანახარჯებისა და შედეგების საფუძვლიან შეფასებას, საქონლისა და მომსახურების გაცვლის ეკვივალენტურობას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და რესურსდაზოგვის სტიმულირებას, ბაზრის ვითარების ნორმალიზაციას და შრომის მიხედვით სამართლიანი განაწილების განხორციელებას.

როგორ უნდა მოვაგვაროთ, მაგალითად, მეურნეობის ეკონომიკური გაძღოლა ნედლეულისა და სათბობის დაბალი ფასების პირობებში? ეს უბრალოდ შეუძლებელია. ან სხვა საკითხი. როცა დიდ მოგებას იღებს საქონლის ერთი ჯგუფისაგან, სახელმწიფო ამავე დროს იძულებულია ათობით მილიარდი მანეთი დოტაცია გაიღოს ბიუჯეტიდან მეორე ჯგუფის საქონლისათვის. ამავე დროს კარგად არის ცნობილი, რომ დაბალი დოტაციური ან გაუმართლებლად დიდი ფასები სტიმულს არ აძლევენ წარმოების ზრდას და უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ თავისთავად ფასწარმოქმნის რეფორმა ვერ გააუმჯობესებს ეკონომიკურ სიტუაციას, თუ ამავე დროს არ გადაწყდა ფინანსური შეწონასწორების, საკრედიტო-საფინანსო სისტემაში, ბანკების საქმიანობაში, ბიუჯეტში წესრიგის დამყარების საკითხები და ა. შ. ამიტომ ფასწარმოქმნის რეფორმის განხორციელება მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების პროგრამას. ეს კი თავის მხრივ, უკავშირდება თითოეული საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, თითოეული შრომითი კოლექტივის მუშაობას. ამის დავიწყებაც არ შეიძლება.

ფასწარმოქმნის რეფორმა არ შეიძლება არ შეეხოს საცალო ფასებსაც, რადგან ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ფასების მთელ სისტემას. ახლა ბევრი სასურსათო პროდუქტის, უწინარეს ყოვლისა, ხორცისა და რძის საცალო ფასები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მათი წარმოებისათვის გაღებული რეალური ხარჯები და შესასყიდი ფასები. სახელმწიფო იძულებულია ეს სხვაობა დაფაროს მომხმარებლისათვის გაღებული დოტაციის სახით. ასეთი მდგომარეობა ნორმალური არ არის. იგი ძირს უთხრის ამ პროდუქტების წარმოების სტიმულებს, წარმოშობს უყაირათო დამოკიდებულებას მათ მიმართ, განსაკუთრებით პურის მიმართ. ყოველივე ეს ვიცით, ამხანაგებო. ამიტომ ამ ამოცანის გადაჭრა უბრალოდ აუცილებელია, რაოდენ ძნელიც, ერთი შეხედვით რაოდენ საეჭვოც და სამიმოც უნდა იყოს იგი. ახლა სერიოზულად ვამუშავებთ საცალო ფასების საკითხს. ამის თაობაზე წინადადებებს გამოვიტანთ, რათა ხალხმა ყოველმხრივ განიხილოს ისინი.

მიდგომა აქ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — საცალო ფასების შეცვლამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება. საკითხი ასე ისმის: ის სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო დღეს იხდის დოტაციების სახით, მთლიანად უნდა გადაეცეს მოსახლეობას კომპენსაციის სახით. ამრიგად, საცალო ფასების გადასინჯვისაგან პირდაპირ ფინანსურ მოგებას სახელმწიფო ვერ მიიღებს და მოსახლეობაც არაფერს არ დაკარგავს. საქმე ეხება იმას, რომ გავაჯანსაღოთ სახალხო მეურნეობის ვითარება, უფრო ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების მოქმედებას, პროდუქციის წარმოების მატებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სასურსათო პროდუქტებით ბაზრის უსწრაფეს გაჯერებას.

გარდაქმნის ფარგლებში და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების გათვალისწინებით გაწეულია დიდი მუშაობა საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ხელახლა გააზრებისათვის. აქ საჭირო აღმოჩნდა პრინციპულად ახალი მიდგომა, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთ გამოვიყენოთ შრომის საერთაშორისო განაწილების უპირატესობანი. საწარმოებსა და გაერთიანებებს ახლა საშუალება მიეცათ ფართოდ გავიდნენ საგარეო ბაზარზე, დაამყარონ პირდაპირი საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა, შექმნან ერთობლივი საწარმოები.

პრიორიტეტს უწინდებურად ვანიჭებთ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას. მეგობრებთან ერთად — ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში — ხელს ვკიდებთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე ფორმების განვითარების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას. პერსპექტიულად მიგვაჩნია მანეთის თავისუფალ კონვერტირებაზე გადასვლა, ერთიანი სოციალისტური ბაზრის შექმნა.

შევეცდებით გავაფართოოთ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. აქაც დავადექით კურსს, რომლის მიზანია მეცნიერებაში, ტექნიკასა და წარმოებაში ღრმა და კომპლექსური თანამშრომლობა სხვადასხვა სახეობის საერთაშორისო კოოპერაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე.

ამხანაგებო! ეკონომიკური რეფორმის პირველი შედეგების შეჯამებისას მარტო იმაზე როდი უნდა ვიფიქროთ, როგორ შევასრულოთ ახლანდელი ხუთწლედი. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გარდაქმნის პირველი წლების გაკვეთილები გამოვიყენოთ სამომავლო სტრატეგიის შემუშავებისათვის, და უწინარეს ყოვლისა, მეცამეტე ხუთწლედისათვის.

ცენტრალურ კომიტეტში და მთავრობაში ყალიბდება საერთო აზრი: მეცამეტე ხუთწლედისა და ქვეყნის შემდგომი განვითარების კონცეფციაში ღრმად და განუხრელად უნდა გატარდეს ჩვენი ეკონომიკის ახლებური სოციალური ორიენტაციის გეზი, რომელსაც დაადგა სკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი, სკპ XXVII ყრილობა.

ეს უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს, რომ დავაკმაყოფილოთ ადამიანთა მოთხოვნილება სრულფასოვან სურსათ-სანოვაგეზე, დავხვავოთ ბაზარში სახალხო მოხმარების საქონელი და გავზარდოთ საჭირო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის მომსახურება, განვახორციელოთ საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, სახალხო განათლებისა და კულტურის პროგრამები. უპირველესი ამოცანებია ბუნების დაცვის, ქვეყნის ეკოლოგიური ვითარების კარდინალური გაუმჯობესების ღონისძიებათა გააქტიურება. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება გავისტუმროთ უძრაობის პერიოდიდან დარჩენილი ვალები და ჩვენი ეკონომიკა გადავიყვანოთ ხალხის ინტერესებისათვის ჯანსაღი განვითარების რელსებზე.

ეკონომიკური განვითარების სოციალური ხელახალი ორიენტაცია, ეროვნულ შემოსავალში მოხმარების წილის მატება უნდა გახდეს მთელი სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკის ღერძი, ეკონომიკის ტემპისა და პროპორციების შექმნის ქვაკუთხედი. დღეს ცხადია, რომ გვჭირდება ღრმა ცვლილებები, რომლებიც მოიცავენ სახალხო მეურნეობას მთლიანად, დაწყებული მომსახურების სფეროთი და დამთავრებული მძიმე ინდუსტრიითა და თავდაცვითი მრეწველობით.

სკპ ცენტრალურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ კონფერენცია მხარს დაუჭერს ასეთ კურსს.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი. საქმე ეხება ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმებსა და მაჩვენებლებს. ჩვენ უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად პროდუქციის ზრდის ტემპს, არამედ მის რეალურ გამოყენებას, ხალხის მოთხოვნილებათა ნამდვილად დაკმაყოფილებას.

რა აზრი აქვს ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული დარგების პროდუქციის მატებას, თუ იგი „ინთქმება“ რესურსების არარაციონალური, უყაირათო გამოყენების შედეგად? ანდა, ვის სჭირდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების ზრდა, თუ მათ არ ყიდულობენ მუშაობისას მცირე ეფექტიანობის გამო? და მუბუქ მრეწველობაშიც საჭიროა არა „მთლიანი მაჩვენებლები“, არა თავისთავად წარმოების მოცულობა, არამედ ნაკეთობათა ისეთი კომპლექტი, რომელიც დააკმაყოფილებდა ადამიანთა რეალურ მოთხოვნას.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერა და ვერ შევლევივართ ძველ მიდგომებს. ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ მილიონობით ტონა ფოლადი, მილიონობით ტონა ცემენტი, მილიონობით ტონა ქვანახშირი, არამედ კონკრეტული საბოლოო შედეგები. როდემდე ვიტრიალებთ ისეთ უიმედოდ მოძველებულ წარმოდგენათა და ფორმულათა მანკიერ წრეში, როგორიც არის „წარმოება წარმოებისათვის“ და „გეგმა გეგმისათვის“?

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შეიმუშაონ ამ საკითხზე წინადადებანი, რომელთა საფუძველზე უკვე მეცამეტე ხუთწლედში მოხდებოდა დაგეგმვა და შეფასდებოდა ეკონომიკური განვითარების შედეგები.

ასეთია, ამხანაგებო, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ჩვენი მუშაობის ზოგიერთი შედეგი, ასეთია რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დაწყებითი ეტაპის წინააღმდეგობანი და პრობლემები, ასეთია ზოგიერთი მოსაზრებანი უახლოესი მომავლისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის.

3. გავააქტიუროთ საზოგადოების ინტელექტუალური, სულიერი პოტენციალი

ამხანაგებო! გარდაქმნა, სოციალიზმის განახლება წარმოუდგენელია, თუ ყოველნაირად არ გავააქტიურეთ საზოგადოების ინტელექტუალური, სულიერი პოტენციალი, რომელსაც შეიცავს მეცნიერება, განათლება, მთელი კულტურა. მაგრამ ამის მარტოოდენ კონსტატაცია ცოტაა. უნდა ვიმოქმედოთ, თანაც ენერგიულად და მასშტაბურად, ამასთან გავითვალისწინოთ ისიც, რომ მთელ მსოფლიოში სწორედ ამ მიმართულებით უყრიან თავს უზარმაზარ ძალებს, აქეთკენ შესამჩნევად მატულობს კაპიტალდაბანდებათა ნაკადი.

უკვე გარდაქმნის დასაწყისში დავსახეთ ამოცანა — მკვეთრად შეგვეცვალა პრიორიტეტები, გაგვეძლიერებინა სულიერი სფეროს როლი, დაგვეძლია მისი შეუფასებლობა. აქაც ბევრი რამ შეიცვალა. გაჩნდა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო — გულახდილობის, შემოქმედებისა და დისკუსიების თავისუფლების, ობიექტური, მიუკერძოებელი კვლევის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. მიმდინარეობს შეგნების ნამდვილი რევოლუცია, ურომლისოდაც შეუძლებელია ახალი ცხოვრების შექმნა.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი მეცნიერების წვლილს გარდაქმნაში. ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ხაზგასმულია, რომ პარტიის ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიის საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, და უწინარესად მისი იმ თანამედროვე ეტაპის მიღწევათა დაუფლება, რომელიც უკავშირდება ავანგარდული ტექნოლოგიების — მიკროელექტრონიკის, რობოტტექნიკის, ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიისა და სხვათა განვითარებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში დაისახა პოზიტიური ცვლილებანი, გაიზარდა პროდუქციის ტექნიკური დონისადმი მომთხოვნელობა, შემცირდა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ნამუშევრების ათვისების ვადები. განხორციელდა გამოკვლევებისა და ნამუშევრების დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის, პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევების დაჩქარებული გამოყენების, მეცნიერთა შრომის სტიმულირების სისტემის შეცვლის დიდი ღონისძიებანი, რომლებმაც თავიანთი დადებითი გავლენა მოახდინეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ვითარების რადიკალურად შეცვლა.

განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ეს ფუნდამენტურ გამოკვლევებში, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივებს. კვლავ ვაწყდებით მრავალ შემაფერხებელ ფაქტორს, რომლებიც მემკვიდრეობით მივიღეთ ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების ბატონობის დროიდან, როცა მეცნიერებას ხშირად თავს ახვევდნენ კვლევის ისეთ მიმართულებებს, რომლებიც არ გამომდინარეობდა მისი საკუთარი განვითარების ლოგიკიდან. და პირიქით, კვლევის ბევრი ახალი პერსპექტიული დარგი დროულად ვერ პოულობდა მხარდაჭერას ან იკრძალებოდა კიდეც.

მთელი რიგი დასაბუთებული ამოცანების დაყენება არ იყო უზრუნველყოფილი მატერიალურად და ორგანიზაციულად, რაც სახელს უტეხდა საერთოდ სამეცნიერო პოლიტიკას. მეცნიერება სრულად არ იყო შეტანილი საერთო სახელმწიფო საგეგმო სისტემაში როგორც განუყოფელი კომპონენტი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ამ სიტყვის უაღრესად ფართო მნიშვნელობით. მეცნიერებს იშვიათად იწვევდნენ პროექტების, გადაწყვეტების, გეგმების ექსპერტიზისათვის, ხოლო მათს აზრს, თუ იგი არ ეთანხმებოდა უწყებათა ინტერესებს, უგულებელყოფდნენ, ხშირად კი დევნიდნენ კიდეც.

ამის შედეგად უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მეცნიერების საზოგადოებრივი სტატუსი და სამეცნიერო საქმიანობის პრესტიჟი აშკარად დაეცა. ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ უძრაობის წლებში საბჭოთა მეცნიერება ჩამორჩა მთელი რიგი წამყვანი მიმართულებების მიხედვით, უპირატესობა კი მის „დამწევ“ განვითარებას მიენიჭა. ნორმალური არ არის ის ვითარება, რომ მეცნიერების აკადემიური სექტორის წილად, რომელიც ფუნდამენტურ გამოკვლევათა ძირითად მოცულობას ასრულებს, მოდის მეცნიერული კვლევისათვის გამოყოფილი მთელი სახსრების მხოლოდ 6,8 პროცენტი.

სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს არ კმარა სამეცნიერო პოლიტიკაში ყველა ამ შეცდომისა და ხარვეზის მარტოოდენ გამოსწორება. საქმე ეხება ღრმა გარდაქმნას, სამეურნეო მექანიზმის ბევრი შემორჩენილი სტრუქტურის მსხვრევას, მეცნიერებაში შინაურთიერთობის სრულყოფას. უნდა შევქმნათ თვისებრივად ახალი სამამულო სამეცნიერო პოტენციალი, ურომლისოდაც შეუძლებელია მოკლე ვადებში მივაღწიოთ წარმატებებს ფუნდამენტურ კვლევაში და ამ საფუძველზე წარმატებით შევასრულოთ ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის დასახული პროგრამების მთელი კომპლექსი.

გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფაში, უწყებრივი ბარიერების დაძლევაში. აქ ერთ-ერთი გზაა დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების, საინჟინრო ცენტრების, მიზნობრივი ამოცანების გადასაწყვეტად დროებითი კოლექტივების შექმნა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ დაიწყო სამეცნიერო ორგანიზაციების ორგანული შეყვანა სამეურნეოანგარიშებრივ ურთიერთობათა სისტემაში, შეიქმნა დამთავრებული ციკლი: სამეცნიერო გამოკვლევები — ტექნიკა და ტექნოლოგია — ინვესტიციები — წარმოება — გასაღება — მომსახურება.

გასაგებია, რომ ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა პოტენციალი წლებისა და ათწლეულების განმავლობაში გროვდება, მაგრამ არსებობს მეცნიერების განვითარების დაჩქარების ფაქტორებიც. ეს არის უწინარეს ყოვლისა ვითარების დემოკრატიზაცია მეცნიერებაში, ბიუროკრატიზმისა და ადმინისტრირების, კონსერვატიზმისა და მონოპოლიზმის დაძლევა. გასაქანი უნდა მივცეთ ტალანტების, შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმმართველობის, თანასწორუფლებიანი მეტოქეობის, მეცნიერული იდეებისა და აზრების კონკურენციის მაქსიმალურ გამოვლინებას. ზოგიერთი მეცნიერი იმ საკითხსაც აყენებს, რომ მიზანშეწონილია გავამრავალფეროვნოთ მეცნიერების ორგანიზაციის ხერხები, გონივრულად შევუხამოთ აქ ერთმანეთს სახელმწიფო და კოოპერაციული ფორმები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. სწორედ მათ მიაყენა ყველაზე დიდი ზიანი პიროვნების კულტმა, ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულმა მეთოდებმა, დოგმატიზმმა და არაკომპეტენტურმა ჩარევამ. როგორც ცნობილია, სკპ XX ყრილობის შემდეგ შესამჩნევად გამოცოცხლდა საზოგადოებათმეცნიერული კვლევა. გაჩნდნენ ახალი სამეცნიერო მიმართულებანი და მეცნიერთა ახალი კადრები, რომლებსაც უნარი შესწევდათ ახლებურად წარემართათ საქმე. მაგრამ მალე კვლავ გაცოცხლდა საზოგადოებათმეცნიერული აზრის ამოცანების ფორმულირებისადმი თვითნებური მიდგომები, მათი გადაწყვეტის დოგმატიკური მეთოდები.

გარდაქმნის პირობებში შეიქმნა საზოგადოებათმეცნიერულ გამოკვლევებზე მწვავე სოციალური მოთხოვნილება. ჩვენ გვჭირდება მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიურ საფუძველზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ნამდვილი აღმავლობა. საჭიროა გარდაქმნის ისეთი პრობლემების ობიექტური მეცნიერული კვლევა, როგორიც არის ეკონომიკური რეფორმა, პოლიტიკური სისტემის რეკონსტრუქცია, დემოკრატიზაცია, ჰუმანისტური განახლება, ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი, ახალი პოლიტიკური აზროვნება და მრავალი სხვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოებას, რომელიც თავისი თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის გზას ადგას, სჭირდება განვითარების მთლიანი კონცეფცია, პროცესების დიალექტიკის, მასობრივ შეგნებაში მათი ასახვის წინააღმდეგობის დანახვა, აზრთა პლურალიზმის გათვალისწინება, მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივების შემუშავება.

პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია ის, რომ კვლავინდებურად სტიმული მიანიჭოს შემოქმედებითი ძიებას საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ხელი შეუწყოს გარდაქმნის თეორიული არსენალის ზრდას. მაგრამ საჭიროა რადიკალური ცვლილებები მეცნიერების მიმართაც. „მოუკითხავი“ მეცნიერება ადრე თუ გვიან კვდება, მეცნიერული ცოდნისადმი ასეთი დამოკიდებულების პრაქტიკა კი ბრმავდება და ძაბუნდება. ყოველივე ეს მიუღებელია ჩვენთვის. ასე რომ, მოვკითხავთ რა მეცნიერებს, მათ მეტად უნდა ვენდოთ და შემოქმედებითი, ახლის ძიების ყველა საჭირო პირობა შევუქმნათ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანა სოციალური განვითარების ზოგადი კონტექსტით უნდა განიხილებოდეს. ძირითადი ყურადღება, მეცნიერთა აზრით, უნდა დაეთმოს პრობლემების ანალიზს სხვადასხვა მეცნიერების — საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა „შესაყარზე“. მათი მჭიდრო თანამოქმედება დღეს უზრუნველყოფს რევოლუციურ წინსვლას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ყველა მიმართულებით. შესაბამისად საჭიროა მეტ გავლენას ახდენდეს სოციალური გამოკვლევები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელ კომპლექსზე, მის ადამიანურ შეფასებაზე. წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებით ნამდვილად და დიდი მასშტაბით უნდა მოვაგვაროთ სამეცნიერო-ტექნიკური და საინჟინრო პროექტების სოციალური ექსპერტიზა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, რათა მინიმალურად შევამციროთ, და კიდევ უფრო უკეთესი იქნება, მთლიანად გამოვრიცხოთ ეკოლოგიური და სხვა ხარვეზები, რომლებიც შეიძლება გვქონდეს ამ პროექტების უკონტროლო შემუშავებისა და რეალიზაციის შემთხვევაში.

ბოლო სამი წლის მანძილზე პარტიასა და საზოგადოებაში მიმდინარეობდა განათლების როგორც ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, სულიერი განახლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ფაქტორის უდიდესი როლის შეგნების პროცესი. ჩვენ კრიტიკულად შევაფასეთ ამ სფეროში არსებული მდგომარეობა, შევიმუშავეთ სწავლებისა და აღზრდის საქმეში ცვლილებების პროგრამა. მას ხმარდება დიდი დამატებითი სახსრები. მნიშვნელოვნად ვითარდება სწავლების პროცესის კომპიუტერიზაცია. გადიდდა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება.

რა თქმა უნდა, განათლებისა და მეცნიერების ხარჯები დიდია, მაგრამ მათი ჩამორჩენა გაცილებით ძვირად ჯდება. განათლების, მეცნიერული კვლევის, საერთო და პროფესიული კულტურის მაღალი ხარისხის გარეშე — ყოველივე ამის გარეშე გარდაქმნის მიზნებს ვერ მივაღწევთ. ყველა პირობა უნდა შევქმნათ, რათა შეგნებული შრომითი და პოლიტიკური ცხოვრების დაწყებისას საბჭოთა ადამიანების ახალ თაობებს ჰქონდეთ მაღალი იდეურობა და მორალი, თავიანთი პროფესიის კარგი ცოდნა და ფართო კულტურული ჰორიზონტი, მზად იყვნენ იკისრონ ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობა.

ჩვენი საზოგადოების სოციალისტურ განახლებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა კულტურის მოღვაწეებმა. გარდაქმნის პლატფორმით შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია პარტიის პრაქტიკული ამოცანა გახდა აპრილის შემდგომ პერიოდში. დღეს ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ წარსულს ჩაბარდა ადმინისტრირება კულტურის ხელმძღვანელობაში, დარიგება და ჭკუის სწავლება ხელოვანთა მიმართ. სულიერ სფეროში თანდათანობით იქმნება შეჯიბრების, თავისუფალი შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო, რომელსაც საფუძვლად უდევს ხელოვნის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თავისი სოციალისტური საზოგადოების წინაშე.

მხატვრულ კულტურას ახასიათებს ცხოველი ურთიერთობა და თაობათა მემკვიდრეობითობა, ემყარება ადამიანს შეიგრძნოს ნათესაობა თავის ხალხთან, მის ისტორიასთან და მომავლის იმედებთან, საფუძვლად დაუდოს ნებისმიერ პრაქტიკულ საქმიანობას მაღალი ზნეობრივი იდეალები.

ჩვენს პუბლიცისტიკაში, მხატვრულ და სამეცნიერო გამოცემებში თავისი მასშტაბით, გულახდილობით, ინტელექტუალური სიღრმით არნახული სჯა-ბაასი მიმდინარეობს სოციალიზმის განახლების გზებზე, ისტორიასა და თანამედროვეობაზე. და ეს შესანიშნავია. პარტია დიდად აფასებს ინტელიგენციის მზარდ წვლილს გარდაქმნის რეალიზაციაში. ჩვენ მივესალმებით მეცნიერების, განათლების, კულტურის წარმომადგენელთა საზოგადოებრივი, პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებას. ჩვენ მათგან მოველით ახალ შემოქმედებით აღმოჩენებს, უდიდეს წინსვლას აზრისა და სულის ყველა სფეროში.

ამრიგად, საერთოდ პროცესები კულტურის სფეროში ჯანსაღ საფუძველზე ვითარდება, მაგრამ ჩვენ ობიექტური არ ვიქნებოდით, ჭეშმარიტების წინაშე შევცოდავდით, თუ ვიტყოდით, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს წინააღმდეგობათა გაუწევლად, ხარვეზების გარეშე, რომლებიც ზოგჯერ სცილდება სოციალისტურ ღირებულებათა ფარგლებს. როგორც საერთოდ საზოგადოებაში, ისე ინტელიგენციაშიც თავს იჩენს კონსერვატიზმიც, სიახლის მიუღებლობა, არის მიმდინარე მოვლენების ზერელე შეფასებაც და უპასუხისმგებლობაც კი ჩვენი განვითარების რთული პრობლემებისადმი მიდგომაში.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ვხედავთ, რომ ზოგიერთი ამხანაგი ქვეყნისათვის ასეთ გადამწყვეტ ჟამსაც კი ვერ შელევია ძმათაშორის ომს, ჯგუფურ ვნებებსა და პირად ამბიციებს. ცოტანი როდი არიან ისეთნიც, რომლებსაც აღიზიანებთ შემოქმედებითი ძიებანი, მზარდი მრავალფეროვნება კი სოციალისტური ხელოვნების პრინციპებისგან გადახვევა ჰგონიათ. ეს გასაგებია: ძალიან დიდხანს ერთგვაროვნობას, მონოტონურ ერთფეროვნებას, უღიმღამობას პროგრესის ეტალონებად ასაღებდნენ. ჯერ კიდევ არა გვაქვს დისკუსიების, სხვაგვარად აზროვნების, თავისუფალი შეჯიბრების ჩვევა. არ მინდა მდგომარეობის დრამატიზაცია. ამისათვის არც არის განსაკუთრებული საფუძვლები. მაგრამ უგუნურება იქნებოდა, არ შეგვემჩნია ასეთი მოვლენები და გვერდი ავვეარა მათთვის.

თუ ვილაპარაკებთ გარდაქმნის პერიოდში მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში პოლიტიკის მთავარ მიმართულებაზე, იგი გვესახება როგორც ლენინური პრინციპებისადმი დაბრუნება, შემობრუნება ადამიანისაკენ, ხალხის სულიერი გამდიდრებისაკენ. პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია გაზარდოს ძალისხმევა ამ ჰუმანური მიზნის მისაღწევად.

4. საერთაშორისო ურთიერთობის დემოკრატიზაცია

ამხანაგებო! გარდაქმნა სსრ კავშირში მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტორად გადაიქცა. საკუთარ სახლში კარდინალურმა ცვლილებებმა ახალი მიდგომები მოითხოვა საერთაშორისო საქმეებშიც.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა საგარეო პოლიტიკის შეფასებისას ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ იმპერიალიზმმა ჩვენსა და ჩვენი მოკავშირეების გარშემო შექმნა ფაქტობრივად საგანგებო სიტუაცია. დასავლეთის სამხედრო ბლოკი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით სოციალიზმის მიმართ აშკარად აგრესიულად იქცეოდა. ომის საფრთხე ჩვენთვის მეტად სიდიდე იყო. იგი დღესაც არ არის მოხსნილი. საბჭოთა კავშირს თავისი მოკავშირეებთან ერთად უბრალოდ არ შეეძლო არ ერეაგირა ამაზე, ისევე, როგორც სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიზანმიმართულ ფსიქოლოგიურ ომზე.

და მაინც, თუ გამოვიტანთ დასკვნებს წარსულიდან, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა საგარეო-პოლიტიკურ დარგზეც მოახდინა გავლენა. ხდებოდა ხოლმე, რომ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსაც კი იღებდა ადამიანთა ვიწრო წრე, კოლექტიური, ყოველმხრივი განხილვისა და ანალიზის, ზოგჯერ კი მეგობრებთან სათანადო მოთათბირების გარეშეც. ეს არაადეკვატურ რეაქციას იწვევდა საერთაშორისო მოვლენებსა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკაზე, ზოგჯერ კი მცდარი გადაწყვეტილებებიც მოსდევდა. სამწუხაროდ, ყოველთვის არ იაზრებდნენ ხოლმე იმას, თუ რა დაუჯდებოდა ხალხს და რას გამოიწვევდა მოქმედების ესა თუ ის ვარიანტი.

ჩვენი და მთელი სოციალისტური სამყაროსადმი ბირთვული გამოწვევის პასუხად უნდა მიგვეღწია ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარიტეტისათვის. და ამას მივაღწიეთ. მაგრამ, როცა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მოქმედების სამხედრო ასპექტზე მოვუყარეთ თავი მთელ უზარმაზარ სახსრებსა და ყურადღებას, ჩვენ ყოველთვის ვერ ვიყენებდით სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ხალხთა შორის დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთგაგებისათვის პოლიტიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც ვლინდებოდა მსოფლიოში ფუნდამენტურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამის შედეგად ჩავათრევინეთ თავი გამალებულ შეიარაღებაში, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ამავე დროს გამალებული შეიარაღება უახლოვდებოდა კრიზისულ ნიშნულს. ამ ფონზე ჩვენი ტრადიციული პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობა მშვიდობისა და განიარაღების სასარგებლოდ კარგავდა თავის დამაჯერებლობას. თუ უფრო მწვავედ ვიტყვით — თუ არ დავძლევდით ასეთი განვითარების ლოგიკას, შეიძლებოდა ნამდვილად აღმოვჩენილიყავით სამხედრო კონფრონტაციის ზღვარზე.

აი, რატომ იყო საჭირო არა უბრალოდ დაგვეხვეწა, არამედ გადაჭრით განგვეახლებინა საგარეო პოლიტიკა.

ამისათვის საჭირო იყო ახალი პოლიტიკური აზროვნება. მას საფუძველი ჩაუყარეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა და XXVII ყრილობამ. მათ მოგვცეს გარდაქმნის პირობებში ჩვენი საერთაშორისო საქმიანობის ფილოსოფიური დასაბუთება. ახალი აზროვნება დახურული და დამთავრებული დოქტრინა როდია. იგი დიალექტიკურია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დღენიადაგ სრულვყოთ და განვავითაროთ პოლიტიკა ცოცხალი ცხოვრების მიმდინარეობის შესაბამისად; რა თქმა უნდა, — ჩვენი სოციალისტური არჩევანის, ლენინური პრინციპების შესაბამისად.

ისევე როგორც საშინაო საქმეებში, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიმართა ლენინს, მის გამოცდილებას — ყველგან, ყოველ სიტუაციაში ვმოქმედებდეთ რეალიზმის პოზიციებიდან. მხოლოდ ასეთი საგარეო პოლიტიკა ემსახურება ეფექტიანად გარდაქმნას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას იქონიოს იმათი რეალისტური დამოკიდებულების იმედი, ვისთვისაც იგი არის გათვალისწინებული. მხოლოდ ასეთნაირად იძენს იგი უნარს დაეხმაროს მსოფლიოს გადარჩენას საფრთხისაგან, რომელიც მას ემუქრება.

როცა თანამედროვე სამყარო გავაანალიზეთ, უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინეთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობა, რომელიც არ კარგავს თავის კლასობრივ ხასიათს, სულ უფრო მეტად ხორციელდება, როგორც ურთიერთობა სწორედ ხალხთა შორის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გაიზარდა ხალხთა, ერთა, ახალ ეროვნულ ფორმირებათა როლი მსოფლიო საქმეებში. ეს კი გულისხმობს, რომ საერთაშორისო საქმეებში არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ინტერესების მრავალფეროვნებას. მათი გათვალისწინება ახალი პოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი ელემენტია.

თანამედროვეობის პოზიციებიდან, რომელსაც ახასიათებს ბირთვული საფრთხის ზრდა, სხვა გლობალური პრობლემების გამწვავება, ყველა პროცესის ინტერნაციონალიზაციის ზრდა მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო მთლიანი და ურთიერთდამოკიდებული ხდება მთელი მისი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, — შევეცადეთ უფრო ღრმად გაგვეაზრებინა მარქსიზმში თავიდანვე ჩამოყალიბებული პროლეტარულ-კლასობრივი და ზოგადსაკაცობრიო ინტერესის ურთიერთკავშირის იდეა. ამან მიგვიყვანა დასკვნამდე ჩვენს საუკუნეში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტის შესახებ. აქ არის ახალი პოლიტიკური აზროვნების სული და გული.

მან შესაძლებლობა მოგვცა უფრო მასშტაბურად შეგვეფასებინა ის, თუ რა საარსებო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობისათვის ზნეობრივ ღირებულებებს, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდნენ ხალხები და ამდიდრებდნენ, ხვეწდნენ კაცობრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები.

ფუნდამენტური ცვლილებების ანალიზის დროს მსოფლიოში იმსხვრევა ბევრი სტერეოტიპი, რომლებიც ბოჭავდნენ ჩვენს შესაძლებლობებს და გარკვეულწილად საბაბს აძლევდნენ იმათ, ვინც ამახინჯებდა ჩვენს ნამდვილ განზრახვებს.

დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ფართო კონტაქტები დავამყარეთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან — სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებიდან მოყოლებული უბრალო მოქალაქეებამდე, მეცნიერებისა და კულტურის საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტებთან, გამოჩენილ მწერლებთან, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ხელმძღვანელებთან და დელეგაციებთან, პროფკავშირულ და სოციალ-დემოკრატიულ ლიდერებთან, რელიგიურ მოღვაწეებთან და პარლამენტარებთან.

უშუალო ურთიერთობის ასეთი მდიდარი შინაარსი თითქოს ხელახლა „აღმოაჩენს“ საბჭოთა კავშირს გარე სამყაროსათვის. ჩვენ კი ჩვენი მხრივ მივიღეთ შესაძლებლობა უკეთ ვხედავდეთ და გვესმოდეს გარე სამყარო, ვმონაწილეობდეთ მისი პრობლემების განხილვასა და მათი გადაწყვეტისადმი მიდგომის ძიებებში, გამოგვექონდეს ყოველივე სასარგებლო იდეებიდან, რომლებიც მომდინარეობს სხვა კულტურებიდან და სულიერი ტრადიციებიდან, რაც აისახა, მაგალითად, დელის 1986 წლის დეკლარაციაში. ამ „უკუკავშირის“ მეშვეობით გავაიადვილეთ ურთიერთგაგების მიღწევა ისეთ ღირებულებათა მნიშვნელობის საკითხზეც, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია.

ყოველივე ამან დინამიზმი მიანიჭა საბჭოთა საგარეო პოლიტიკას. შესაძლებლობა მოგვცა წამოგვეყენებინა მთელი რიგი დიდი ინიციატივები.

ეს არის 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის პროგრამა, ყოვლისმომცველი უშიშროების სისტემა, არჩევანის თავისუფლება, ინტერესთა ბალანსი, „სრულიად ევროპის სახლი“, ურთიერთობის გარდაქმნა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, თავდაცვითი საკმარისობა და არაშეტევითი დოქტრინა, შეიარაღების დონის შემცირება, როგორც ეროვნული და რეგიონალური უშიშროების განმტკიცების გზა, ჯარების გამოყვანა და ბაზების გამოტანა სხვათა ტერიტორიებიდან, ნდობის ღონისძიებანი, საერთაშორისო ეკონომიკური უშიშროება, მსოფლიო პოლიტიკაში მეცნიერების ავტორიტეტის უშუალო მოქცევის იდეა.

(გაგრძელება მე-4 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გაგრძელება

სახელმწიფოთაშორისი ხაზით ჩვენს კონტაქტებს საფუძვლად დაედო დიალოგი, განიარაღების სფეროში კი ღრმა ურთიერთკონტროლისადმი მზადყოფნა. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებინა და გაგვეტანა ნდობის დიაპაზონი ჩვეულებრივი მსოფლმხედველური სპექტრის ფარგლებს გარეთ. და ჩვენ იდეოლოგიურად ძალიან შორს მყოფ გავლენიან წრეებშიც კი აღმოვაჩინეთ ურთიერთგაგების, თანაარსებობისა და თანამშრომლობისათვის მზადყოფნის საკმაო პოტენციალი.

მსოფლიოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმან, რომ გულწრფელად და გულახდილად ვიწვევდით ყველას ერთობლივი განსჯისა და ძიებისათვის. საჯაროობა, გარდაქმნა კი „მატერიალურ" დამაჯერებლობას მატებს ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ იდეებსა და ინიციატივებს.

ასეთმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა ისეთი დიდი წინგაჭრა მსოფლიო პოლიტიკასა და უწინარეს ყოვლისა განიარაღების დარგში, როგორიცაა ჟენევა და რეიკიავიკი, რომლებმაც რეალური დინამიკა მიანიჭეს მოლაპარაკების პროცესს და განსაზღვრეს ვაშინგტონისა და მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრათა წარმატება. ამის შედეგად იცვლება მთელი საერთაშორისო სიტუაცია.

ახალი აზროვნების კონტექსტით განვიხილეთ ვითარება სოციალიზმის სამყაროში. მეგობრებთან ერთად ამხანაგურად შევეცადეთ გაგვეთავისუფლებინა ჩვენი ურთიერთობის ინტერნაციონალისტური არსი წარსულის დანაშრევებისაგან. გამოცოცხლდა, საქმიანი და ოპერატიული გახდა პარტიათა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელების პირადი ურთიერთობა. იხვეწება სოციალისტური თანამეგობრობის საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია.

მსოფლიო სოციალიზმს არცთუ უბრალო, გარდამტეხი პერიოდი დაუდგა. სოციალისტური ქვეყნების გასვლა ახალ მიჯნებზე, მათი პოტენციალების გამოვლინება ეროვნულ და საერთაშორისო ფარგლებში ზრდის სოციალიზმის პრესტიჟსა და როლს მსოფლიო განვითარებაში.

ახალ აზროვნებაში საკვანძო ადგილი უკავია თავისუფალი არჩევნის კონცეფციას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს პრინციპი უნივერსალურია საერთაშორისო ურთიერთობისათვის, როცა მთავარი, განმაზოგადებელი მსოფლიო პრობლემა გახდა თავად ცივილიზაციის გადარჩენა.

ეს კონცეფცია განპირობებულია მსოფლიოს უპრეცედენტო და მზარდი მრავალფეროვნებით. ჩვენ ვართ ისეთი ფენომენის მოწმენი, როგორიცაა მსოფლიო ისტორიაში იმ მილიარდობით ადამიანის აქტიური ჩაბმა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მის ფარგლებს გარეთ რჩებოდნენ. ეს მილიარდები გამოდიან დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედების ასპარეზზე სრულიად ახალ პირობებში. და ეროვნული თვითშეგნების ყველგან ზრდის ვითარებაში ისინი ჯერ კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას გზის საკუთარი არჩევანის ძიებაში.

ამ სიტუაციაში სოციალური წყობილების, ცხოვრების წესის, პოლიტიკის გარედან თავსმოხვევა — ყოველი საშუალებით, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხედრო საშუალებებზე, — ეს წინანდელი წლების საშიში საჭურველია. სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, თანასწორუფლებიანობა და ჩაურევლობა საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები ხდება, რაც თავისთავად XX საუკუნის დიდი მონაპოვარია. ეწინააღმდეგებოდე არჩევნის თავისუფლებას — ნიშნავს უპირისპირდებოდე თვით ისტორიის ობიექტურ სვლას. სწორედ ამიტომაც არის, რომ ძალის პოლიტიკამ ყველა მისი ფორმითა და გამოვლინებით, ისტორიულად დრო მოჭამა.

ერთი სიტყვით, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ახალმა აზროვნებამ და მასზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ სწორად ასახეს თანამედროვე სამყაროს მომწიფებული მოთხოვნილებანი და იმპერატივები. მათ აღორძინეს იმედი, გახსნეს კაცობრიობის შეგნებაში თვისებრივი ცვლილებების გზა.

მთავარ კითხვაზე, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებთ საბჭოთა ადამიანებს და რომლის გამო მათ სურთ გაიგონონ სამი წლის მანძილზე მუშაობის შედეგების შეფასება, — მოხერხდა თუ არა ომის საფრთხის უკან დაწევა? — შეგვიძლია ვუპასუხოთ: დიახ, რა თქმა უნდა.

რით გამოიხატა ეს? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საერთაშორისო ცხოვრების ღერძი კონფრონტაციიდან ინაცვლებს თანამშრომლობისაკენ, ურთიერთგაგებისაკენ, მოლაპარაკებისაკენ კონკრეტული შედეგების მიღწევის პერსპექტივით, უწინარეს ყოვლისა, მასობრივი მოსპობის იარაღის მიმართ. გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა. დაიდო ხელშეკრულება ბირთვული შეიარაღების ნაწილის ლიკვიდაციის შესახებ. გამოცოცხლდა სრულიად ევროპის პროცესი — სახელმწიფოთაშორის და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ დონეზე.

ჟენევის შეთანხმებანი და ავღანეთიდან ჩვენი ჯარის კონტინგენტის დაწყებული გამოყვანა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ნიშანსვეტი გახდა იმ რეგიონალური კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში, რომლებიც შეიცავენ საფრთხეს მთლიანად მსოფლიოსათვის, ამუხრუჭებენ ხალხთა პროგრესს.

ჩვენი პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან პარტიისა და ხალხის სახელით ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ დიდი მადლობა გადავუხადო ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, სამოქალაქო სპეციალისტებს —ყველას, ვის ბედსაც შეეხო და ვინც გადაიტანა ეს ომი. (ტაში). ჩვენი მეომრები ავღანეთიდან მოდიან სამშობლოს ნებით, რომელმაც გამოიჩინა სიბრძნე, ამ წლების მანძილზე შეიძინა ახალი პოლიტიკური და ზნეობრივი გამოცდილება, უფრო ღრმად შეიცნო თანამედროვე მსოფლიო, მისი წინააღმდეგობანი და სიძნელენი სამომავლო გზაზე.

მთლიანად, ამხანაგებო, უკვე არსებულ რეალობათა ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ: თუ ამ რეალობათა განმტკიცებასა და განვითარებას შევძლებთ, მაშინ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს ბედს განსაზღვრავენ შემდეგი ტენდენციები:

— საერთაშორისო ურთიერთობის თანდათანობითი დემილიტარიზაცია და ჰუმანიზაცია, როცა, ბოლოს და ბოლოს, გონება, ცოდნა და ზნეობრივი ნორმები, და არა ეგოისტური მისწრაფებანი და ცრურწმენები, ამოძრავებენ სახელმწიფოებს მსოფლიოში მრავალი წინააღმდეგობის დაძლევისა და ინტერესთა ბალანსის მიღწევის დროს, როცა აღიარებული იქნება თითოეულის თავისუფალი არჩევანის უფლება.

— სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველყოფა სამხედრო პოტენციალების თანაფარდობის სფეროდან სულ უფრო მეტად გადაინაცვლებს პოლიტიკური ურთიერთქმედებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა ზუსტად შესრულების სფეროში; ჩამოყალიბდება საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა, უმთავრესად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლისა და ეფექტიანობის ზრდის მეშვეობით.

— მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის კოლოსალური ზრდა გამოყენებული იქნება უფრო ცივილიზებულად გლობალური ეკონომიკური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სასურსათო, სამედიცინო და სხვა ამოცანების ერთობლივად, მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის.

— დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და ხალხთა მრავალფეროვანი და ნებაყოფლობითი ურთიერთობა საიმედოდ მოემსახურება მათს მატერიალურ და სულიერ ურთიერთგამდიდრებას, განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობის სტრუქტურას.

ხომ არ არის აქ ილუზიები? განა აგრესიისა და ომების იმპერიალისტური წყაროები გაქრა? არა. არ ვივიწყებთ იმას, თუ რა საფრთხეს უქმნის მსოფლიოს იმპერიალისტური მილიტარიზმი, და მივაჩნია, რომ ჯერჯერობით არ შექმნილა დაწყებული პოზიტიური პროცესების შეუქცევადობის გარანტიები. სწორედ ახალი პოლიტიკური აზროვნება გვაძლევს საშუალებას დავინახოთ და ვიპოვოთ ახალი შესაძლებლობანი, რათა წინააღვუდგეთ ძალის პოლიტიკას წინანდელზე უფრო ფართო პოლიტიკურ საფუძველზე. ამ შესაძლებლობებს ამტკიცებენ ახალი ობიექტური ფაქტორებიც, რომლებიც მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა.

ამით განისაზღვრება აგრეთვე ჩვენი თავდაცვითი მშენებლობა, რომლის ეფექტიანობა ამიერიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს უპირატესად თვისებრივი პარამეტრებით — როგორც ტექნიკის, სამხედრო მეცნიერების, ისე შეიარაღებული ძალების შემადგენლობის მხრივ. იგი უნდა უზრუნველყოფდეს საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების საიმედო უშიშროებას, ხორციელდებოდეს ჩვენი თავდაცვითი დოქტრინის ზუსტი შესაბამისობით.

ჩვენს პრაქტიკულ საერთაშორისო საქმიანობაში კვლავაც გამოვძებნით მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზებს. წინა პლანზე ჩვენთვის კვლავაც იქნება ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენ თანამიმდევრულად განვახორციელებთ განვითარებად სახელმწიფოებთან, მიუმხრობლობის მოძრაობასთან ჩვენი ურთიერთობის გაღრმავების გეზს. ვაწარმოებთ აქტიურ დიალოგსა და მოლაპარაკებას თავიანთ ქვეყნებში ძალამოსილ სახელმწიფო მოღვაწეებთან, უწინარეს ყოვლისა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მიმართულებით — განიარაღების საკითხებზე. გარდაქმნის წლებში გავაუმჯობესეთ ან პირველად დავამყარეთ ურთიერთობა ბევრ სახელმწიფოსთან — მეზობელ და ძალიან დაშორებულ სახელმწიფოებთან. და არც ერთ მათგანთან არ გაგვიფუჭებია ეს ურთიერთობა. შევეცდებით კვლავაც ასე ვიმოქმედოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის მიაჩნია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განუყოფელ ნაწილად, რომელიც ახლა ეწევა ძნელ ძიებას თავისი ისტორიული განვითარების ახალ სტადიაზე გასვლისათვის. ჩვენ კვლავაც — სრული თანასწორუფლებიანობისა და პატივისცემის საფუძველზე — აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ამ ძიებაში. მზარდ საერთაშორისო პოტენციალს შეიცავს ჩვენი ახალი ურთიერთობა მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ ძალებთან, რომლებიც მსოფლიო მეცნიერებასა და კულტურას წარმოადგენენ, სხვა იდეოლოგიური მიმართულების პოლიტიკურ პარტიებთან, უწინარეს ყოვლისა სოციალისტებთან, სოციალ-დემოკრატებთან, ლეიბორისტებთან, სხვა ეგრეთ წოდებულ „მემარცხენე" წრეებთან და მოძრაობებთან. უცვლელია ჩვენი სოლიდარობა მთელი მსოფლიოს მშრომელებთან, კოლონიალიზმის, რასიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლებთან.

ამხანაგებო! საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, წარსულში ზოგიერთი შეცდომისა და ხარვეზის მიუხედავად, მთლიანად უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის, სოციალიზმის, მთელი კაცობრიობის წინაშე. გარდაქმნამ ჩვენგან მოითხოვა ახალი თვისება—არსებითადაც და ფორმითაც. ისევე როგორც საშინაომ, მან საქმით უნდა შეისისხლხორცოს პარტიისა და ხალხის კოლექტიური აზრი. ოპერატიულად გაითვალისწინოს არა მარტო მიმდინარე, არამედ ნაწინასწარმეტყველევი ცვლილებებიც. ობიექტური პროცესები მსოფლიოში და ჩვენი შესაძლებლობანი უნდა გახდეს მუდმივი სამეცნიერო და საჯარო მსჯელობის საგანი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრიობა და მისი ორგანიზაციები. მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ საერთაშორისო საკითხებზე ინფორმაციის ხარისხი. პოლიტიკური სისტემის რეფორმის ფარგლებში უნდა შევქმნათ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხთა საქმიანი და კვალიფიციური განხილვის ქმედითი კონსტიტუციურ-უფლებამოსილი მექანიზმი.

II. პოლიტიკური სისტემის რეფორმა გარდაქმნის შეუქცევადობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა

ამხანაგებო! გამოაქვს რა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის განსახილველად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რადიკალური დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის პროგრამა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს შესაძლებლობას მოგვცემს კარდინალურად გავზარდოთ ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანობა, გამოვავლინოთ სოციალისტური სახალხო ხელისუფლების პოტენციალი.

1. რატომ გვჭირდება პოლიტიკური სისტემის რეფორმა

ამ მუშაობას ცარიელ ადგილას, ნულით არ ვიწყებთ. გვაქვს მსოფლიოში პირველი სოციალისტური დემოკრატიის უნიკალური გამოცდილება. სოციალიზმით შობილმა სახალხო ხელისუფლების ფორმებმა და მეთოდებმა უდიდესი გავლენა მოახდინა კაცობრიობის სოციალურ პროგრესზე, შევიდა თანამედროვეობის პოლიტიკურ კულტურაში. სწორედ ჩვენს ქვეყანაში იშვა მშრომელთა ხელისუფლება, რომელიც განსახიერებულია საბჭოების რესპუბლიკით, მუშათა კონტროლი, შრომის უფლება და პიროვნების სხვა უმნიშვნელოვანესი სოციალური უფლებანი, ქალისა და მამაკაცის, ერებისა და ეროვნებების თანასწორუფლებიანობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ პირველები ვიყავით XX საუკუნის მრავალ დემოკრატიულ წამოწყებაში.

მაშ, რატომ დგება დღეს პოლიტიკური სისტემის ძირეული რეფორმის ამოცანა? საქმე, ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა, ის არის, — და ეს დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილმა პოლიტიკურმა სისტემამ გარკვეულ ეტაპზე სერიოზული დეფორმაციები განიცადა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა სტალინისა და მისი გარემოცვის ყოვლისშემძლეობაც, რეპრესიებისა და უკანონობის ტალღაც. იმ წლებში შექმნილმა მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა დამღუპველი ზემოქმედება მოახდინა ჩვენი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა მხარეზე. ამ სისტემაში აქვს ფესვი გადგმული ბევრ სიძნელეს, რომლებსაც ახლაც განვიცდით.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრების ლენინური პრინციპების დარღვევათა დაძლევის შესაძლებლობებს სახავდა, მაგრამ ეს შესაძლებლობანი არ იქნა გამოყენებული, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური დემოკრატიის მნიშვნელობის შეუფასებლობისა და დაკნინების გამო. და ამას კვლავ მოჰყვა კულტის მოვლენათა რეციდივები.

არსებულმა პოლიტიკურმა სისტემამ ველარ დაგვიცვა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაში უძრაობის მოვლენების ზრდისაგან და მარცხისათვის განწირა რეფორმები, რომელთა განხორციელება მაშინ სცადეს. დამახასიათებელი გახდა სამეურნეო-სამმართველო ფუნქციების სულ უფრო მეტი თავმოყრა პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხელში. ამავე დროს ჰიპერტროფირებულ იქნა აღმასრულებელი აპარატის როლი.

სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოში არჩეულ პირთა რიცხვი აღწევდა ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის მესამედს, მაგრამ ამავე დროს მათი ძირითადი მასა ჩამოშორებული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში რეალურ მონაწილეობას.

უძრაობის პერიოდში სამმართველო აპარატი, რომელიც გაიზარდა თითქმის ას საკავშირო და რვაას რესპუბლიკურ სამინისტრომდე და უწყებამდე, პრაქტიკულად უკარნახებდა თავის ნებას მეურნეობასაც და პოლიტიკასაც. სწორედ უწყებებისა და სხვა სამმართველო სტრუქტურების ხელში იყო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, თავიანთი მოქმედებითა თუ უმოქმედობით განსაზღვრავდნენ: რა უნდა ყოფილიყო და რა არა. საბჭოები, და ბევრად პარტიული ორგანოებიც, კონტროლს ველარ უწევდნენ უწყებრივი ინტერესების მოძალებას. უნივერსალურ წესად დამკვიდრდა, რომ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ეკონომიკურად პასუხს არ აგებდა თავისი მოქმედების შედეგებისათვის.

პოლიტიკურ სისტემაში შექმნილი სერიოზული ნაკლი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მეტისმეტი გასახელმწიფოებრიობა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ამოცანათა და ფუნქციათა მოცულობა სოციალიზმის დროს გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კაპიტალიზმის პირობებში. მაგრამ, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა აზრით, სამმართველო ფუნქციების ასეთ გაფართოებას უნდა მივაღწიოთ არა ადმინისტრირებასა და იძულებაზე დაყრდნობილი ხელისუფლების გაძლიერებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული ფაქტორის გააქტიურებით, მართვაში ხალხის ფართო მასების ჩაბმით.

გავიხსენოთ ცნობილი ლენინური განსაზღვრა სოციალისტური სახელმწიფოსი, როგორც უკვე სახელმწიფოსი არა „ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით" ან კიდევ „ნახევრად სახელმწიფოსი", რომელიც თანდათან გარდაიქმნება საზოგადოებრივ თვითმმართველობად. სამწუხაროდ, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ თეორიაში, და პრაქტიკაშიც, ჭარბობდა სახელმწიფოსადმი მიდგომა ამ ცნების სწორედ „სრული", ესე იგი ძველი აზრით. სახელმწიფო რეგულირება გავრცელდა საზოგადოებრივი საქმიანობის უსაზღვროდ ფართო სფეროზე. დეტალური ცენტრალიზებული დაგეგმვითა და ცხოვრების ყველა კუთხის კონტროლით მოცვის მისწრაფებამ პირდაპირ შებოჭა საზოგადოება, სერიოზული მუხრუჭი გახდა ადამიანების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოლექტივების ინიციატივისათვის. ამან სხვებთან ერთად წარმოშვა „ჩრდილოვანი" ეკონომიკა და კულტურა, რომლებიც საზრდოობდნენ სახელმწიფო ორგანოების უუნარობით, რომ დროულად და სრული მოცულობით დაეკმაყოფილებინათ მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

სახელმწიფო სტრუქტურების გაბიუროკრატება, მასების სოციალური შემოქმედების შესუსტება საზოგადოებას აჩვევდა აზროვნების ერთვარიანტულობასა და სტატიკურობას. შეიქმნა და ჯერ კიდევ ახდენს ზემოქმედებას ადამიანთა შეგნებაზე სოციალისტური სახალხო ხელისუფლების გაუბრალოებული, შეკვეცილი სახე, როცა ხელისუფლების ფაქტობრივი აღსრულება გაიგივებულია არა მშრომელთა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასთან, არამედ, უწინარეს ყოვლისა, აღმასრულებელ ორგანოებთან.

და ბოლოს, მოქმედი პოლიტიკური სისტემა ათწლეულების მანძილზე ესადაგებოდა არა საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციას კანონების ფარგლებში, არამედ უმთავრესად ნებელობითი განკარგულებებისა და მითითებების შესრულებას. დემოკრატიული პრინციპების გამოცხადება სიტყვით და ავტორიტარობა საქმით ტრიბუნიდან წარმოთქმული ჯადოსიტყვები სახალხო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი პრაქტიკულად, ლაყბობა დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ და სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმების რეალური ფეხქვეშ გათელვა, კრიტიკისა და საჯაროობის დეფიციტი — ყოველივე ეს საკმაოდ ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა საზოგადოების ცხოვრებაში.

ასეთი მეთოდები ძალზე ძვირად დაგვიჯდა. ამას მოჰყვა უსულგულობა, მასების სოციალური აქტიურობის შენელება, მშრომელი ადამიანის გაუცხოება საზოგადოებრივი საკუთრებისა და მართვისაგან. სწორედ ხელისუფლების გაქვავებული სისტემა, მისი მბრძანებლურ-ზემოქმედებითი წყობა აფერხებს დღეს გარდაქმნის ძირეულ პრობლემებს — ეკონომიკურ რეფორმასაც, სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებასაც, ადამიანებისათვის ქვეყანაში ყოველივე მიმდინარისადმი უაღრესად დაინტერესებული დამოკიდებულების ჩანერგვასაც.

1985 წლის გაზაფხულზე პარტიამ შეურიგებელი ბრძოლა წამოიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების განახლებისათვის. მიმდინარეობს ახალი სამეურნეო მექანიზმის თანდათანობით გამართვა. იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათი. მტკიცდება გარდაქმნის სამართლებრივი საფუძვლები. ჩვენ ვსწავლობთ დემოკრატიასა და საჯაროობას, ვსწავლობთ კამათსა და დისკუსიას, ერთმანეთისათვის სიმართლის თქმას. ეს, რა თქმა უნდა, უკვე ცოტა არ არის.

მაგრამ დემოკრატიზაციის პროცესები — ცენტრშიც, ადგილებზეც — ნელა ვითარდება. დღეს უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ: თუ პოლიტიკური სისტემა უძრავი, შეუცვლელი დარჩა, თავს ვერ გავართმევთ გარდაქმნის ამოცანებს.

ვაყენებთ რა პოლიტიკური სისტემის კარდინალური რეფორმის საკითხს, უნდა ვხელმძღვანელობდეთ, უწინარეს ყოვლისა, ნათელი წარმოდგენით: მისმა რომელმა თვისებებმა გაუძლო დროის შემოწმებას და გვჭირდება დღეს, და პირიქით, რომელი უნდა შევამციროთ მინიმუმამდე ან მთლიანად დავძლიოთ.

როგორც წარმოგვიდგენია, საქმე უნდა შეეხოს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას.

ჯერ ერთი, ყველაფერი ვიღონოთ, რომ მილიონობით მშრომელი ჩაბმული იყოს ქვეყნის მართვაში არა სიტყვით, არამედ საქმით.

მეორე, მაქსიმალური გასაქანი მივცეთ საზოგადოების თვითრეგულირებისა და თვითმმართველობის პროცესებს, შევქმნათ პირობები მოქალაქეების, ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ინიციატივის სრული განვითარებისათვის.

მესამე, გავმართოთ ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის ინტერესებისა და ნების თავისუფალი ფორმირებისა და გამოვლენის, მათი შეთანხმებისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში რეალიზაციის მექანიზმი.

მეოთხე, უზრუნველვყოთ თითოეული ერისა და ეროვნების შემდგომი თავისუფალი განვითარების, ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მათი მეგობრობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განმტკიცების პირობები.

მეხუთე, რადიკალურად განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, რათა გამოვრიცხოთ ძალაუფლების უზურპაციისა და ბოროტმოქმედების შესაძლებლობა, ეფექტიანად წინააღვუდგეთ ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს, უზრუნველვყოთ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, აგრეთვე საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი მათი მოვალეობის შესრულების საიმედო გარანტიები.

მეექვსე, ზუსტად გავმიჯნოთ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციები კომუნისტური პარტიის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის, როლისა და საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ხალხის ძალაუფლების იარაღის, როლის ლენინური კონცეფციის შესაბამისად.

და ბოლოს, მეშვიდე, შევქმნათ ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის დროულ თვითგანახლებას ცვალებადი შინაგანი და საერთაშორისო პირობების გათვალისწინებით, რომელსაც უნარი ექნება სულ უფრო აქტიურად განვითარდეს და დანერგოს ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური დემოკრატიისა და თვითმმართველობის პრინციპები.

2. გარდაქმნა და ადამიანის უფლებები

პოლიტიკური სისტემის რეფორმის საბოლოო მიზანი და იმის მთავარი კრიტერიუმი, თუ რამდენად შევძლებთ მის განხორციელებას, არის ადამიანის უფლებათა ყოვლმხრივი გამდიდრება, საბჭოთა ადამიანების სოციალური აქტიურობის გაზრდა. ამ საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციით შექმნილ საძირკველზე აშენდა ბევრ დარგში მოქალაქის გარანტირებულ უფლებათა შთამბეჭდავი შენობა. ჩვენ ვსარგებლობთ ამით და — ცოდვა გამხელილი სჯობს — იშვიათად ვუფიქრდებით იმას, რომ ყველა ეს უფლება, რომელიც ჩვენთვის ასე ჩვეულია, მსოფლიოს ჯერ კიდევ ბევრ რაიონში რჩება მხოლოდ მშრომელთა იმედად, მათი ბრძოლის მიზნად.

ადამიანის უფლებები ჩვენს საზოგადოებაში სახელმწიფოს ნაბოძები, ვინმეს წყალობა როდია. ეს არის სოციალიზმის განუყოფელი თვისება, მისი მონაპოვარი. პიროვნება და საზოგადოება, მოქალაქე და სახელმწიფო, ადამიანი და კოლექტივი — ყოველივე ეს ერთი და იგივე პრობლემის სხვადასხვა სიბრტყეა. ის, როგორ წყდება იგი, ასახავს პოლიტიკური წყობილების ბუნებას და ბევრად განსაზღვრავს ადამიანთა საქმიანობის შედეგებს, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ყაიდას. ამ პრობლემის სოციალისტური გადაჭრა გამოიხატება კოლექტივისტური და პირადი საწყისის ორგანული შერწყმით. ჩვენი ფილოსოფია საზოგადოების წყობილების ამ საკვანძო საკითხში გამომდინარეობს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ცნობილი ფორმულიდან: თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა. ჩვენ უნდა გავიგოთ, ამხანაგებო, რომ სწორედ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობით, მისთვის მინიჭებული უფლებებითა და დაკისრებული მოვალეობებით განისაზღვრება, საბოლოო ანგარიშით, მისი სოციალური, შრომითი, პოლიტიკური აქტიურობაც. ამასთან არა მარტო უნდა გავიგოთ, არამედ ვიმოქმედოთ ამ მიმართულებით და განვახორციელოთ ეკონომიკური რეფორმა და პოლიტიკური სისტემის რეფორმა.

რა კონკრეტული ამოცანებია აქ დასახული?

უწინარეს ყოვლისა, პიროვნების სოციალური უფლებების შესახებ. ჩვენში შეიქმნა ადამიანისათვის საზოგადოების ზრუნვის განშტოებული სისტემა, მაგრამ განვითარების ახლანდელ ეტაპზე ვხედავთ მის სუსტ ადგილებსა და ნაკლოვანებებს. ვისწრაფვით ყველაფერი ვიღონოთ, რათა გავაუმჯობესოთ მშრომელთა შრომის პირობები, ავამაღლოთ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხი, სოციალური უზრუნველყოფის დონე. ყოველივე ამით გამოიხატება პარტიის მტკიცე მითითება საბჭოთა ადამიანების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის, მათი სოციალური დაცულობის შესახებ.

მაგრამ აი რა უნდა ვთქვათ ამასთან დაკავშირებით. ჩვენ გვსურს განვამტკიცოთ პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გარანტიები, ამისათვის კი საჭიროა ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შესაბამისი ცვლილებანი. მაგრამ ამ ცვლილებების ხასიათიც, მათი განხორციელების ვადებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა საზოგადოების ყველა წევრის შრომით საქმიანობასთან. საზოგადოებისაგან მიღებული სოციალური სიკეთე და შრომისადმი დამოკიდებულება ყველაზე უშუალოდ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. საჭიროა, რომ ყოველმა კაცმა შეიგნოს საკუთარი თავისადმი მომთხოვნელი დამოკიდებულების აუცილებლობა. აქ ერთხელ კიდევ ვლინდება მეურნეობის გაძღოლის სამეურნეოანგარიშებრივი პრინციპების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავუკავშიროთ არა მარტო გასამრჯელო, არამედ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც ადამიანის, თითოეული კოლექტივის შრომით წვლილს. ღირებულებანი და სიკეთე თავისთავად არ ჩნდება. მათ მხოლოდ შრომა ქმნის. ჩვენთვის მიუღებელია საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, შრომის სუსტი დისციპლინა, ინერტულობა, სოციალური სხვისი მოიმედეობა.

დიახ, ჩვენ ვიცით, რომ უძრაობის წლებში არცთუ ცოტა ძნელი პრობლემები დაგვიგროვდა შრომითი საქმიანობის სფეროში. ახლა ჩვენ გვიხდება საქმის გამოსწორება და დაკარგულის ანაზღაურება. და ეს არც ისე იოლია, რადგან მთელ საზოგადოებას ეხება.

გარდაქმნამ დააყენა ადამიანის პოლიტიკური უფლებების საკითხი. მათს რეალიზაციაზე განსაკუთრებით მტკივნეულად იმოქმედა ხელმძღვანელობის ბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა და მათთან დაკავშირებულმა დემოკრატიის შეზღუდვამ. ყოველივე ამან დაამუხრუჭა და გაართულა ხელისუფლებისაგან, პოლიტიკისაგან ადამიანის გაუცხოების დაძლევის პროცესი—ოქტომბრით დაწყებული პროცესი.

პოლიტიკური რეფორმის პროექტი, რომელიც გამოტანილია ჩვენი კონფერენციის განსახილველად, სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ დავაჩქაროთ ქვეყნის საქმეების მართვაში მშრომელთა ფართო ჩაბმის პროცესი. ამისათვის კი, ცხადია, უნდა შეიქმნას რეალური პირობები — შეიცვალოს საარჩევნო სისტემა, განხორციელდეს ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სტრუქტურის რეორგანიზაცია, განახლდეს კანონმდებლობა. რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს მრავალი მილიონი ადამიანის საზოგადოებრივ შეგნებაში შესაბამის ცვლილებებსაც.

აი ახლა ხშირად ამბობენ და წერენ ადგილებიდან, გარდაქმნამ ჩვენამდე არ მოაღწიაო, გვეკითხებიან, როდის მოხდება ეს. მაგრამ გარდაქმნა ციური მანანა არ არის, და იმას კი არ უნდა ველოდოთ, როდის შემოიტანენ მას საიდანღაც, არამედ თვითონ მოვახდინოთ ჩვენს ქალაქსა თუ სოფელში, ჩვენს შრომით კოლექტივში. დღეს განსაკუთრებით გვჭირდება საქციელი, საქმეები, და არა ლაპარაკი გარდაქმნის თაობაზე. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს კადრებზე, რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბის ხელმძღვანელებზე.

მაგრამ იმაში, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ მრავალი ადგილია, სადაც გარდაქმნა ბრკოლდება, მარტო ხელმძღვანელები როდი არიან დამნაშავენი. როგორც მოგეხსენებათ, უფროსობისათვის გადაბრალება ყველაზე ადვილი საქმე და, სხვათა შორის, ჩვენში ძალზე გავრცელებულია. ეს ჩვევა კიდევ შეიძლებოდა როგორღაც გაგვეგო, როცა ქვეყნის საზოგადოებრივი ატმოსფერო, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა არ ქმნიდა სათანადო წანამძღვრებს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამოვლენისათვის. მაგრამ ახლა, ამხანაგებო, ყველაფერი ძირფესვიანად იცვლება, და მრავალნი საფუძვლიანად ჩაებნენ გარდაქმნის ყველა პროცესში. ამიტომ იმათ, ვინც დღეს განაგრძობს ჩივილს, უფროსობისათვის, „ზემოთებისათვის" გადაბრალებას, პირდაპირ უნდა ვკითხოთ: კი მაგრამ, რა გააკეთე შენ გარდაქმნისათვის? **(ხანგრძლივი ტაში).**

საგანგებოდ მინდა შევეხო პოლიტიკურ თავისუფლებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს გამოხატოს თავისი აზრი ყოველგვარ საკითხზე. ამ თავისუფლებათა განხორციელება იმის რეალური გარანტიაა, რომ ყოველგვარი პრობლემა, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, ყოვლმხრივ განიხილებოდეს, რომ აწონილ-დაწონილი იყოს ყველა დადებითი და საწინააღმდეგო აზრი და ეს გვეხმარებოდეს გამოვნახოთ ყველაზე სწორი გადაწყვეტები ყველა მრავალფეროვანი აზრისა და რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ლაპარაკია ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ახალ როლზე. არ უნდა გვაშინებდეს სიახლე, უჩვეულო მსჯელობა, არ უნდა ვმერყეობდეთ და არ ჩავვარდეთ უკიდურესობაში დისკუსიების მიმდინარეობის ყოველი ცვლილებისას.

მინდა შევეხო ისეთ პრინციპულ საკითხსაც, როგორიც არის სინდისის თავისუფლება. ახლა მისდამი გაზრდილ ყურადღებას იჩენენ რუსეთში ქრისტიანობის შემოღების 1000 წლისთავთან დაკავშირებით. ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს დამოკიდებულებას რელიგიური მსოფლმხედველობისადმი, როგორც არამატერიალისტურისადმი, არამეცნიერულისადმი. მაგრამ ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ უპატივცემლოდ მოვეკიდოთ მორწმუნე ადამიანთა სულიერ სამყაროს და მით უმეტეს გამოვიყენოთ რაიმე ადმინისტრაციული ზეგავლენა მატერიალისტური შეხედულებების დასამკვიდრებლად.

70 წლის წინათ მიღებულმა ლენინურმა დეკრეტმა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ შექმნა მათ შორის ურთიერთობის ახალი საფუძვლები. ცნობილია, რომ ეს ურთიერთობა ყოველთვის ნორმალურად არ ყალიბდებოდა. მაგრამ თვით ცხოვრება, ისტორია აერთიანებდა მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს როგორც საბჭოეთის მოქალაქეებს, პატრიოტებს დიდი სამამულო ომის განსაცდელ წლებშიც, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შექმნაშიც და მშვიდობისათვის ბრძოლაშიც.

ყველა მორწმუნე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიას აღიარებენ, სსრ კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. მათი უდიდესი უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს ჩვენს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში. სინდისის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტი, რომელიც ახლა მზადდება, ემყარება ლენინურ პრინციპებს, ითვალისწინებს ყველა თანამედროვე რეალობას.

ახლა — რაც შეეხება მოქალაქეთა პირად უფლებებს. აქაც საჭიროა უფრო ზუსტი საკანონმდებლო მოწესრიგება. ზოგი რამ უკვე გაკეთდა. დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ გადაწყვეტილებას — არ განვიხილოთ ანონიმური წერილები, დავამკვიდროთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კრიტიკისათვის დევნის გამო, სასამართლოში თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების გასაჩივრების, ასეთი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესი, გავაძლიეროთ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა უფლებების დაცვა. მთელი ჩვენი მართლწესრიგი მოწოდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების, ბინის ხელშეუხებლობის, ტელეფონით საუბრის, მიმოწერის, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების საიდუმლოს უფლებათა ზუსტი დაცვა. კანონმა საიმედოდ უნდა დაიცვას ადამიანის პირადი ღირსება.

ყოველნაირად ვიცავთ და უზრუნველვყოფთ რა საბჭოთა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს, ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ისინი მოქალაქეობრივი მოვალეობებისაგან იზოლირებულად. დემოკრატია გულისხმობს გონივრულ საზოგადოებრივ წესრიგს, ურომლისოდაც, კაცმა რომ თქვას, არ შეიძლება იყოს პირადი თავისუფლებაც. ჩვენი კანონმდებლობის მიზანია მტკიცედ დაიცვას საზოგადოება ყოველგვარი ღლეტიების, წამლეჯების, ბაცაცების, ხულიგნების, ცილისმწამებლების, თავხედებისაგან. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებზე ზემოქმედების, მათი ხელახალი აღზრდისა და ნორმალურ შრომით ცხოვრებაში ჩაბმის ეფექტიანი საშუალებანი.

და კიდევ ერთი პრობლემა. პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრება, საერთოდ დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოება უნდა მიმდინარეობდეს კანონიერების განმტკიცების, კანონისადმი უთუო პატივისცემის ჩანერგვის მხარდამხარ. დემოკრატია ვერ შეუთავსდება ვერც თვითნებობას, ვერც უპასუხისმგებლობას, ვერც თავაშვებულობას.

როგორც მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს არაერთგზის წავაწყდით ანტიდემოკრატიული მიზნით დემოკრატიული უფლებების გამოყენების ცდებს. ზოგიერთს ჰგონია, რომ ამგვარად შეიძლება ყოველგვარი საკითხის გადაჭრა — საზღვრების გადაკეთებით დაწყებული და ოპოზიციური პარტიების შექმნით დამთავრებული. (ტაში). სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ დემოკრატიზაციის ამგვარი ბოროტად გამოყენება ძირეულად ეწინააღმდეგება გარდაქმნის ამოცანებს, არ შეესაბამება ხალხის ინტერესებს.

ადამიანის უფლებათა პრობლემას დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპექტიც აქვს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სწორია ჩვენი სოციალისტური არჩევანი, და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი აღმოვფხვრათ ყველა გადახრა და დეფორმაცია, პიროვნების უფლებანი სწორედ სოციალისტურ ნიადაგზე გავამდიდროთ და იმ ფარგლებში და იმ მეთოდებით ვიმოქმედოთ, რომლებიც ჩვენი წყობილების ბუნებას შეესაბამება. მაგრამ თანამედროვე პირობებში ადამიანის უფლებანი და უწინარეს სიცოცხლის უფლება მთელი მსოფლიო გაერთიანების ზრუნვის საგნად იქცევა, ინტერნაციონალიზებული ხდება, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სხვა ასპექტი.

ჩვენ მზად ვართ აქტიურად ვითანამშრომლოთ ყველა სხვა ქვეყანასთან, გავუზიაროთ გამოცდილება, ზედმიწევნით შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი.

დარწმუნებული ვართ, რომ გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს ცხადვყოთ სოციალიზმის უთუო უპირატესობანი ადამიანის ყველა უფლების — სოციალური, პოლიტიკური და ინდივიდუალური უფლებების უზრუნველყოფაში.

3. ხელისუფლების ორგანიზაციის სრულყოფა

ამხანაგებო! ცნობილია, რომ ჩვენი სახელმწიფო იშვა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის იარაღი, ხოლო 60-იანი წლების მიჯნაზე გაკეთდა დასკვნა მის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ თანდათანობით გადაზრდის შესახებ. მაგრამ რაც უფრო ღრმად ვწვდებით პოლიტიკური პროცესის შინაარსს, მით უფრო ცხადი ხდება, რომ საჭიროა ჩვენი სახელმწიფოებრიობა ავიყვანოთ საერთო-სახალხომდე ამ ცნების სრული მოცულობით. ამისათვის საჭიროა ხელისუფლებისა და მართვის ისეთი ორგანიზაცია, როცა გადამწყვეტი, უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ეკუთვნის ხალხს, როცა მაქსიმალურ ასპარეზს მიიღებს საზოგადოების თვითრეგულირებისა და თვითმმართველობის პროცესები. აქ პრინციპული მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების უფლებამოსილებათა სწორ განაწილებას პოლიტიკური სისტემის ძირითად რგოლებს შორის და უწინარეს ყოვლისა პარტიასა და სახელმწიფოს შორის.

ცხოვრება მთელი თავისი სიმწვავით გვისახავს ამოცანას აღვადგინოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების სრულხელისუფლებიანობა, და სანახევრო ზომებით აქ ფონს ვერ გავალთ. პრობლემას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ და კარდინალურად გადავჭრათ.

კონფერენციის წინ გამართულმა დისკუსიამ გვიჩვენა, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ საბჭოების გარდასაქმნელად შემოთავაზებულ ღონისძიებებს მხარს უჭერენ და იწონებენ. ძირითადი პრინციპი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ვერც ერთი სახელმწიფო, სამეურნეო თუ სოციალური საკითხი ვერ გადაიჭრება საბჭოების გარეშე. პარტიის პოლიტიკა — ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული — უნდა ხორციელდებოდეს უწინარესად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როგორც სახალხო ხელისუფლების ორგანოების საშუალებით.

სავსებით მომწიფდა თვითმმართველობის, თვითდაფინანსებისა და თვითუზრუნველყოფის პრინციპებზე ადგილობრივი საქმეების ხელმძღვანელობის რეორგანიზაციის საჭიროება.

იგი უნდა გახდეს ეკონომიკური რეფორმის ორგანული განგრძობა, ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს მთელი საზოგადოების ინტერესები თითოეული მისი ტერიტორიული უჯრედისა და შრომითი კოლექტივის მოთხოვნილებებს, ბოლო მოუღოს უწყებრივ დაქსაქსულობასა და ადგილობრივი მეურნეობის დაქუცმაცებას. უნდა დავაწესოთ საბჭოების სრული პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა საქვეუწყებო ტერიტორიის განვითარების პრობლემების გადაჭრაში, გავზარდოთ მათი ბიუჯეტში დაქვემდებარების მიუხედავად საწარმოთა მოგების ნაწილის ანარიცხები.

საბჭოებს უნდა ჰქონდეთ შემოსავლის სოლიდური, ხანგრძლივ ნორმატივებზე დამყარებული წყაროები, კერძოდ, შემოსულობანი მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსაგან, მათ უნდა დააგროვონ სახსრები დიდი ამოცანების განსახორციელებლად. მათ საჭირო შესაძლებლობანი უნდა ჰქონდეთ მოსახლეობის ფულადი სახსრების მოზიდვის საქმეშიც, რათა გადაიჭრას მოცემული ქალაქის, რაიონის, დაბის მცხოვრებთათვის საერთო სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განვითარების საკითხები.

უნდა დავაჩქაროთ ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში საწარმოთა გადაცემა, რომელთა პროდუქცია უკავშირდება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მივცეთ მათ შესაძლებლობა განალაგონ შეკვეთები ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებშიც. ზუსტად და მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ კანონში საწარმოებთან და კოლმეურნეობებთან, მათს შრომით კოლექტივებთან საბჭოების ურთიერთობა.

ძირფესვიანად უნდა გავაახლოთ წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობის ორგანიზაცია, გავაფართოოთ იმ საკითხების წრე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათს სესიებზე წყდება, გავითვალისწინოთ, რომ დეპუტატთა ნაწილი პერიოდულად უნდა თავისუფლდებოდეს სამსახურებრივი და საწარმოო მოვალეობებისაგან საბჭოებსა და საარჩევნო ოლქებში მუშაობისათვის, უფრო ქმედითი გავხადოთ საბჭოებისა და მათი მუდმივი კომისიების საკონტროლო ფუნქციები. სესიებზე აღმასკომების არჩევისას, განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა დამტკიცებისას წესად უნდა იქცეს ალტერნატიული კანდიდატურების დასახელება, ფარული კენჭისყრა, კონკურსები და სხვა დემოკრატიული ფორმები. უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა რგოლის საბჭოების მუშაობა მიმდინარეობდეს საჯაროდ, მუდამ იყოს ამომრჩეველთა თვალთახედვის არეში.

საბჭოები, ლენინის ჩანაფიქრით, აერთიანებენ საკანონმდებლო, განმკარგულებელ და საკონტროლო ფუნქციებს. მაგრამ ეს არ უარყოფს სახელმწიფო ორგანოებს შორის შრომის რაციონალურ დანაწილებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ურთიერთობისათვის. ფუნქციების სწორი გამიჯვნის, აღმასკომების საქმიანობისადმი წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლის გაძლიერების ინტერესებისათვის დისკუსიის მრავალი მონაწილე მხარს უჭერდა წინადადებას, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში იყოს საბჭოების მუდმივად მოქმედი თავმჯდომარეები და საბჭოების პრეზიდიუმები. ისინი იკისრებდნენ სესიების მომზადების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის კოორდინაციას — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ინტენსიური საქმიანობის ორგანიზაციასთან.

რამდენადაც თანამედროვე პირობებში დასახულია ამოცანა — გავზარდოთ არჩევითი ორგანოების, დეპუტატების როლი, დასაბუთებულად გვესახება იმ ამხანაგების აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ახალი ამოცანების გათვალისწინებით ძალზე საჭიროა საბჭოების როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოების როლი განვამტკიცოთ პარტიის ავტორიტეტით. მაგრამ ეს უნდა მოხდეს მყარ სამართლებრივ საფუძველზე.

(გაგრძელება მე-5 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გაგრძელება

აქ ყველაზე რეალური გზა ის არის, რომ საბჭოების თავმჯდომარეთა პოსტებზე რეკომენდაცია გავუწიოთ, როგორც წესი, შესაბამისი პარტიული კომიტეტების პირველ მდივნებს. როცა სათავეში ჩაუდგებიან საბჭოებსა და მათ პრეზიდიუმებს, ისინი უაღრესად აქტიურად შეუწყობენ ხელს სახალხო წარმომადგენლობის ორგანოების საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესებას.

ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია, იგი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ. ახლა პირველი მდივნები ჩვეულებრივ აღმასრულებელი კომიტეტების წევრები არიან. ეს კი, როგორც მრავალი წლის გამოცდილება ცხადყოფს, ნებსით თუ უნებლიეთ იწვევს აღმასრულებელი ორგანოების, მისი აპარატის პრეროგატივების გაძლიერებას საბჭოების, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოების ავტორიტეტის საზიანოდ.

თუ პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს საბჭოს თავმჯდომარედ აირჩევენ, ეს გაზრდის საბჭოს ავტორიტეტს, გააძლიერებს კონტროლს აღმასკომისა და მისი თავმჯდომარის საქმიანობისადმი, საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად გავმიჯნოთ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციები იმ პირობებში, როცა მმართველობითი საქმიანობის სიმძიმის ცენტრი საბჭოებში გადაინაცვლებს.

მეორე მხრივ, ამხანაგებო, საბჭოების თავმჯდომარეთა პოსტებზე პარტიული ხელმძღვანელებისათვის რეკომენდაციის გაწევა მათ უფრო დაუქვემდებარებს მშრომელთა ქმედით კონტროლს, რადგან არჩევა სესიებზე მოეწყობა ფარული კენჭისყრით. ეს კი ნიშნავს, რომ პარტიული ხელმძღვანელის მანდატს, რომელსაც მას გადასცემენ კომუნისტები, ყოველთვის შეამოწმებენ და დაადასტურებენ ხალხის წარმომადგენლები საბჭოების სისტემის ყველა საფეხურზე. რა თქმა უნდა, დასაშვებია ისეთი შემთხვევები, როცა პარტიული ხელმძღვანელის რეკომენდებულ კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ დეპუტატები. მაშინ, რა თქმა უნდა, პარტიულმა კომიტეტებმა, კომუნისტებმა აქედან შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანონ.

წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა უკეთ გამიჯვნას ხელი უნდა შეუწყოს ისეთი წესის დამკვიდრებამ, რომლის მიხედვით აღმასკომის წევრებსა და მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ შევიდნენ შესაბამისი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში. ახლა ისინი, როგორც საბჭოების დეპუტატები, მართავენ სხდომებს, თავის თავს აძლევენ დავალებებს. ცხადია, ისინი დაინტერესებული არიან იმით, რომ რაც შეიძლება ნაკლები და მცირე იყოს ეს დავალებანი. მიზანშეწონილია, ასეთი პრინციპი გავრცელდეს მოსამართლეებზე, პროკურორებზე, არბიტრებზე, მთლიანად სსრ კავშირში, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში კი, მთავრობის წევრებსა და უწყებების ხელმძღვანელებზე.

მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ არჩევითი თანამდებობების დაკავებას მთელი რიგი დემოკრატიული შეზღუდვები დაუწესდეს.

წარსულის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ შეზღუდვების უქონლობა იყო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ცენტრშიც და ადგილებზეც. ბევრი მაგალითი ვიცით, როცა სავსებით ღირსეული, ნიჭიერი ხელმძღვანელები ათწლეულობით თანამდებობაზე ყოფნისას იფიტებოდნენ, მაინც რჩებოდნენ ხელმძღვანელის სავარძელში და საქმის დამაბრკოლებლად, ზედმეტ ტვირთად იქცეოდნენ ხოლმე.

კონფერენციის წინ გამართული დისკუსიების მასალები ცხადყოფს, რომ ასეთი მდგომარეობის შეცვლა არსებითად საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო მოთხოვნა გახდა. მართალია, ამასთან გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი. ერთნი ეჭვობდნენ, საჭიროა თუ არა დამატებითი შენიშვნა ზედიზედ მესამე ვადით, თუნდაც განსაკუთრებულ შემთხვევაში, არჩევის შესაძლებლობის თაობაზე. მეორეთა აზრით, მესამე ვადით უფლებამოსილებათა გაგრძელება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონისათვის. მოდით, განვიხილოთ ეს წინადადება.

და კიდევ. თუ თეზისებში ვადების შეზღუდვა განეკუთვნება მხოლოდ არჩევითს თანამდებობებს, დისკუსიების მრავალმა მონაწილემ წინადადება წამოაყენა იგი გავრცელებულიყო საბჭოების მიერ დანიშნულ და დამტკიცებულ მუშაკებზეც. ჩვენი აზრით, ეს სწორი შენიშვნაა და მას მხარი უნდა დავუჭიროთ.

განხილულია აგრეთვე წინადადება იმის თაობაზე, რომ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ შეიზღუდოს არჩევითი თანამდებობების დაკავება. ზოგმა საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა და ამტკიცებდა, რომ ეს ნიშნავს ამომრჩეველთა სუვერენული უფლებების შეზღუდვას. ვფიქრობთ, რომ ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ფორმირების მთელი პროცესის ფართო დემოკრატიზაციის კვალობაზე ეს პრობლემა დაკარგავს სიმწვავეს, და მას თვით ამომრჩევლები და დეპუტატები გადაჭრიან დემოკრატიული პროცედურების მეოხებით.

საბჭოების საქმიანობის აღმავლობის უცილობელი პირობაა სახალხო დეპუტატის რეალური პოლიტიკური წონა, ეს კი პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების მთელ პროცესს. ამის გამო საჭიროა ჩვენი საარჩევნო სისტემის მტკიცე განახლება.

ჩვენ ამ გზას უკვე დავადექით, როცა ვასრულებთ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ბოლო არჩევნების დროს საარჩევნო ოლქების ნაწილში იგი ჩატარდა მრავალმანდატიანი სქემით, ბევრ ოლქში ასახელებდნენ ორ და მეტ კანდიდატს. განხილულ კანდიდატურათა საერთო რიცხვმა მთლიანად ქვეყანაში თითქმის ერთიორად გადააჭარბა მანდატების რიცხვს. შეჯიბრებამ გამოაცოცხლა არჩევნები, გააძლიერა მისდამი ამომრჩეველთა ინტერესი, გაზარდა დეპუტატთა პასუხისმგებლობა. ახლა წინ უნდა წავიწიოთ, დავეუფლოთ და განვამტკიცოთ ახალი მიდგომა საარჩევნო სისტემისადმი.

საბჭოების ფორმირებისას უნდა უზრუნველვყოთ კანდიდატურების შეუზღუდავი დასახელების უფლება, მათი ფართო და თავისუფალი განხილვა, არჩევნების დემოკრატიული პროცედურის მკაცრი დაცვა, დეპუტატების რეგულარული ანგარიშგება, მათი გამოწვევის შესაძლებლობა. უფრო ფართო უფლებამოსილებანი უნდა მივანიჭოთ საოლქო წინასაარჩევნო კრებებს, რომლებიც შეჯიბრების გზით კანდიდატთა შერჩევის დემოკრატიული ფორუმები უნდა გახდეს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ამიერიდან დეპუტატთა კორპუსი უნდა ჩამოყალიბდეს არა განრიგის მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა, ამომრჩეველთა ცოცხალი, თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე. საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის პირველი პირობაა მათში პრინციპული, ენერგიული და გამოცდილი, სახელმწიფო მასშტაბით აზროვნების უნარის მქონე ადამიანების არჩევა, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ თავიანთი ამომრჩევლების ღირსეული წარმომადგენლები და აქტიურად იმოქმედონ ხელისუფლების ორგანოებში.

არ უნდა გვეშინოდეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის არაპროპორციული წარმომადგენლობისა. მებრძოლი, პოლიტიკურად წიგნიერი და აქტიური ადამიანები გვყავს მუშათა კლასში, გლეხობაში, ინტელიგენციაში. საჭიროა მხოლოდ შევქმნათ შეჯიბრების კარგად გამართული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩევლების მიერ მათ საუკეთესო შერჩევას. მაშინ მოსახლეობის ყველა ძირითადი ჯგუფი, მათი ინტერესები აისახება საბჭოების შემადგენლობაში. როგორც გვესმის, საზოგადოებაში ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობის რიცხვის შემცირების მხრივ თანხმობა სუფევს.

კონფერენციისათვის ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვისას ფართო მხარდაჭერა პოვა წინადადებამ, რომ ყველა საბჭოსათვის დაწესდეს უფლებამოსილებათა ერთი ვადა — ხუთი წელი. ასეთ პირობებში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები უფრო გულდაჯერებით იმუშავებენ, საკმარისი დრო ექნებათ თავიანთი ჩანაფიქრების რეალიზაციისათვის. ამომრჩევლებს ყოველთვის რჩებათ უფლება გამოიწვიონ უნიათო და ისეთი დეპუტატი, რომელიც საქმეს ვერ გაუძლებს, ან საჭიროების შემთხვევაში შეავსონ საბჭოს შემადგენლობა.

საბჭოების ეფექტიანი მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის აგებული საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და რა უფლებამოსილებანი აქვთ მათ. ყველასათვის ცხადია: მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პრეზიდიუმი, კომისიები სასარგებლო მუშაობას ეწევიან, ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და მისი საქმიანობის რეჟიმი არსებით ცვლილებებს საჭიროებს. ცენტრალური კომიტეტის თეზისების გარშემო გამართულ დისკუსიებში, მათი მონაწილენი ამ საკითხს განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდნენ.

შემოვიდა ბევრი წინადადება, რომ მივმართოთ ოქტომბრის შემდგომი პირველი ათწლეულების გამოცდილებას, როცა ჩვენში მოქმედებდა საბჭოების ყრილობათა სისტემა. ეს იყო ფართო და სრულუფლებიანი სახალხო კრებები, რომლებიც შუალედებში მუშაობდნენ უაღრესად სრულუფლებიანი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები. წარმომადგენლობის მასობრიობა ეხამებოდა კანონმდებლობის, მართვისა და კონტროლის ხაზით განუწყვეტელ მუშაობას. დისკუსიების დროს გამოითქვა ის აზრიც, რომ საჭიროა, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშუალო წარმომადგენლობა.

განაზოგადებს რა იმ აზრს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს კონფერენციის განსახილველად შემოაქვს შემდეგი წინადადებანი.

პირველი. მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ მშრომელთა წარმომადგენლობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში. ამისათვის მთელი მოსახლეობის ტერიტორიულ წარმომადგენლობას კავშირის საბჭოში და ერებისა და ეროვნებათა წარმომადგენლობას ეროვნებათა საბჭოში დავამატოთ ჩვენი პოლიტიკურ სისტემაში შემავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშუალო წარმომადგენლობაც. ამრიგად, 1 500 დეპუტატს აირჩევენ, როგორც ახლა, ტერიტორიული და ეროვნული ოლქებისაგან, დამატებით კიდევ 750 დეპუტატს კი აირჩევენ პარტიული, პროფკავშირული, კოოპერაციული, ახალგაზრდული, ქალთა, ვეტერანთა, მეცნიერული, შემოქმედებითი და სხვა ორგანიზაციების ყრილობებზე ან ცენტრალური ორგანოების პლენუმებზე. ამ ორგანიზაციების ნუსხა და წარმომადგენლობის ნორმები შეიძლება განისაზღვროს კონსტიტუციით.

ხუთი წლის ვადით არჩეული ყველა დეპუტატი ერთად შეადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ახალ წარმომადგენლობით უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

იგი შეიკრიბება თავის სხდომებზე წელიწადში ერთხელ, გადაჭრის ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვან კონსტიტუციურ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს.

საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ხასიათის ყველა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის, ანგარიშვალდებული ორგანოებისა და ქვემდგომი საბჭოების მუშაობის წარმართვისათვის სახალხო დეპუტატთა ყრილობა თავისი შემადგენლობიდან აირჩევს სსრ კავშირის რიცხობრივად შედარებით პატარა, (ვთქვათ, 400-450 კაცი), ორი პალატისაგან შემდგარ უმაღლეს საბჭოს. ეს იქნება ხელისუფლების მუდმივმოქმედი სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი ანგარიშვალდებული უმაღლესი ორგანო. ამრიგად, კანონმდებლობისა და კონტროლისათვის მთელი მუშაობა კონცენტრირებული იქნება უშუალოდ უმაღლეს საბჭოსა და მის კომისიებში, რაც ახალი წინგადადგმული ნაბიჯია უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურების დემოკრატიზაციის გზაზე. შეიძლება ვიფიქროთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნაწილის პერიოდული განახლების თაობაზეც.

მეორე. უნდა გავააქტიუროთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა მუშაობა, და უარი ვთქვათ მათს ამჟამინდელ ფუნქციურ გაუპიროვნებაზე.

რა თქმა უნდა, კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების ძირითადი პრობლემების გამო გადაწყვეტილებანი, როგორც წინათ, უნდა განიხილონ და მიიღონ უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის წევრებმა.

ამასთან ეროვნებათა საბჭოს, რომელიც ქვეყნის ყველა ეროვნულ-სახელმწიფო და ეროვნულ-ადმინისტრაციულ ფორმირებას წარმოადგენს, შეეძლება განიხილოს მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, ამ სფეროში კანონმდებლობის დაცვის, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების იმ საქმიანობისადმი კონტროლის საკითხები, რომელიც ეხება რესპუბლიკების, ავტონომიური ერთეულების ინტერესებსა და ა. შ.

თავის მხრივ, კავშირის საბჭოს, რომელიც გამოხატავს საერთო-სახალხო ინტერესებს, ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის მოთხოვნებს, შეეძლება მთავარი ყურადღება დაუთმოს დიდი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და გეგმების შემუშავებას, ფასებისა და დაბეგვრის დარგში პოლიტიკის, შრომითი ურთიერთობის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხებსა და სხვა.

აქ, ჩვენს კონფერენციაზე, უნდა შევთანხმდეთ პრინციპული თვალსაზრისით პალატების ფუნქციების გამიჯვნის თაობაზე. კონკრეტულად ყოველივე ეს უნდა აისახოს სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში.

განხილვამ გამოავლინა კიდევ ერთი თემა, რომლის გამოც აქტიური დისკუსია გაიმართა, — ეს არის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო პოსტების თანაფარდობის, უმაღლესი ხელისუფლების სტრუქტურაში მათი ადგილის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ერთნი თვლიან, რომ სწორი იქნება დავუბრუნდეთ პრაქტიკას, რომელიც არსებობდა ვ. ი. ლენინის დროს, როცა პარტიის ლიდერი ამავე დროს იყო მთავრობის მეთაური. მეორენი ამბობენ, რომ საერთოდ არ არის სასურველი პარტიული და სახელმწიფო პოსტების შეთავსება. მესამენი მოითხოვენ სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებას. მეოთხენი აღნიშნავენ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია არ შეესაბამება ისეთ მდგომარეობას, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ფაქტობრივად ასრულებს ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლის როლს. გამოთქვამენ ბევრ სხვა მოსაზრებასაც.

ეს საკითხი, ამხანაგებო, სერიოზულია, და იგი საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ ჩვენს კონფერენციაზე. თანაც ისე, რომ ოპტიმალურად გადაწყდეს პოლიტიკური სისტემის რეფორმის დროს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების მთელი სისტემის როლის გაძლიერებას, ხელისუფლების სამართლებრივი ხასიათის განმტკიცებას, საბჭოთა კავშირის უკეთ წარმომადგენლობას მსოფლიო საქმეებში შეესაბამება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტის დაწესება.

უნდა დადგინდეს, რომ მისი არჩევა და გაწვევა ხდება ფარული კენჭისყრით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და იგი სავსებით პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. წარმომადგენლობითი ორგანოების როლის საერთო გაძლიერების პირობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს უნდა მიენიჭოს საკმაოდ ფართო სახელმწიფო უფლებამოსილებანი. იგი, კერძოდ, საერთო ხელმძღვანელობას გაუწევდა კანონებისა და უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მომზადებას, გადაწყვეტდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების საკვანძო საკითხებს, სათავეში ჩაუდგებოდა თავდაცვის საბჭოს, შეიტანდა წინადადებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის თაობაზე, აგრეთვე შეასრულებდა სახელმწიფოში ასეთი პოსტისათვის ტრადიციულ მთელ რიგ სხვა მოვალეობებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმაღლესი ხელისუფლების სტრუქტურაში უნდა იყოს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც იმუშავებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდოდა თავმჯდომარის ორი პირველი მოადგილე, რომელთაგან ერთი იქნებოდა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე; თხუთმეტი მოადგილე (მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით), უმაღლესი საბჭოს პალატების, მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები. პრეზიდიუმი მოიწვევდა სესიებს, კოორდინაციას გაუწევდა უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და დეპუტატების მუშაობას, აგრეთვე ექნებოდა ზოგიერთი წარმომადგენლობითი და სხვა უფლებამოსილებანი.

მიზანშეწონილია განვამტკიცოთ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუდმივ კომისიათა სტატუსი, რომლებიც შეიქმნებოდა უმაღლესი საბჭოს წევრთაგან და სახალხო დეპუტატთა ყრილობის დეპუტატთაგან. ისინი შეიძლება შეიქმნას, როგორც ცალ-ცალკე პალატების მიხედვით, ისე ერთობლივად (გაერთიანებული კომიტეტები).

კომისიებისა და კომიტეტების უფლებამოსილებანი ახალი ამოცანების გათვალისწინებით არსებითად უნდა გაფართოვდეს. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ მხოლოდ მათი წინასწარი განხილვის შემდეგ შეიძლება გადაწყვეტილებების მიღება საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების, სხვა თანამდებობის პირთა პოსტებზე დანიშვნის დიდ საკითხებზე. უფრო ფართოდ უნდა მოეწყოს ღია მოსმენები კომისიებსა და კომიტეტებში, შეიქმნას სპეციალური დეპუტატთა ჯგუფები იმ პრობლემების შესასწავლად, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევენ.

დგება საკითხიც, რომ უმაღლესი ხელისუფლების სტრუქტურაში შეიქმნას ისეთი ორგანო, როგორიც კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტია, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა აირჩევს. იგი თვალს ადევნებდა, რამდენად შეესაბამება ჩვენი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები ქვეყნის ძირითად კანონს, და აღიჭურვებოდა ამისათვის საკმაო უფლებამოსილებით. სხვათა შორის, ამ კომიტეტის არსებობა დამატებითი გარანტია იქნებოდა იმისათვის, რომ დემოკრატიული კონტროლი გაეწიოს ყველა თანამდებობის პირის, მათ შორის იმათ საქმიანობას, ვისაც უმაღლესი პოსტები უკავია.

მესამე. უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაციის ახალი ფორმები თავისთავად ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას. ამისათვის საჭიროა არსებითად შეიცვალოს თავად უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ხასიათი და სტილი. თავიდან უნდა ავიცილოთ სესიებზე გრძელი სიტყვები და თვითანგარიშები, მეტისმეტი ორგანიზებულობა და ფორმალიზმი, სესიები უნდა გახდეს ცოცხალი და მომთხოვნი, ერთმანეთს უდარებდეს შემოთავაზებულ გადაწყვეტილებათა ვარიანტებს, განიხილავდეს შესწორებებს, დამატებებს, საწინააღმდეგო აზრებს. კარგი იქნებოდა, შემოგვეღო დეპუტატთა შეკითხვებზე მთავრობის პასუხის დღეები, გაგვეფართოებინა დეპუტატთა შეკითხვების პრაქტიკა.

რა თქმა უნდა, ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ჩვენ არ გვექნება სრული ერთსულოვნება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგრამ ეს დემოკრატიული პროცესისათვის ნორმალური მოვლენაა. საერთოდ, უკვე დიდი ხანია დროა ვისწავლოთ, როგორ მოვეკიდოთ გულისხმიერად ოპონენტს, დავძლიოთ მისდამი აკვიატებული მიკერძოება. აზრთა სოციალისტური პლურალიზმი, კამათი, დისკუსია, შეხედულებათა დაპირისპირება უკეთესი, ოპტიმალური გადაწყვეტების ძიების გზაა.

გთავაზობთ რა სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის სტრუქტურასა და ორგანიზაციაში ამ ცვლილებებს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ბევრი მათგანი მისაღებია რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისთვისაც. ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობდა მათი როლისა და ავტორიტეტის გაზრდას, საერთოდ, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოების დამადასტურებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ხელისუფლების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების დემოკრატიული ფუნქციონირების აგებულებასა და რეჟიმში ერთიანობა უზრუნველყოფდა საერთოდ საბჭოების მთელი სისტემის ეფექტიან და შეწყობილ მუშაობას.

დასახულ ცვლილებათა გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების ფორმირების, სტრუქტურისა და ფუნქციათა საკითხები.

თუ დელეგატები თანახმანი იქნებიან, ყველა ეს წინადადება შეიძლება ჩამოყალიბდეს კონფერენციის სპეციალურ რეზოლუციაში. თანაც არ უნდა გადავდოთ საბჭოების გარდაქმნა ხანგრძლივი ვადით.

კერძოდ, უკვე ამა წლის შემოდგომაზე შეიძლებოდა განგვეხილა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ხოლო გაისად გაზაფხულზე მორიგი არჩევნების შემდეგ განგვეხორციელებინა სახელმწიფო ხელისუფლების საერთო-საკავშირო ორგანოების რეორგანიზაცია.

საბჭოების, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფუნდამენტის განმტკიცებასთან ერთად საჭიროა შევქმნათ უშუალო დემოკრატიის ყოველნაირად განვითარების პირობები — წარმოებაში, საცხოვრებელ ადგილებში, მოქალაქეთა კრებებსა და ყრილობებზე, უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი გადაწყვეტილებების განხილვის პროცესში.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რამდენად ეფექტიანია ისეთი უდიდესი საერთო-სახელმწიფო გადაწყვეტილებების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა, როგორიც არის სახელმწიფო საწარმოს, კოოპერაციის, სკოლის რეფორმის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის შესახებ და სხვანი. გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ახლა, უნდა მივიღოთ ხოლმე გადაწყვეტილებანი მოქალაქეთა კენჭისყრით სოფლის, რაიონის, ქალაქის დონეზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც ცხოვლად ეხება ადამიანებს და რომელთა შესახებ არ არის ერთიანი აზრი. დაე, ასეთ შემთხვევებში ესა თუ ის პრობლემები უმრავლესობამ გადაწყვიტოს.

უზარმაზარი რეზერვებია ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის ყველა ფორმის განვითარებაში. ჩვენ უკვე გვაქვს სამართლებრივიც, პოლიტიკურიც, რამდენადმე ფსიქოლოგიური საფუძველიც ამ ფორმების ფართო გამოყენებისათვის, განსაკუთრებით შრომით კოლექტივებში. ყოველმხრივ ვაფასებთ რა საკუთარ გამოცდილებას და სოციალისტურ ქვეყნებში ჩვენი მეგობრობის გამოცდილებასაც, კიდევ და კიდევ უნდა გავიაზროთ აქ წამოყენებული საკითხები იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა სახელმწიფო ორგანოების ცალკეული ფუნქციები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს ამა თუ იმ თვითმმართველ ორგანიზაციას. მთავარია, ეს მოხდეს არა ფორმალურად, არამედ არსებითად.

ჩვენ ყველანი იმის მოწმენი ვართ, როგორ ვლინდება მშრომელთა თვითშემოქმედება სულ სხვადასხვა სფეროში გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის გაშლის პირობებში. თუმცა, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ამხანაგებო, რომ აქ ყველაფერი არც ისე მარტივად არის. ავიღოთ, მაგალითად, შრომითი კოლექტივი, რომელიც სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. მას თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობა შეუძლია მხოლოდ როგორც თვითმმართველ ორგანიზმს. ეს კი ნიშნავს, რომ აქ ახლებურად დგება საერთო კრებასა და კოლექტივის საბჭოს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთმოქმედების, სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან მთელი ამ კომპლექსის ურთიერთობის საკითხები. გამოცდილება ჩვენ ჯერ კიდევ, შეიძლება, მცირე გვაქვს, მაგრამ იგი ყოველდღიურად მატულობს, და თადარიგიანად უნდა გამოვიყენოთ იგი თვითმმართველობის პროცესის განვითარების ინტერესებისათვის.

და ბოლოს, მინდა შევეხო სოციალისტური სახალხო ხელისუფლების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას — კონტროლს.

მუშათა კონტროლის იდეა ოქტომბერს უკავშირდება. მას, როგორც ცნობილია, გულდასმით იკვლევდა ლენინი თავის ბოლო ნაშრომებში. სწორედ მასების კონტროლი მიაჩნდა მას თვითნებობის, სუბიექტივიზმის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ერთ-ერთ გადამწყვეტ გარანტიად, მტკიცე სოციალისტური დისციპლინის — შრომის, სახელმწიფო, საგეგმო, სამეურნეო, საფინანსო დისციპლინის უზრუნველყოფის საშუალებად.

მშრომელთა მხრივ კონტროლი სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია, რომელიც ორგანულად ახასიათებს ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას.

დღეს, როცა დემოკრატიზაციისა და თვითმმართველობის პროცესებს ვავითარებთ, სრულად უნდა გამოვიყენოთ სახალხო ხელისუფლების ეს ინსტრუმენტი.

როგორც ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივ-სახელმწიფო კონტროლის ერთიანი, ხელისუფლების არჩევითი ორგანოებისადმი დაქვემდებარებული სისტემა. ხოლო იმისათვის, რომ ამ სისტემას სათანადო წონა ჰქონდეს, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება იყოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. კონტროლის ასეთი სისტემა, რომელშიც შეხამებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწყისები და რომელიც ეყრდნობა შრომით კოლექტივებში მომუშავე სახალხო კონტროლიორების ფართო ქსელს, ნეგატიური მოვლენებისაგან საზოგადოების განწმენდის ნამდვილად მძლავრი ძალა, თვითმმართველობის მასობრივი სკოლა გახდება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ, ერთი მხრივ, უნდა აღვადგინოთ ლენინის დროინდელი მუშურ-გლეხური ინსპექციის კარგი ტრადიცია, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ამოცანების დონეზე ავიყვანოთ მთელი საკონტროლო მუშაობა.

4. სახელმწიფო მართვის დემოკრატიზაცია

ამხანაგებო! ახლა, როცა პირველ პლანზე დგება მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ყოველმხრივ გაფართოების ამოცანა, უნდა გავიაზროთ, როგორ გამოვიყენოთ კონკრეტულ პირობებში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. ამ საკითხის შესწავლას მივყავართ დასკვნამდე: მთავარი ტენდენცია, რომელიც საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს შეესაბამება, — ეს არის დეცენტრალიზაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, ხორციელდება ცენტრის იმ ფუნქციების შენარჩუნებით, რომელთა გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაცია, საერთო-სახალხო ინტერესების უზრუნველყოფა.

ობიექტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის ახლანდელი მასშტაბის, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემების მრავალფეროვნების პირობებში არ შეიძლება ერთ ცენტრიდან დროულად და სწორად გადაწყდეს ყველა წამოჭრილი საკითხი, ეს კი განსაზღვრავს იმის საჭიროებას, რომ ბევრი რწმუნებანი გადაეცეთ ადგილებზე — რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და რაიონებს, შრომით კოლექტივებს.

ჯერჯერობით კი, ამხანაგებო, სიტუაცია ისეთია, რომ არა მარტო მთავრობას, არამედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსაც, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსაც უხდება გადაწყვიტოს ათობით და ასობით საკითხი, რომელთა უმრავლესობა საქმისათვის ზიანის მიუყენებლად შეიძლება გადაეცეს ქვემდგომ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოებს.

ასეთ წესს ყველა შეეჩვია. ხელმძღვანელი კადრები, აქვთ საბაბი თუ არა, სხვადასხვა თხოვნის შემცველ დეპეშებს უგზავნიან ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას, ხოლო მოქალაქეები მრავალრიცხოვანი განცხადებებით მიმართავენ საკითხებზე, რომლებიც თავისი არსით ადგილებზე უნდა გადაიჭრას, თანაც ქალაქში, რაიონში, სოფელში.

რა თქმა უნდა, ფუნქციებისა და უფლებამოსილების გადანაწილება ფრიად პასუხსაგები საქმეა, არ შეიძლება მისი თვითდინებაზე მიშვება. აქ საჭიროა ძლიერი პოლიტიკური იმპულსიც და ზუსტი სამართლებრივი საფუძველიც. განვახორციელოთ მასშტაბით მნიშვნელოვანი დეცენტრალიზაცია — ნიშნავს უზრუნველვყოთ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის კაპილარებში სისხლის მაცოცხლებელი მოდინება. მაგრამ გასაგებია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავარღვიოთ ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის ტვინისა და გულის სისხლმომარაგება.

ამაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი ანგარიშვალდებული ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა. პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის პირობებში განუზომლად იზრდება მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გეგმებისა და პერსპექტიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ამ ფუნქციების შესასრულებლად მინისტრთა საბჭოს აქვს ჩვენი კონსტიტუციით გათვალისწინებული ფართო უფლებამოსილებანი.

ვაღიარებთ რა დეცენტრალიზაციისა და უწყებრიობასთან ბრძოლის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, ამასთანავე მკაფიოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ საერთო არა აქვთ რა კუთხურობის წაქეზებასთან. და რაკი ასეთი საფრთხე სავსებით რეალურია, ჩვენ გვჭირდება სერიოზული დაპირისპირებანი. ცენტრს უნდა შევუნარჩუნოთ თავისი სიტყვის თქმის უფლება, ხოლო ყველაზე მთავარია არსებითად განვამტკიცოთ დემოკრატიული კონტროლი ქვემოდან, მშრომელთა მხრივ. ჩვენ ყველანი, ვფიქრობ, ხმას მივცემთ თვითმმართველობას, თუმცა თვითნებობის წინააღმდეგ, ადგილობრივი ინტერესების ხარჯზე, მაგრამ იმასაც, რომ ისინი აუცილებლად შეესაბამებოდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს. ერთი სიტყვით, უხეშ შეცდომას დაუშვებენ ისინი, ვინც ჩათვლის, რომ დეცენტრალიზაციის გზი რაზებს უხსნის კუთხურობასა თუ რეგიონალურ ეგოიზმს.

ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზაციის რაციონალური შეხამების პრობლემა დგება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, კოოპერაციის შესახებ, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონების მიღებასთან დაკავშირებითაც. მართვის ორგანოების ფუნქციებისა და სტრუქტურის განსაზღვრაში ამოსავალი პუნქტი უნდა იყოს ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპები. მათ უკვე აღარ შეუძლიათ უწინდებურად შრომითი კოლექტივების მბრძანებლობა.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, სამეურნეოანგარიშიანი რგოლის, ცალკეული შრომითი კოლექტივისა თუ კოოპერატივის დონეზე დემოკრატიზაცია არ მოგვცემს სათანადო ეფექტს — და ამაში ჩვენ უკვე რეფორმის პირველ ეტაპზე დავრწმუნდით, — თუ არ შეივსო სამინისტროების, ტერიტორიული ორგანოების, ცენტრალური ეკონომიკური უწყებების დონეზე მართვის დემოკრატიზაციით.

ეს კი ნიშნავს, რომ თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ სტრუქტურის გამარტივების, ერთგვაროვანი დარგებისა და საქმიანობის სფეროების მართვის ორგანოების გაერთიანების, სამინისტროთა და უწყებათა რიცხვის შემცირების, ზედმეტი რგოლების, შუალედური და გადასაცემი სტრუქტურების ლიკვიდაციის გზა.

ჩვენ ყველას გვესმის, ამხანაგებო, რომ ახლა, როცა წყდება საზოგადოების გარდაქმნის, დემოკრატიზაციის, მართვაში ხალხის ფართო ჩაბმის ურთულესი ამოცანები, ჩვენ ფონს ვერ გავალთ უაპარატოდ და უპატივცემლოდ არ უნდა მოვეკიდოთ მის კადრებს. მართვის აპარატი ჩვენ გვჭირდება, მაგრამ იგი ახლანდელთან შედარებით სხვანაირი უნდა იყოს.

უნდა ვიბრძოლოთ ახალი ტიპის აპარატისათვის, რომელიც ემყარება მაღალ პროფესიონალიზმს, ფლობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიას, რომელსაც დემოკრატიულად აკონტროლებს ხალხი, უწერი შესწევს წინ წასწიოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესი. ასეთ აპარატში უნდა იმუშაონ ადამიანებმა, რომლებმაც კარგად იციან მართვის მეცნიერების საფუძვლები. აქედან გამომდინარეობს ამოცანაც, რომ ახლებურად, თანამედროვე დონეზე მოვაგვაროთ შესაბამისი კადრების მომზადება და გადამზადება.

მართვის სტრუქტურის მოგვარებისათვის მუშაობა ახლა ყველა რგოლში დაიწყო. ლიკვიდირებულია სამინისტროებისა და უწყებების ნაწილი ცენტრში და რესპუბლიკებში, სამმართველო ქვეგანაყოფები ადგილებზე. განხილული და დამტკიცებულია მართვის ახალი გენერალური სქემები. მათ შესაბამისად საკავშირო უწყებათა აპარატი მცირდება 40 პროცენტით, მოკავშირე რესპუბლიკებში — სანახევროდ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში — მესამედით. დაწყებული ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში უკვე საწარმოებიც თავისუფლდებიან ზედმეტი ადმინისტრაციული პერსონალისაგან.

ეს პროცესი კი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს, აწყდება წინააღმდეგობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსაც, მთავრობასაც სამართლიანად აკრიტიკებენ მშრომელები იმის გამო, რომ საქმე ნელა მიდის. დღესაც გარდაქმნის სამი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ვეებერთელა სამმართველო აპარატი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები, ამასთან ანგარიშს არ უწევს საზოგადოების ინტერესებს. აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, ორიენტაცია უნდა ავიღოთ ხალხის სრულიად დასაბუთებულ მოთხოვნებზე.

როცა ვამბობთ, რომ საჭიროა ჩვენში მოქმედი მართვის სისტემის ეფექტიანობის რადიკალური ზრდა, უნდა ვიგულისხმოთ იგი მთლიანად. მისი ვერც ერთი რგოლი ვერ დარჩება დემოკრატიული განახლების პრინციპებზე გარდაქმნის გარეშე. ეს სავსებით ეხებათ საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ დაწესებულებებს. ამ ბოლო დროს აქ მიმდინარე არსებითი ცვლილებები ნორმალური პროცესია, რომელიც დროის სულისკვეთებას შეესაბამება. მხარი უნდა დავუჭიროთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, თავდაცვის სამინისტროს და გენერალური შტაბის მიზანდასახულ მუშაობასაც ჩვენი საზოგადოების განვითარების, დემოკრატიული პროცესების გაშლის ახლანდელი ეტაპის პირობებში თავიანთი საქმიანობის სრულყოფისათვის.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, დემოკრატიზაციის პროცესი მწვავედ აყენებს ცენტრისა და ადგილების, არჩევითი და აღმასრულებელი ორგანოების სწორი შეხამების დადგენის, მართვაში მშრომელთა მონაწილეობის რეალური გაფართოების გზით, მართვის სისტემის თვისებრივი გაუმჯობესების ამოცანას. საკითხი, მაშასადამე, არ ამოიწურება წმინდა ორგანიზაციული ცვლილებებით, და ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი მუშაობის ხასიათის გასაგებად.

5. ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განვითარება

ამხანაგებო! სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი გახდა ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული თანასწორუფლებიან ერთა და ეროვნებათა კავშირი. ეს საშუალებას გვაძლევს დღეს ღრმა რწმენით ვთქვათ, რომ კვლავაც ჩვენი განვითარების ერთადერთი ჯანსაღი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება.

ცხოვრებამ დაადასტურა ჩვენი დიადი კავშირის ორგანიზაციაში მოცემული იდეის სისწორე — ძალების მოკრებამ, გაერთიანებამ საშუალება მისცა თითოეულ ერს და მთლიანად საზოგადოებას მკვეთრად დაეჩქარებინა თავისი წინსვლა, გასულიყო ისტორიული პროგრესის ახალ მიჯნებზე. ჩვენს გზაზე არსებული ყველა სიძნელის მიუხედავად, დღეს აღვნიშნავთ, რომ ამ კავშირმა გაუძლო დროის გამოცდას. იგი კვლავ ყველა ჩვენი ხალხის შემდგომი განვითარების გადამწყვეტი წანამძღვარია.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განვითარების საკითხს, როგორც ცნობილია, უნდა მიეძღვნას ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენუმი. მაგრამ უკვე ახლა, ჩვენს კონფერენციაზე, უნდა მივმართოთ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან და საჭირბოროტო პრობლემას. აქ უნდა ვხედავდეთ მთელ რეალურ სურათს: უეჭველ მიღწევებსაც, აშკარა ხარვეზებსაც, შეცდომებსა და სიძნელეებს, რომლებიც გადაუჭრელ კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, აგრეთვე ზოგჯერ ეროვნული და საერთო-სახალხო ინტერესების ერთმანეთთან მისადაგების უუნარობას უკავშირდება.

ჩვენ საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი ჩამოყალიბებული რესპუბლიკათშორისი სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და ოპტიმიზაციას, უფრო სრულად შევასხათ ხორცი შრომის შიდასაკავშირო დანაწილებისა და კოოპერაციის, მეცნიერულად დასაბუთებული რეგიონალური პოლიტიკის უპირატესობებს. აქ ბევრ რამეს ნიშნავს საჯაროობა. მშრომელები მთლიანად უნდა იყვნენ იმის კურსში, თუ როგორ ვითარდება მათი რესპუბლიკა და რა ადგილი უკავია მას სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. მათ უნდა იცოდნენ, როგორ ცხოვრობენ და ვითარდებიან არა მარტო მათი მეზობლები, არამედ ქვეყნის ყველა რესპუბლიკაც. ასე უნდა მოვიქცეთ იმიტომაც, რომ ვაწყდებით ხოლმე სჯა-ბაასსა და მსჯელობას რესპუბლიკათა ურთიერთობაზე, რომელიც არასაკმარისად სრულ, ანდა ცალმხრივ ინფორმაციას ემყარება.

სწორი იქნება, თუ ჩვენი პარტიული კონფერენცია, როგორც ეკონომიკის სფეროში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საიმედო ორიენტირებს, მხარს დაუჭერს სამართლიანობისა და ერთმანეთის ძმური ინტერნაციონალური დახმარების პრინციპებს, თანამოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების საერთო აღმავლობასაც, ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებასაც.

თანამედროვე ვითარებაში უნდა გავიაზროთ და რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას შევუსაბამოთ მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია, რომ, შეასრულებენ რა ვალდებულებებს საკავშირო ფონდის წინაშე, მათ შეძლონ გაზარდონ წარმოება საკუთარი საჭიროებებისათვის უნარიანი, ინიციატივიანი მეურნეობრიობის გზით. ესეც შეესაბამება ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებს, სტიმულს მისცემს ჩვენს საერთო წინსვლას.

ამ ბოლო წლების მანძილზე დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესში ვლინდება ისეთი პრობლემებიც, რომელთა არსებობა ყოველთვის საკმარისად არ იყო გათვალისწინებული, — მაგალითად ენასთან, კულტურასთან, ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან, ისტორიულ ძეგლებთან, ბუნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარებას, ბუნებრივია, ახლავს ეროვნული თვითშეგნების ზრდა. ეს პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ რადგანაც მასთან დაკავშირებით გაჩენილ ახალ მოთხოვნებს ყოველთვის არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება, ზოგიერთი საკითხი გართულდა, მთელ რიგ შემთხვევებში ნაციონალისტური ელფერი შეიძინა. თუმცა პრინციპულად შეიძლებოდა ისინი მშვიდად გადაგვეჭრა და არ მიგვეცა სხვადასხვაგვარი სპეკულაციისა და ემოციური გადამლაშების საბაბი.

ამ ბოლო დროს თვალნათლივ დავრწმუნდით, რა კვანძებად შეიძლება შეიკრას ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემები. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი ხალხების ძმობასა და მეგობრობას. სხვა გზა, კონსტრუქციული ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს, ამხანაგებო. (**ტაში**). ის კი, ვინც ცდილობს სხვა რამ დაამტკიცოს, საკუთარ თავსაც ატყუებს და სხვებსაც. უფრო მეტიც, როცა ცდილობ ერთმანეთს წაჰკიდო სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, დათესო შუღლი და მტრობა მათ შორის, მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობ შენი ხალხისა და სოციალისტური საზოგადოების წინაშე, რომ აღარაფერი ვთქვათ კანონზე. ობიექტურად ასეთი მოქმედება ხელს უშლის დემოკრატიზაციის პროცესსაც და გარდაქმნის საქმესაც.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხები უნდა განვიხილოთ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების ახლანდელი ეტაპის კონტექსტითაც. უნდა განვაზოგადოთ ჩვენი გამოცდილება, გამოვიყენოთ ყოველივე ღირებული და ამავე დროს გამოვავლინოთ ის, რაც თავიდან უნდა ავიცილოთ. პირდაპირ ვიტყვით, აქ ბევრი რამ დასაფიქრებელია. უწინარესად უნდა შევაფასოთ მრავალი ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებს კავშირისა და რესპუბლიკების ურთიერთმოქმედებას — რამდენად შეესაბამება ისინი ახლანდელ პირობებს, ჩვენი მრავალეროვანი საზოგადოების ამოცანებსა და მოთხოვნილებებს, დემოკრატიის განვითარების დონეს, ეს, როგორც ჩანს, მოითხოვს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ეროვნული ფორმირებების მდგომარეობის, უფლებისა და მოვალეობის დაზუსტებასაც.

ამავე მიდგომის კალაპოტით უნდა განვიხილოთ ასეთი საკითხიც. ჩვენი საზოგადოება გამოირჩევა მოსახლეობის დიდი მოძრაობით, მრავალი ადამიანი ცხოვრობს თავისი ეროვნული ფორმირების ფარგლებს გარეთ, და არის ეროვნებანიც, რომლებსაც არა აქვთ ტერიტორიული ავტონომია. ყოველივე ეს ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს რეალობებია. აქ შეიძლება წარმოიშვას გარკვეული კოლიზიები, და მათი გადაჭრისათვის ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი გზა: საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებული სტრუქტურის ფარგლებში უზრუნველვყოთ თითოეული ერისა და ეროვნების და საბჭოთა ხალხების მთელი გაერთიანების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. სხვა მიდგომა ჩვენს კონკრეტულ პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელია, სხვა გზაზე დადგომის ნებისმიერი ცდა დამღუპველი იქნებოდა.

ავიღოთ, მაგალითად, ყაზახეთი. უზარმაზარი რესპუბლიკა, რომელსაც აქვს განვითარების დიდი შესაძლებლობანი, ნამდვილი ინტერნაციონალური ერთობა, რომლის მიღწევები ყველა ჩვენი ხალხის თანამშრომლობის შედეგია, ამ მიწას ითვისებდნენ და აქ ერთად ცხოვრობენ ყაზახები, რუსები, უკრაინელები, გერმანელები, ყირგიზები, თათრები, უზბეკები, თურქმენები, მრავალი სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ამავე დროს არავინ არ ხდის საეჭვოს ყაზახეთის რესპუბლიკის მთლიანობას. მეტ-ნაკლებად მსგავსივე სურათს ვხედავთ სხვა რესპუბლიკებშიც.

ეკონომიკის და საერთოდ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციას თავიდან ვერ ავიცილებთ. ეროვნული კარჩაკეტილობისადმი ყოველგვარ მისწრაფებას მხოლოდ ეკონომიკური და სულიერი დაკნინება შეიძლება მოჰყვეს. ჩვენი, სოციალისტური, მიდგომა სხვაგვარია: ჩვენ ვიღწვით იმისათვის, რომ ყოველი ეროვნების ადამიანი ნამდვილად იყოს სრულუფლებიანი ქვეყნის ნებისმიერ რაიონში, რომ მან ყველგან შეძლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაცია.

(გაგრძელება მე-6 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გაგრძელება

როცა მხარს ვუჭერთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, იმით ვხელმძღვანელობთ, რომ საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოს განვითარება, ჩვენი ხალხების ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა და ძმობა ცოცხალი დინამიკური პროცესებია. ისინი მუდამ უნდა იყოს როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო ორგანოების თვალთახედვის არეში. მათთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადავჭრათ ხალხთა ნებაზე, მათ ურთიერთთანხმობაზე დაყრდნობით, ყველა საბჭოთა ადამიანის ინტერესთა გათვალისწინებით.

ფრიად საჭიროა, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემის ფარგლებში მუდმივ საფუძველზე არსებობდეს ისეთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც გადაჭრიდნენ ეროვნებათაშორის პრობლემების მთელ კომპლექსს. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ეს უნდა გახდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჩვენი საერთო სახლია. და ჩვენ, მისი პატრონები, მოვალენი ვართ დღენიადაგ ვზრუნავდეთ მისთვის, ვუფრთხილდებოდეთ და ვკეთილვაწყობდეთ, ვცდილობდეთ ისე წარვმართოთ საქმე, რომ მასში მცხოვრები ყველა საბჭოთა ადამიანი გრძნობდეს სიამაყეს თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეს, ალბათ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი კონფერენციის რეზოლუციაში ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის შესახებ.

6. სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის თეზისების იმ დებულებამ, რომ საბჭოთა საზოგადოების თანამიმდევრული დემოკრატიზაციის პროცესმა უნდა დაამთავროს სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა. მოკლედ, სამართლებრივი სახელმწიფოს დახასიათებისათვის მთავარი ის არის, რომ ნამდვილად უზრუნველვყოთ კანონის ზემდგომობა. არც ერთი სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის პირი, კოლექტივი, პარტიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არც ერთი ადამიანი არ თავისუფლდება მოვალეობისაგან, რომ ემორჩილებოდეს კანონს, როგორც მოქალაქე აგებს პასუხს თავისი საერთო-სახალხო სახელმწიფოს წინაშე, ისე სახელმწიფო ხელისუფლებასაც ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინაშე. მათი უფლებები საიმედოდ უნდა იყოს დაცული ხელისუფლების ან მისი წარმომადგენლების ყოველგვარი თვითნებობისაგან.

გარდაქმნამ განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩინა ჩვენში არსებული სამართლებრივი სისტემის კონსერვატიზმი, რომელიც თავისი მნიშვნელოვანი ნაწილით ორიენტირებულია ჭერჭერობით ხელმძღვანელობის არა დემოკრატიულ, არა ეკონომიკურ, არამედ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე. აქედან გამომდინარე მრავალი აკრძალვითა და წვრილმანი რეგლამენტაციით. ბევრი მოქმედი სამართლებრივი აქტი ამიტომ იქცა საზოგადოებრივი განვითარების მუხრუჭად. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა საბჭოთა კანონმდებლობის რეფორმა, რომელმაც უნდა მოიცვას სამართლებრივი ნორმების დიდი მასივი, უწინარეს ყოვლისა ნორმები, რომლებიც სოციალისტურ საკუთრებას, დაგეგმვას, სამეურნეო, შრომითს, საგადასახადო, საპენსიო და სხვა ურთიერთობებს ეხება. კანონმდებლობის განახლების დროს მკაცრად უნდა ვასრულებდეთ პრინციპს — ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო ორგანოების საქმიანობას. იმაზე, თუ რამდენად ზუსტია მართლმსაჯულების სასწორი, დამოკიდებულია ბევრი ადამიანის ბედი, მათი უფლებების დაცვა, იმათი დასჯის აუცილებლობა, ვინც კანონს გადააბიჯა. ამ პირობებში უაღრესად საჭიროა აღვადგინოთ ჩვენი დემოკრატიის სისტემაში სასამართლოს როლის ლენინური ხედვა, მკაცრად შევასრულოთ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მხოლოდ და მხოლოდ კანონისადმი მათი დაქვემდებარების პრინციპი. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია შეიძლება გახდეს სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოების მიერ სასამართლოების არჩევა უფრო ხანგრძლივი, ვთქვათ, ათი წლის ვადით.

საზოგადოებრიობა მოითხოვს გავამკაცროთ პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემულობისათვის, მის საქმიანობაში ჩარევისათვის, უზრუნველვყოთ სამართალწარმოების ისეთი დემოკრატიული საწყისების უმკაცრესად დაცვა, როგორიცაა მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა, საჯაროობა და გულახდილობა, ყოველგვარი წინასწარ აკვიატების, საბრალდებო გადახრის აღმოფხვრა, უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპის განუხრელი განხორციელება.

მართებულად ისმება საკითხი სახალხო მსაჯულთა როლის გადიდების შესახებ. კერძოდ, ყურადსაღებია წინადადება ყველაზე რთული საქმეების განხილვის დროს მსაჯულთა რიცხვის გადიდების თაობაზე.

ამრიგად, ამხანაგებო, ვდგავართ დიდი სასამართლო რეფორმის საჭიროების წინაშე.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ პროკურატურის როლსა და პასუხისმგებლობას. ორი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მას დაეკისრა ბევრი დამატებითი მოვალეობა, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ მეორე ან მესამე პლანზეც კი სწევდნენ კანონიერებისადმი ზედამხედველობის მის ფუნქციებს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო აღმოიფხვრას ეს გადახრა, ამოცანად დასახა დავუბრუნდეთ ლენინურ პოზიციასა და დავამკვიდროთ პროკურორთა მთავარ ფუნქციად ზედამხედველობა საბჭოთა კანონების ყველგან და ზუსტად გაგებისა და გამოყენებისადმი. ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და უწინარეს ყოვლისა პროკურატურიდან გამოვყოთ წინასწარი გამოძიების ძირითადი ნაწილი.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მნიშვნელოვანი პირობაა სისხლის სამართლის, შემდეგ კი საპროცესო და შრომაგასწორებითი კანონმდებლობის შეცვლისათვის დაწყებული მუშაობა, ის რომ, მისი ნორმები შევუსაბამოთ განვითარების თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების მოთხოვნებს.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მილიციის მუშაობის გაუმჯობესებას. უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე მასში პარტიული კომიტეტებისა და შრომითი კოლექტივების რეკომენდაციით მივიდა ათიათასობით კომუნისტი და კომკავშირელი — მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები. ეს ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გაჯანსაღებას, სადაც, როგორც ცნობილია, აგრეთვე ხდება სერიოზული შეფერხებები მუშაობაში და, სამწუხაროდ, ბოროტმოქმედება. მთავარი? რაც უნდა დაგვეხმაროს მილიციის მუშაობის დონის გადაჭრით ამაღლებაში, — ეს არის მუშაობა კადრებთან, მათი პოლიტიკური აღზრდა, იურიდიული მომზადება და პროფესიული ოსტატობის ამაღლება.

მხარდაჭერის ღირსია წინადადებაც, რომ უკვე უახლოეს ხანს სისხლის სამართლის საქმეთა ძირითადი მასის გამოძიება გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატს და გამოიყოს იგი დამოუკიდებელ სტრუქტურად, რომელიც არ დაექვემდებარება მილიციის ადგილობრივ ორგანოებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, როგორც ვფიქრობ, უკეთ გამოვიყენოთ საბჭოთა მილიციის შესაძლებლობანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

მოქალაქეთა უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით მართლზომიერია დავსვათ საკითხი ადვოკატურის, როგორც თვითმმართველი ასოციაციის, როლის გაძლიერების, აგრეთვე სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში ადვოკატების უფრო აქტიური მონაწილეობის შესახებ.

სამეურნეო რეფორმის პრინციპებზე ჩვენი ეკონომიკის გადასვლასთან დაკავშირებით არსებითად უნდა განვამტკიცოთ საბჭოების, სამინისტროების, უწყებების, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების იურიდიული სამსახური, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები. სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობა სულ უფრო მეტად შეიჭრება საწარმოო კავშირურთიერთობის მთელ ქსოვილში, იურიდიული სამსახურების საიმედო მუშაობა უპირველეს მნიშვნელობას იძენს. უამისოდ ძნელია იმაზე ლაპარაკი, რომ წიგნიერად გადაწყდება მრავალი სამართლებრივი და სხვა საკითხი, რომლებიც გარდაქმნის დროს წამოიჭრება.

დასახული სამართლებრივი და სასამართლო რეფორმა, რომლის ძირითადი მიმართულებანი უნდა განისაზღვროს ჩვენი კონფერენციის ცალკე რეზოლუციაში, უეჭველია, მოითხოვს სერიოზულ საკადრო უზრუნველყოფას. აქ იოლად ვერ გავალთ, თუ არ შევიმუშავეთ იურისტთა მომზადებისა და გადამზადების სპეციალური პროგრამა. ამავე დროს უნდა გადავწყვიტოთ იურიდიული კადრების მატერიალური უზრუნველყოფის მომწიფებული საკითხებიც. იურიდიული საყოველთაო სწავლება უნდა დავიწყოთ სკოლიდან, განვაგრძოთ იგი ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. ვფიქრობ, მატერიალური დაინტერესების გადიდება, თვით სამეურნეო ანგარიშის პირობები ბევრად შეუწყობენ ხელს იმას, რომ მშრომელთა ფართო მასები ეუფლებოდნენ სამართლებრივ ცოდნას, განმტკიცდეს მართლწესრიგი ჩვენს ქვეყანაში.

7. საზოგადოებრივი ორგანიზაციები პოლიტიკურ სისტემაში

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესებს. პროფკავშირებმა, კომკავშირმა, კოოპერაციამ, ქალთა და სხვა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში. და დღეს ისინი ეძებენ თავიანთი საქმიანობის გააქტიურების, საზოგადოების რევოლუციურ განახლებაში თავიანთი წვლილის გადიდების გზებს. მაგრამ გარდაქმნა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში — მათი განსხვავების მიუხედავად — ნელა და მტკივნეულად მიმდინარეობს. მეტად ძლიერია ჩვევა საქმე აწარმოონ ძველებურად, თანაც თვალი ეჭიროთ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებზე.

საერთო ვითარება ქვეყანაში, მთელი რიგი მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და საკანონმდებლო აქტები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს უფრო ენერგიულად ჩართონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი გარდაქმნის პროცესში. სხვათა შორის, რიგშია კანონები პროფკავშირების, ახალგაზრდობის, ნებაყოფლობითი საზოგადოების, საზოგადოებრივი თვითმოქმედებისა და თვითმოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ. ასე რომ, უკვე ახლა შეიქმნა კარგი წანამძღვრები ახალი პირობების მისადაგებით საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გარდაქმნისათვის.

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მარტო გადაწყვეტილებები, საკანონმდებლო აქტები როდია. მთავარი ის არის, თვით საზოგადოებრივი ორგანიზაციები როგორ შეიგნებენ თავიანთ როლსა და ადგილს თანამედროვე ეტაპზე. ცხადია, ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ ჩვენს კონფერენციაზე პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გააქტიურებასთან. ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება.

უწინარეს ყოვლისა, მოგახსენებთ პროფესიული კავშირების შესახებ. რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ რა მათს დამოუკიდებლობას, ჩვენ არ უნდა ვძლევდეთ ზუსტ რეცეპტებს, როგორ გარდაიქმნან ისინი. ამასთან ამაზე უკვე იყო ლაპარაკი პროფკავშირთა XVII ყრილობაზე. მთავარია პროფკავშირული ორგანიზაციების თვით ცხოვრების დემოკრატიზაცია და მათ მიერ იმ ახალი სიტუაციების გათვალისწინება, რომელსაც წარმოშობს საზოგადოების დემოკრატიული განახლების პროცესი, განსაკუთრებით შრომითი კოლექტივების დონეზე.

ახლა ისახება სასიკეთო პერსპექტივები, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცეთ ზოგიერთი ფუნქცია, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ. უფლება გვაქვს ველოდოთ, რომ პროფკავშირები იქნებიან თვითმმართველობითი საწყისების გაძლიერების აქტიური ქომაგები.

შრომითი კოლექტივების თვითმმართველობა ზრდის პროფკავშირების ისეთი ფუნქციის მნიშვნელობას, როგორიც არის მშრომელი ადამიანის დემოკრატიული უფლებების დაცვა. თავიანთი უფრო გულდაჯერებული მოქმედების დემოკრატიზმის სასარგებლოდ პროფკავშირებს შეუძლიათ არსებითად გავლენა მოახდინონ ადამიანთა გონება-განწყობილებაზე, დაეხმარონ მათ დაძლიონ ინერცია, უფრო ფართოდ ჩააბან მშრომელები კოლექტივისა და საზოგადოების საქმეთა მართვაში.

რასა თქმა უნდა, არათუ მცირდება, არამედ კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას. იძენს პროფკავშირების მიერ მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა, უწინარეს ყოვლისა, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, სოციალური დაზღვევის, ადამიანთა დასვენებისა და ყოფის ორგანიზაციის დარგში. მაშასადამე, პროფკავშირებმა თავიანთი რეალური ადგილი უნდა იპოვონ და გაცილებით უფრო აქტიური როლი შეასრულონ ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში, რადგან მხოლოდ ამ გზაზე შევიძლია მივაღწიოთ საგრძნობ ძვრებს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საარსებო პირობების გაუმჯობესებაში.

პროფკავშირების, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გადიდებას ხელს შეუწყობს მათი პირდაპირი წარმომადგენლობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ჩვენ ვხედავთ დღეს, თუ როგორ ერთიანდება გარდაქმნის იდეების გარშემო საბჭოთა ადამიანების ყველა თაობა. მისი იდეები თანაბრად შეესაბამება უფროსი ასაკის ადამიანთა ინტერესებსაც, იმათ ინტერესებს, ვინც თავად გადაიტანა სოციალისტური განვითარების პირველი ათწლეულების სიმძიმე, დაიცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა დიდ სამამულო ომში, აღადგინა მას ომისშემდგომ წლებში, და იმათ ინტერესებსაც, ვინც ეს-ეს არის იწყებს შეგნებულ ცხოვრებას, ვინც ჩვენი სამშობლო უნდა გაიყვანოს პროგრესის ახალ მიჯნებზე.

თითოეულმა თაობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ჩვენს საერთო ისტორიაში. ჩვენ ყველანი მისი მონაწილენი და მშენებლები ვართ. მაგრამ სწორედ ახალგაზრდობამ სრულად უნდა გამოავლინოს ის უდიდესი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც დაგროვდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მრავალგზის ამრავლოს იგი, განახორციელოს გარდაქმნის დიადი მიზნები. და ჩვენ ვხედავთ, რომ ახალგაზრდობა სულ უფრო მეტად ხდება საერთო-სახალხო ბრძოლის არა უბრალო მონაწილე, არამედ მისი დამკვრელი, ინიციატივიანი ძალა.

საბჭოთა ახალგაზრდობის პოლიტიკური და შრომითი პოტენციალი ძალზე დიდია. მაგრამ მის სრულ გამოთავისუფლებას და გარდაქმნის კალაპოტით ახალგაზრდობის ენერგიის წარმართვას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ საბოლოოდ აღმოვფხვრით სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე გვქონდა ახალგაზრდობასთან მუშაობაში, როცა მაგარ-მაგარი სიტყვები მისდამი მრავლად ითქმებოდა, ხოლო რეალური ნაბიჯები ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად, საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში მის ჩასაბმელად ვაკლდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი იწონებს სწორ მოსაზრებებს, რომლებიც ამ საკითხზე გამოთქვეს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სახელმწიფოს თანამედროვე პირობებში უნდა ჰქონდეთ გააზრებული, მთლიანი პოლიტიკა ახალგაზრდობის მიმართ, და ამავე დროს უნდა გამოვიმუშაოთ მისი რეალიზაციის იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მექანიზმები. ამ პოლიტიკის, როგორც პარტიის, სახელმწიფო ორგანოების, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული მიმართულების აზრია შეიქმნას ახალგაზრდობისათვის ისეთი პირობები და სტიმულები, რომლებშიც იგი შეძლებს, რაც შეიძლება სრულად გამოავლინოს თავისი აზრი და ენერგია, განავითაროს და ხორცი შეასხას თავის შემოქმედებით პოტენციალს სოციალიზმისათვის.

ჩვენ საქმით უნდა გამოვიჩინოთ ახალგაზრდობისადმი სრული პოლიტიკური ნდობა, შევცვალოთ ახალგაზრდობასთან ურთიერთობის თვით ტიპი — „მამების" ურთიერთობა-ჭკუის სწავლებამ „შვილებისადმი" ადგილი უნდა დაუთმოს ურთიერთობა-დიალოგს. თუ გვინდა სავსებით აღვადგინოთ ახალგაზრდობის ნდობა, უნდა ვისწავლოთ მასთან ლაპარაკი, ლაპარაკი როგორც თანასწორთან, გულახდილი, პატიოსანი და ამასთან გვახსოვდეს — მხოლოდ სიმართლე გვიშველის. რამდენი სიმართლეცაა, იმდენი რწმენაა. **(ტაში).**

უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდობას იყოს თავდადებული ჩვენი იდეალებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ამავე დროს უნდა ვუქმნიდეთ ხალისიანი, მიმზიდველი და მიქეფარე ცხოვრების პირობებს. ვამბობ რა ყოველივე ამას, ამხანაგებო, მინდა გასაგებად ვთქვა, რომ საქმე არ ეხება რაღაც ლაიცის ახალგაზრდობასთან, მეურვეობისა და ყოვლისმიმტევებლობის ახალ ფორმებს. ამას თვით ახალგაზრდობაც უარყოფს. არა, ჩვენ ურთიერთობა უნდა ავაგოთ ნდობის, ამხანაგობის, პატივისცემის, ურთიერთმომთხოვნელობისა და ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განახლების ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური ურთიერთმოქმედების პრინციპებზე.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომკავშირის ახლანდელი როლის საკითხსაც. საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირი საბჭოთა პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს. მისი საქმიანობისათვის დღესაც მთავარია ლენინური ორიენტირები: მოამზადოს ახალგაზრდა იმისათვის, რომ გახდეს კომუნისტი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში.

ყველას გვინდა კომკავშირს ვხედავდეთ ქალიშვილებისა და ჭაბუკების კომუნისტური აღზრდის სკოლად, დემოკრატიის ნამდვილ სკოლად, ნოვატორულ ორგანიზაციად, სადაც მხარს დაუჭერენ შემოქმედებით, ინიციატივიან ადამიანებს, სადაც საჯაროობა, გულახდილობა საკუთარი პოზიციების გამოხატვაში, დისკუსიურობა შეხამებულია ახალგაზრდობის ინტერესების პრაქტიკულ რეალიზაციასთან, სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნებში მის აქტიურ ჩაბმასთან. საქმე ეხება საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის შესაძლებლობებს, შეუფერხებლად ეწეოდეს მუშაობას, არ ელოდებოდეს მითითებებს ზემოდან, არამედ სრულად ახორციელებდეს ახალგაზრდა ენერგიისა და ინიციატივის პოტენციალს.

რაც შეეხება პარტიულ კომიტეტებს, ისინი პატივს უნდა სცემდნენ და იცავდნენ კომკავშირის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას, იმ უფლებას, რომ დამოუკიდებლად წყვეტდეს შინასაკავშირო ცხოვრების ულევლივ ყველა საკითხს, მონაწილეობდეს პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, იცავდეს ახალგაზრდობის ინტერესებს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში. გარდაქმნა მოითხოვს, რომ ახალგაზრდა თაობა ფართოდ იყოს წარმოდგენილი საბჭოებში, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომ ახალგაზრდები ეუფლებოდნენ მართვის მეცნიერებას, თამამად იღებდნენ ხელში სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებს.

ამხანაგებო, ჩვენს თვალწინ იზრდება და ყალიბდება ახალი თაობა — გარდაქმნის თაობა. ახალი ცვლის მომზადება მთელი ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე პასუხსაგები ამოცანაა. ცხადია, ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ იგი უკვე უახლოეს დროში უნდა გახდეს აგრეთვე სპეციალური მსჯელობის საგანი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

სოციალური ინტერესების პრობლემასთან დაკავშირებით მინდა შევეხო სახელმწიფო მნიშვნელობის კიდევ ერთ საკითხს. ეს არის ქალთა საკითხი. არაერთგზის დადასტურებულა, რომ იგი ჩვენში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა. მართლაც ჩვენ ნამდვილად გამოვაცხადეთ ქალის და მამაკაცის უფლებათა თანასწორობა, უზრუნველვყავით თითქმის ყველა პროფესიის თანაბარი ხელმისაწვდომობა დავაწესეთ ერთნაირი ანაზღაურება თანასწორი შრომისათვის, უზრუნველვყავით ქალთა სხვა უფლებები. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ საქმე ისე შემოტრიალდა, რომ უდავო შენაძენთან ერთად ქალს დარჩა საზრუნავი, რომელიც, დღემდე ბევრ რამეში ხელს უშლის მას სრულად გამოიყენოს თავისი უფლებები. ყოფა-ცხოვრების მოუწყობლობა, ბავშვთა დაწესებულებების ნაკლებობა, ხარვეზები მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს მუშაობაში — ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, ქალის ხვედრია.

ასე რომ, აქაც თავი იჩინა ნარჩენობითმა პრინციპმა სოციალური სფეროს განვითარებაში. მაგრამ ასეთი მდგომარეობა წლების განმავლობაში იმიტომაც გრძელდება, რომ ქალის აზრს მაინცდამაინც არ უწევდნენ ანგარიშს, არ არის ქალთა სათანადო წარმომადგენლობა ხელმძღვანელ ორგანოებში. მთლიანად ქალთა მოძრაობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ შემდეგ გაიშალა, თანდათან მიურუვდა და ფორმალური ხასიათი შეიძინა.

გარდაქმნამ მწვავედ დააყენა ყველა ეს საკითხი. შეიქმნა, უფრო ზუსტად კი — აღორძინდა ქალთა მასობრივი ორგანიზაცია. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ორგანიზაციული, თუმცა მნიშვნელოვანი მხარეცაა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მდგომარეობა შეიცვალოს არსებითად, ქალებს გაეხსნას ფართო გზა ხელმძღვანელ ორგანოებში ქვემოდან ზემოთ, რომ საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება ქალთა ინტერესებს, არ წყდებოდეს მათი მონაწილეობისა და განმსაზღვრელი მოსაზრებების გარეშე.

გარდაქმნის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ნიშანია საზოგადოებრივ გაერთიანებათა მძაფრი ზრდა, რომლებიც სოციალური ინტერესების მთელ მრავალფეროვნებას გამოხატავენ. ამას განეკუთვნება ომის [illegible] შრომის ვეტერანთა ორგანიზაციები, სამეცნიერო-საინჟინრო [illegible] დოებათა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირები [illegible] ფონდი, საბავშვო ფონდი, [illegible] რომელს[illegible] ალოება, რომლებიც ეწევიან ბუნების, ისტორი[illegible]დეს და [illegible] აცვას, მოწყალების მოძრაობა. მთლიანად ეს არის დემოკრატიის [illegible] ხალხის თვითმოქმედების შესანიშნავი გამოვლინება და იგი ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს.

რა თქმა უნდა, თვალი არ უნდა ავარიდოთ [illegible] საზოგადოებრივი აღმავლობის კალაპოტში გაჩნდნენ ცალკეული ჯგუფები, რომელთა ინტერესები შორს არის გარდაქმნის მიზნებისაგან, ხალხის ინტერესებისაგან. მაგრამ ისინი როდი განსაზღვრავენ საერთო ატმოსფეროს და ახლა მათ როდი ეხება საქმე. ჩემი აზრით, პარტიულ ორგანიზაციებს, მშრომელებს უნარი შესწევთ ერთმანეთისაგან განასხვაონ სოციალისტური საზოგადოების განახლების ნამდვილი ქომაგები და ისინი, ვინც სოციალიზმისათვის უცხო მიზნებით ხელმძღვანელობს.

ერთპარტიული სისტემის დროს, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ქვეყანაში, ჩვენ გვჭირდება პარტიასა და საზოგადოებაში შეხედულებათა შეპირისპირების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მუდმივმოქმედი მექანიზმი. მზარდი დემოკრატიზაციის პირობებში ეს საარსებო მნიშვნელობის საკითხია. სწორედ ასე ესმოდა შინაპარტიული დემოკრატიის არსი ვ. ი. ლენინს, რომელიც, გმობდა რა ფრაქციულობას, გადაჭრით წინააღმდეგი იყო სხვაგვარად აზროვნებისათვის თანაპარტიელ ამხანაგთა დევნისა. ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნიშნები უნდა გახდეს მუდმივი, კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგი, დისკუსიის კულტურა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გათვალისწინება.

ამის პირობები დღეს იქმნება. ქვეყანაში არსებითად ყალიბდება გარდაქმნისათვის გამიზნული პარტიის გეზის მხარდამჭერი საერთო-სახალხო პატრიოტული მოძრაობა. იგი შეიცავს საზოგადოების გაჯანსაღებისათვის მებრძოლ მთელ ძალებს — კომუნისტებს, კომკავშირელებს, უპარტიოებს, მორწმუნეებს, ქალებს, ვეტერანებს, ახალგაზრდობას, ყველა ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ეს მოძრაობა ასახავს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სიღრმისეულ პროცესებს, განამტკიცებს გარდაქმნის საქმის წარმატების რწმენას. მიტინგებზე, კრებებზე, პრესაში გამოითქმება სხვადასხვა წინადადება ამ მოძრაობის პერსპექტივების, მისი საქმიანობის შესაძლო ფორმების შესახებ. მოდით განვიხილოთ ეს საკითხიც.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი საქმიანობისა და საშინაო ცხოვრების დემოკრატიზაცია

ამხანაგებო! ვახორციელებთ რა გარდაქმნას, კვლავ მივაპყრობთ ჩვენს აზრს პარტიას, მის ადგილსა და როლს ამ რევოლუციურ პროცესში.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ პარტიის საქმიანობისა და მისი ხელმძღვანელი როლის საკითხებია ამ ბოლო დროს ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. და ეს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ხალხი პარტიას უკავშირებს გარდაქმნის მიმდინარეობას, მისი მომავლის იმედებს. უაღრესად შინაპარტიული პრობლემებიც კი საერთო სახალხო ინტერესის საგანი გახდა.

წამოაყენა რა 1985 წლის აპრილში ახალი კურსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დაადასტურა, რომ სწორედ იგია საზოგადოების საპროგრამო მიზნების მატარებელი, სწორედ პარტიაა პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს ქვეყანას განახლების გზით. გაბედულად გამოააშკარავა რა კრიზისისწინა სიტუაციისა და უძრაობის მოვლენების მიზეზები, პარტიამ იკისრა პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის. მან ობიექტურად შეხედა თავის საქმიანობას, ხელმძღვანელობის მეთოდებს, შეგნებულად გამოიწვია თავისი მისამართით საზოგადოებრივი კრიტიკა.

სკკპ XXVII ყრილობაზე და განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე კრიტიკულად გაანალიზდა ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე ხდებოდა არა მარტო საერთოდ საზოგადოებაში, არამედ თვით პარტიაშიც. ჩვენ უნდა გაგვეცა პასუხი პრინციპული ხასიათის კითხვებზე: რატომ ვერ შეძლო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც შეიქმნა როგორც ნამდვილად დემოკრატიული ორგანიზაცია, მშრომელი ხალხის ხორცმა ხორცთაგანმა წინააღმდეგობა სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებულ სოციალიზმის დეფორმაციის პროცესებს? შემდეგ, როცა გამოაშკარავა და დაგმო ლენინიზმის პრინციპებიდან გადახვევა, რატომ შემოიფარგლა იგი ზედაპირული ცვლილებებით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა უძრაობის სერიოზული მოვლენები ქვეყნის განვითარებაში.

პასუხი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ გარკვეული დეფორმაციები მოხდა თვით პარტიაში, მისი საქმიანობის შინაარსსა და მშრომელებთან კავშირურთიერთობაში, რომლებსაც მოჰყვა მრავალი დემოკრატიული ბოლშევიკური ტრადიციის დაკარგვა, თავდაპირველად რომ ახასიათებდა მას, საფუძველი ეყრებოდა ლენინისა და მისი თანამებრძოლების მრავალი წლის მეცადინეობით.

სკკპ XXVII ყრილობამ დასახა პარტიული მუშაობის ძირეული გარდაქმნის ამოცანა, მიზნად დაისახა შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაცია. სიმართლის გაკვეთილმა ხილი შეუწყო ჩვენს რიგებში თვითშეგნებისა და თვითგანწმენდის ზრდას. კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები, პარტიული პრესა ახლა უფრო ენერგიულად ავლენენ თავს საზოგადოებაში, უფრო გაბედულად აყენებენ და წყვეტენ მომწიფებულ საკითხებს.

განახლების პროცესი, თუმცა გაჭირვებით, თუმცა ძნელად, ძლიერდება. მაგრამ, აღვნიშნავთ რა პარტიის ცხოვრებაში ნამდვილად ღრმა ცვლილებებს, ბოლომდე გულახდილი არ ვიქნებოდით, რომ არ გვეთქვა: ჯერ კიდევ ყველაფერი კარგად ვერ არის. პარტიის ყველა ორგანიზაცია ვერ გარდაქმნის თავის მუშაობას ახალი მოთხოვნების შესაბამისად. პარტიული მუშაკების ნაწილი და კომიტეტებიც კი გამოდიან კონსერვატიული პოზიციებით. ბევრს უჭირს მუშაობის ახალი მეთოდების ათვისების მეცნიერების დაუფლება, უნარი არ შესწევს იმოქმედოს საჯაროობისა და დემოკრატიის ვითარებაში.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ მე მინდა კონფერენციის დელეგატებს, მთელ ხალხს ვუთხრა მთავარი — პარტიის წარმმართველი საქმიანობა, მისი პოლიტიკური კურსის ხორცშესხმა თუ არა, გარდაქმნის ამოცანებს ვერ გადავწყვეტთ **(მქუხარე ტაში)** გარდაქმნა დასაღუპად იქნება განწირული პოლიტიკურადაც, იდეოლოგიურადაც, ორგანიზაციულადაც.

ახლანდელ გარდამტეხ ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სრული მოცულობით უნდა შეასრულოს საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის ფუნქციები და ამოცანები. მაგრამ სწორედ პოლიტიკური ლიდერობის გადამწყვეტი მნიშვნელობა გვკარნახებს იმის საჭიროებას, რომ საფუძვლიანად განვიხილოთ ახლანდელ პირობებში პარტიული საქმიანობის კონკრეტული შინაარსი.

1. სრულად აღვადგინოთ შინაპარტიული დემოკრატია

რა არის აქ მთავარი? თეზისებში გამოთქმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული პოზიცია. შეგახსენებთ მას: „პარტია, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, მოწოდებულია ამუშავებდეს საზოგადოებრივი განვითარების თეორიასა და სტრატეგიას, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აყალიბებდეს სოციალისტური განახლების იდეოლოგიას, აწარმოებდეს პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას მასებში, კადრების აღზრდასა და განაწილებას".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის ფუნქციები ჩვენ განვსაზღვრეთ. მაგრამ ეს ფუნქციები რომ რეალიზებული იყოს, პარტიამ უნდა გარდაქმნას თავისი საქმიანობა, მუშაობის სტილი, მეთოდები და ფორმები —პირველადი ორგანიზაციით დაწყებული და ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული. ყოველი კომუნისტი ნამდვილად უნდა იყოს მებრძოლი მისი პოლიტიკის რეალიზაციისათვის, ხალხის ინტერესებისათვის.

და აქ უნდა გავერკვეთ, მაინც რატომ ვართ უკმაყოფილონი საკუთარი თავით, რატომ ვაკრიტიკებთ უმწვავესად საქმის მდგომარეობას ჩვენს პარტიულ სახლში? მაინც რაშია აქ საქმე?

უწინარეს ყოვლისა, საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგების და საქმიანობის საფუძვლად დადებული დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი გარკვეულ ეტაპზე ბევრ რამეში შეიცვალა ბიუროკრატიული ცენტრალიზმით. ეს მოხდა უპირველესად იმიტომ, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რიგითმა კომუნისტებმა მნიშვნელოვანწილად დაკარგეს პარტიის საქმიანობის შინაარსზე გავლენის რეალური შესაძლებლობანი. სერიოზულად დაირღვა უმნიშვნელოვანესი ლენინური მოთხოვნა, რომლის თანახმად ყველა პარტიულ ორგანოს, მათ კადრებს მუდმივ კონტროლს უნდა უწევდნენ პარტიული მასები. პარტიაში მრავალი ნეგატიური მოვლენა უკავშირდება აგრეთვე არჩევითი ორგანოების როლის შესუსტებას, ყველა დონეზე აპარატის როლის გაზუზმულ გაზრდას.

არ შეიძლება არ ითქვას სხვა რამეც. ჩვენს პარტიას ვ. ი. ლენინი აგებდა როგორც თანამოაზრეთა ორგანიზაციას, მისი ცხოვრების კანონი იყო ყველა პრობლემის თავისუფალი განხილვა და მოქმედების ერთიანობა გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ. მაგრამ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დამკვიდრების კვალობაზე პარტიული ამხანაგობის ატმოსფერო თანდათანობით ადგილს უთმობდა ბრძანებებსა და შესრულებაზე, უფროსებად და ხელქვეითებად პარტიელთა დაყოფაზე, კომუნისტების თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. და თუმცა დროდადრო ვაღიარებდით ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობას, ცხოვრებაში ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

მოდით გავიხსენოთ, რომ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმაც, არსებითად, პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების აღდგენის ლოზუნგით ჩაიარა. რეალური პროცესები კი სხვა მხრივ წარიმართა და უძრაობის წლებში ზოგჯერ მახინჯ ხასიათს იძენდა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, არჩევითი ორგანოების წევრების აქტიურობაზე იმოქმედა კადრების ცვლის პროცესის შეკავებამაც — კომუნისტთა მთელმა თაობებმა ვერ შეძლეს ნამდვილად მიეღოთ მონაწილეობა პარტიის ცხოვრებაში. მეორე მხრივ, მრავალმა იმათგანმა, ვინც წლობით რჩებოდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, თავი უცოდველად და შეუცვლელად წარმოიდგინა. არჩევითი პირების არცთუ მცირე ნაწილის და პარტიული აპარატის პასუხისმგებლობის შემცირება, მათი მოწყვეტა პარტიული მასებისაგან, მშრომელებისაგან, არცთუ იშვიათად მთავრდებოდა, როგორც ჩვენ ახლა ვიცით, პოლიტიკური და ზნეობრივი დაცემით. სწორედ აქ არის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, მორალური გადაგვარების სამარცხვინო ფაქტების ფესვები, რომლებიც გარდაქმნის მსვლელობაში გამოვლინდა.

მე გულისტკივილით ვლაპარაკობ ამ მოვლენებზე. მათ მძიმე გავლენა მოახდინეს პარტიისა და მისი ორგანიზაციების საქმიანობაზე. საქმის ეს მხარე არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს. მაგრამ არის მეორე მხარეც—და ჩვენთვის ძალზე პრინციპული, მთელი ამ წლების მანძილზე მილიონობით პარტიელი და ათასობით პარტიული კადრები პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ პარტიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას რთულ პირობებში — ობიექტურ და სუბიექტურ პირობებში. მათ ღირსეულად ეჭირათ რევოლუციის დროშა, თავიანთ უბნებზე ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქვეყნის განვითარებისათვის, სოციალიზმისათვის. იგივე შეიძლება ითქვას მრავალ ჩვენს ხელმძღვანელ კადრებზეც, მეურნეობის მუშაკებსა და სპეციალისტებზე, მეცნიერებზე, კულტურის მოღვაწეებზე.

პარტიულ გარემოში ღრმად ცოცხლობდა ლენინური ტრადიციები. ყველაფრის მიუხედავად, სწორედ პარტიაში გროვდებოდნენ და ყალიბდებოდნენ ძალები, რომლებსაც, აღმოჩნდა, რომ უნარი შესწევთ მოახდინონ მკვეთრი შემობრუნება სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში და დაადგნენ გარდაქმნის, განახლების გზას.

ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა მტკიცედ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დემოკრატიზაციას, მისი მუშაობის კარგახსნილობას, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების სრულ აღდგენას, და უწინარეს ყოვლისა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, პარტიის არჩევითი ორგანოების მუშაობაში.

ამის თაობაზე ცენტრალური კომიტეტის თეზისებში გამოთქმულმა მოსაზრებებმა ცოცხალი დისკუსია გამოიწვია არა მარტო პარტიაში, არამედ მთლიანად საზოგადოებაშიც. ყველა საბჭოთა ადამიანი დაინტერესებულია ხედავდეს, რომ თითოეული კომუნისტი, თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაცია, თითოეული პარტიული კომიტეტი ნამდვილად დინამიკური პოლიტიკური ძალაა. კონფერენციის წინ გაშლილი დისკუსიის დროს ახლებურად დაისვა საკითხები პარტიული კრებების როლის, პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების, თითოეული კომუნისტის საქმიანობის ფორმების შესახებ. და ეს გასაგებიცაა, რადგან სწორედ პირველადი პარტიული ორგანიზაციაა თითოეული შრომითი კოლექტივის ორგანული ნაწილი, განასახიერებს პარტიის მუდმივ ყოფნას საზოგადოების ცხოვრებაში.

ამ მიზნებისათვის სრულად უნდა აღვადგინოთ პარტიაში პრინციპულობის, გულახდილობის, დისკუსიების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, შეგნებული დისციპლინის, პარტიული ამხანაგობისა და უთუო პირადი პასუხისმგებლობის, საქმიანობის ატმოსფერო. სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება ახლა პროცესები პარტიულ ორგანიზაციებში და კონფერენციის ამოცანაა გადაჭრით დაუჭიროს მათ მხარი, დაუსახოს მათ უსაზღვრო სივრცე.

ახლა ახლებურად უნდა დავაყენოთ საკითხი იქ საქმის მდგომარეობისათვის თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის შესახებ, სადაც იგი მუშაობს, გარდაქმნაში პირადი წვლილისათვის, თავისი კოლექტივის საქმიანობისათვის. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ ბევრი დღემდე ჩივის: გარდაქმნამ ვერ მიაღწია პირველად პარტიულ ორგანიზაციებსო. მაგრამ ვისი ბრალია ეს? მოდით გავერკვეთ.

გარდაქმნისათვის გამიზნული პოლიტიკური გეზი განსაზღვრა და მოიწონა ყრილობამ. მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულებანი ჩამოყალიბებულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში მიღებულია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება. პარტიასა და საზოგადოებაში შექმნილია საჯაროობის ატმოსფერო, მიესალმებიან და ახალისებენ ინიციატივას, დამოუკიდებლობას, მოქალაქეობრივ პოზიციას. მრავალი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტიურად, სინდისის კარნახით მოქმედებს სოციალისტური განახლებისათვის ბრძოლის სხვადასხვა უბანზე. სხვები კი რაღაცას ელიან. იგრძნობა ძველი, ფესვგადგმული სენი: ელიან მითითებებს. მითითებებიც ხომ არის, ამხანაგებო, ხელით ტარება კი კომუნისტებს არ შეჰფერით.

სწორედ ამასთან დაკავშირებით საჭირბოროტო მნიშვნელობა აქვს თეზისებში აღძრულ საკითხს პარტიული რიგების თავისებური დათვალიერების მოწყობის შესახებ. ახლა თითოეულ ჩვენგანს მოეთხოვება საქმე, რეალური მოქმედება გარდაქმნის ამოცანების განხორციელებისათვის. კომუნისტთა ავანგარდული როლი, ამხანაგებო, დღეს საქმით უნდა დასტურდებოდეს.

ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კომუნისტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატესტაციას, და არსებითად ვგრძნობთ, რომ მოსწონთ ეს წინადადება.

მართალია, გამოითქმება შიშიც, ამასთან ორჭოფობისა. ერთნი ამტკიცებენ, რომ ატესტაცია, არაფერს არ მოგვცემს, რომ საჭიროა პარტიის წმენდა, ბალასტისაგან მისი განთავისუფლებაო. ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ასეთი მიდგომა არამართლზომიერად მიგვაჩნია გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პირობებში. და აი რატომ. ბევრი მათგანი, ვინც ჯერ კიდევ ამას წინათ ითვლებოდა ნაკლებ აქტიურად, პარტიულ ორგანიზაციასთან კავშირდაკარგულად. ვისაც ასეთ ბალასტს მიაკუთვნებდნენ, დღეს ცდილობს თავისი ადგილი იპოვოს ცხოვრებაში. თანაპარტიელ ამხანაგებს უაღრესი პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ. არც ერთი პატიოსანი მუშაკი არ უნდა დავტოვოთ გარდაქმნის მიღმა — მოდით ამით ვიხელმძღვანელოთ. ამას ჰქვია ლენინურად, ბოლშევიკურად, მოქმედება. **(ტაში).**

ზოგიერთს ეშინია, რომ ატესტაცია არ გადაიქცეს დასჯად, ანგარიშის გასწორებად, სწორედ იმათთან, ვისაც დღეს აქტიური პოზიცია უკავია, ხელს არ აძლევს იმ პირთა რომელიღაც ჯგუფს, რომლებიც ეგოისტურ ინტერესებს ისახავენ.

ვფიქრობ, თუ ამ სერიოზულ საქმეს სერიოზულად მოვეკიდებით, როგორც ერთის, ისე მეორის შიში ამაოა. ვაყენებთ რა პარტიის თვითგანწმენდის იდეას, იმედი გვაქვს, რომ ატესტაცია უნდა მიმდინარეობდეს საწესდებო ნორმების შესაბამისად, ნორმალური დემოკრატიული პროცესის ფარგლებში, ღია პარტიულ კრებებზე, და

(დასასრული მე-7 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების დასასრული

არა რაღაც სპეციალური „სამეულებისა“ თუ „ხუთეულების“ მონაწილეობით, იდუმალი გარჩევისა და დახურული დახასიათებების შედგენის საფუძველზე. თვით ატესტაციის პროცესი უნდა იყოს კომუნისტთა აღზრდის სკოლა, რომ ამ სკოლის გავლის შემდეგ ისინი შეადუღაბოს პარტიულმა ამხანაგობამ, გააერთიანოს იმ საერთო მიზნებმა და ამოცანებმა, რომლებიც ყველა ჩვენგანის წინაშე დააყენა გარდაქმნამ, მეორე საკითხია — და მეტად არსებითი საკითხი — პარტიაში მიღება, საბოლოოდ უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი განწესი, ბიუროკრატიული მიდგომა პარტიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. პარტიაში შემსვლელის თვისებების შეფასებისას მთავარი კრიტერიუმია მისი პოზიცია და რეალური მონაწილეობა გარდაქმნაში. ეს მოთხოვნა უნდა ეხებოდეს ყველას, — მუშებსაც, გლეხებსაც, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ადამიანები უკეთ ჩანან შრომით კოლექტივში. იქ ანსხვავებენ იმათ, ვინც პარტიაში შედის გულის კარნახით, და იმათ, ვინც პირად სარგებლობას ეძებს.

შემოდის წინადადებანი პარტიაში დავაწინაუროთ უშუალოდ შრომითი კოლექტივების მიერ დასახელებული საუკეთესო ადამიანები. გამოცდილება ადასტურებს პარტიაში მიღების შესახებ განცხადებების მშრომელთა კრებებზე წინასწარი განხილვის მიზანშეწონილობას. რაღა თქმა უნდა, კოლექტივის აზრი ყურადღებით უნდა განიხილონ კომუნისტებმა სკკპ წევრად მიღების დროს.

ახლა პარტიის არჩევითი ორგანოების შესახებ. აქ ბევრი რამ უნდა შევცვალოთ. თანაც — კარდინალურად. უწინარეს ყოვლისა, აღვადგინოთ არჩევითი ორგანოების, როგორც კომუნისტთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების, ავტორიტეტი. მდივნებსაც, ბიუროსაც, და მით უმეტეს პარტიულ აპარატს კონტროლს უნდა უწევდეს არჩევითი პარტიული ორგანო. აწ და მარადის აღარასოდეს აღარ უნდა წარმოიშვას სიტუაცია, როცა ბიუროს წევრები თუ პარტიული აპარატის მუშაკები მიმართავდნენ მბრძანებლურ სტილს არჩევითი კომიტეტების წევრებისადმი.

არანაკლებ, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი, საჭიროა, რომ პარტიული კომიტეტების განსახილველად გამოჰქონდეთ ყველაზე დიდი პრინციპული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ახალ პირობებში პარტიის ავანგარდული როლის, მასებში მისი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის განხორციელებასთან. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ პრაქტიკას, როცა კომუნისტთა პარტიული კრებების დღის წესრიგი დატვირთული იყო ათობით წვრილმანი, ნაკლებმნიშვნელოვანი საქმეებით. საკითხთა მომზადებასა და განხილვაში უნდა გამოირიცხოს ზედმეტი ორგანიზებულობის ნატამალიც კი, ქება-დიდება და ფუჭსიტყვაობა. ყველა არჩევით ორგანოში უნდა სუფევდეს გულახდილობა, კრიტიკული მიდგომა, საქმიანობა. ეს უნდა ახასიათებდეს პარტიული აპარატის საქმიანობასაც, რომელიც გამორიცხავს იდუმალებას მუშაობაში და გაუმართლებლად გასაიდუმლებას.

ყოველივე ნათქვამი სრულად ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობასაც, რომელსაც განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია პარტიასა და საზოგადოებაში. ყრილობებს შუა პერიოდში სწორედ აქ წყდება საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. როგორ მუშაობს ცენტრალური კომიტეტი, რა საკითხებს იხილავს, რა გადაწყვეტილებებს იღებს, რამდენად დემოკრატიულია მისი საქმიანობის ატმოსფერო — ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიისათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის.

ჩვენ უკვე ვთქვით ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, თუ რა მდგომარეობა იყო მთელი რიგი წლების მანძილზე ცენტრალურ კომიტეტში, აღარ გავიმეორებ, მაგრამ ვიტყვი მხოლოდ, რომ მრავალი შეცდომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, დროზე და გააზრებულად რომ გადაწყვეტილიყო ქვეყნის ხელმძღვანელობის მომწიფებული პრობლემები, ყოველთვის სისხლსავსე და დემოკრატიული რომ ყოფილიყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა.

ახლა სიტუაცია იცვლება, განსაკუთრებით პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ. მე ასე ვიტყოდი: ცენტრალური კომიტეტი იწყებს აღორძინებას, იკრებს ძალას. სხვანაირად მიმდინარეობს ახლა ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, და მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ფრთხილად უნდა ვიყოთ შეფასებებში, არ გაგვიტაცოს გაზვიადებამ.

უპირველესი პრობლემა ის არის, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა გააქტიურონ მუშაობა არა მარტო თავიანთ ადგილზე, არამედ საერთო-პარტიული გადაწყვეტილებების მომზადების განხილვისა და მიღების დროს. როცა ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს გარკვეული გამოცდილებაც. ბოლო პლენუმების წინ პრაქტიკაში დამკვიდრდა წინასწარი თათბირი ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, პარტიული კომიტეტების მდივნებთან, დღის წესრიგთან დაკავშირებული დოკუმენტების დაგზავნა და ა. შ. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა თვით ცენტრალური კომიტეტის წევრების აქტიურობაზეც, მისაღებ გადაწყვეტილებათა ხარისხზეც. აი, კაცმა რომ თქვას, მუშაობაში შეცდომების დაშვების წინააღმდეგ გარკვეული გარანტიაც, ასეთი შეცდომები კი, როგორც ცნობილია, ძალზე ძვირად გვიჯდება.

უნდა ვიფიქროთ პლენუმებს შორის პერიოდში და თვით პლენუმებზე მუშაობის ორგანიზაციის ახალი ფორმების შესახებაც. განა არ აჯობებდა ცენტრალურ კომიტეტებში გვყავდეს კომისიები საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა მიხედვით, რომლებშიც რეგულარულად იმუშავებენ ცენტრალური კომიტეტის წევრები? მაშინ პარტიულ აპარატსაც მისი შესაფერისი ადგილი ექნება.

ალბათ, უნდა გავაფართოოთ ცენტრალური კომიტეტის წევრების მონაწილეობაც პოლიტბიუროს მუშაობაში. ვერ ვიტყოდი, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად შემოფარგლულია დედაქალაქის აპარატის, უწყებებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებით.

რეგულარული უნდა გახდეს პოლიტბიუროს ანგარიშები და ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე.

პარტიულმა კომიტეტებმა, არჩევითმა ორგანოებმა სრულფასოვნად რომ იმოქმედონ და შეძლონ გამოიყენონ ყველაფერი, რასაც შეიცავს ჩვენი წესდება, მკვეთრად უნდა განახლდეს მათი ფორმირების წესი. ეს არის ყველა არჩევითი ორგანოს, მათ შორის პარტიული ორგანოს აქტიურობის გადამწყვეტი ფაქტორი. ყველა დონის არჩევნები უნდა მიმდინარეობდეს დემოკრატიულ ატმოსფეროში, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატურების ფართო განხილვას, შეჯიბრებას და ამის შედეგად მართლაც საქმის ერთგული, ნიჭიერი, ღირსეული ადამიანების არჩევას, რომლებიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ და შესწევთ გარდაქმნის პოლიტიკის განხორციელების უნარი.

ალბათ, ვერ მივაღწევთ ამას, თუ გამოვიყენებთ ძველ მიდგომას, როცა შესაძლო განხილვისათვის, შემდეგ კი კენჭისყრისათვის კანდიდატურებს არსებითად ასახელებდა მდივანი, საუკეთესო შემთხვევაში — პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროების წევრების მონაწილეობით და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით, ამხანაგებო, კონფერენციის განსახილველად გამოგვაქვს ასეთი მოსაზრება: ბოლო სიტყვის თქმის უფლება დავუტოვოთ საერთო კრებას ან კონფერენციის დელეგატებს, მაგრამ ვცნოთ აგრეთვე ქვემდგომი ორგანიზაციების უფლება, კონფერენციის ან ყრილობის დელეგატთა არჩევნებთან ერთად შეიტანონ წინადადებანი ზემდგომი პარტიული ორგანოს შემადგენლობაში ასარჩევი კანდიდატურების შესახებ. როგორც დისკუსიამ ცხადყო, უმრავლესობამ გადაჭრით დაუჭირა მხარი წინადადებას იმის შესახებ, რომ კომუნისტებს უფლება აქვთ პარტიული კომიტეტების, თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროსაც კი დაასახელონ მეტი კანდიდატი, ვიდრე მანდატია და ამასთან იხელმძღვანელონ არა იმით, თუ რა თანამდებობა უკავია ადამიანს, არამედ გარდაქმნაში მისი პოზიციით. (ტაში).

ჩვენში ასეთი წესი რომ მოქმედებდეს, არ წამოიჭრებოდა ის საკითხები, რომლებსაც ვიხილავდით მთელ რიგ შემთხვევებში დელეგატების არჩევნებისა და ჩვენი კონფერენციის დროს.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო წინადადებამ, რომ დადგინდეს ყველა პარტიული კომიტეტის უფლებამოსილებათა ერთიანი ხუთი წლის ვადა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში არჩევითი თანამდებობების დაკავება შეიზღუდოს ზედიზედ ორი ვადით, მესამე ვადით არჩევა დაშვებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ინტერესი ამისადმი შემთხვევითი როდია, მასში გამოიხატა როგორც კომუნისტების, ისე უპარტიოების შეშფოთება წინათ დაშვებული დარღვევების გამო, რომლებიც დაკავშირებული იყო ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხანგრძლივ ყოფნასთან. ძირითადად, როგორც გვესმის, აქ აღინიშნა სამი თვალსაზრისი. ერთნი მხარს უჭერენ წინადადებას, რომლებსაც შეიცავს თეზისები. მეორენი იმის მომხრენი არიან, რომ არჩევით თანამდებობაზე ყოფნა პარტიის ყველა რგოლში შეიზღუდოს ზედიზედ ორი ვადით. და ბოლოს, მესამენი აცხადებენ, რომ ზედიზედ მესამე ვადით არჩევისას გამონაკლისი დაუშვან მხოლოდ უმაღლესი ეშელონისათვის. რა გაეწყობა, ამხანაგებო, მოდით კიდევ ერთხელ მოვითათბიროთ და მივიღოთ გადაწყვეტილება.

2. პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა

პარტიის, როგორც დღევანდელ პირობებში პოლიტიკური ავანგარდის როლის გააზრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტად გამიჯვნის საკითხის სწორ გადაწყვეტას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ამის შესახებ ჩამოყალიბებულია თეზისებში და მათ უაღრესად დაინტერესებული განხილვა მოჰყვა. ეს გასაგებიცაა. ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული არსებითად ჩვენი პოლიტიკური სისტემის რეკონსტრუქციაც და საერთოდ გარდაქმნის წარმატებაც.

რატომ ვლაპარაკობ ამაზე ასე გარკვეულად? ჩვენ საზოგადოებას მეტად პასუხსაგები ეტაპი დაუდგა. დაიწყო რა ღრმა ცვლილებების პროცესი, მას ახლა განსაკუთრებით ესაჭიროება საიმედო პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტირები. საზოგადოებრივი განვითარების ასეთი ორიენტირების, სტრატეგიის შემუშავება და მისი პოლიტიკური ხორცშესხმა ძალუძს მხოლოდ ძლიერ პარტიას, რომელსაც აქვს უდიდესი თეორიული და საკადრო პოტენციალი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან, ნიადაგ ამოწმებს და ამდიდრებს თავის გამოცდილებას ხალხთა მასების გამოცდილებით.

ვ. ი. ლენინს მრავალჯერ აღუნიშნავს, თუ რა ზიანი მოაქვს ისეთ წარმოდგენებს, თითქოს მმართველი პარტია უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს, ამასთან უგულვებელყოფდეს ან ენაცვლებოდეს მშრომელთა სხვა ორგანიზაციებს, მოითხოვდა „გაცილებით უფრო ზუსტად განისაზღვროს პარტიისა (მისი ცენტრალური კომიტეტის) და საბჭოთა ხელისუფლების ფუნქციები“, მკაცრად აკრიტიკებდა ცდებს პარტიისათვის დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა ყოველი კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის, გმობდა „პრაქტიკას, როცა „გადააქვთ კონკრეტული წვრილმანი საქმე უკვე პოლიტბიუროში“.

უნდა ითქვას, რომ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ფუნქციების განაწილების საკითხი არაერთხელ დასმულა ჩვენი საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ამასთან აღიარებდნენ, რომ არანორმალური იყო არსებული ვითარება და იგი უნდა შეცვლილიყო ლენინურ პრინციპზე დაყრდნობით.

არადა, საქმეს არათუ არ ეტყობოდა უკეთესობა, პირიქით, წლითიწლობით სულ უფრო უარესდებოდა. სამეურნეო განვითარების პრობლემათა გართულების კვალობაზე პარტია ეფლობოდა სულ სხვადასხვა მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტაში, შესაბამისად იზრდებოდა მისი აპარატიც. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ლოგიკა მოითხოვდა ასეთი პრაქტიკის [illegible]ნარჩუნებასა და დამკვიდრებას. უფრო მეტიც, ზოგზოგ[illegible] [illegible] ისტორიის ცალკეული ეტაპების გამოცდილებას იმოწმ[illegible] კონსტ[illegible]ტიცებდნენ, ეს ჩვენი განვითარების ამა თუ იმ [illegible] ჭრის ყველაზე ეფექტიანი გზაა. სწორედ მას [illegible] გამოც აქ[illegible] უწინარეს ყოვლისა, პარტიის ხელმძღვანელი როლ[illegible] [illegible] ზისი.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, ამხანაგებო, რომ ფუნქცი[illegible] [illegible]ვნის პრობლემის გადაჭრა უნდა დავიწყოთ ქვეყნის ხელ[illegible] ლობის ზედა ეშელონებიდან. მე უკვე ვილაპარაკე სახელ[illegible] ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების როლის ზრდის შესახებ. რას გულისხმობს ეს პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის? უწინარეს ყოვლისა, ეს გულისხმობს, რომ ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიურო უნდა გამოდიოდნენ და მოქმედებდნენ როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოები. და, რა თქმა უნდა, საჭიროა მტკიცედ დავადგეთ იმ კურსს, რომ არ დავუშვათ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მაგივრობა. ყველაფერს, რასაც უნდა აკეთებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, უნდა აკეთებდნენ სწორედ ისინი.

იბადება კითხვა: რა მექანიზმი, რა შესაძლებლობანი უნდა გამოიყენონ ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა პოლიტბიურომ იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით განახორციელონ პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკური გეზი, ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი? აქ გვმართებს სრულად შევასხათ ხორცი ლენინურ პრინციპს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის პოლიტიკურ კურსს ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით. ყველა პარტიული ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების ფარგლებში. უნდა გამოვრიცხოთ, რომ პარტიული კომიტეტები იღებდნენ დადგენილებებს, რომლებიც შეიცავენ უშუალო მითითებებს სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი.

არჩევითი კოლეგიების როლის ზრდასთან, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნასთან დაკავშირებით პრაქტიკულ სიბრტყეში გადმოვიდა საკითხი პარტიული აპარატის სტრუქტურისა და შემადგენლობის ცვლილებათა შესახებ. მოგვიხდება უარი ვთქვათ მმართველობის დარგების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის ახლანდელ დაყოფაზე და ქვემდგომ პარტიულ ორგანოებში აპარატის შესაბამის დაყოფაზე, გარდავქმნათ მისი სტრუქტურა თანამედროვე პირობებში პარტიის ფუნქციების შესაბამისად და შევამციროთ მისი რიცხვი.

მინდა, საგანგებოდ შევეხო პარტიის რაიონულ და საქალაქო რგოლებს. მათი როლი მუდამ იყო და დღესაც ფრიად მნიშვნელოვანია. ახალი მოთხოვნების შესაბამისად ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მათი აპარატის ფორმირებას, რათა იგი უკეთ ეხმარებოდეს პარტიულ კომიტეტებს შეასრულონ უშუალო პოლიტიკური, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი ფუნქციები. რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა სახელმძღვანელოდ უნდა მიიღონ მთავარი — მთელ მუშაობაში ნიადაგ ეყრდნობოდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ამისათვის კი საჭიროა მტკიცედ შეცვალონ თავიანთი საქმიანობის სტილი და მეთოდები.

ეტყობა, ამ საკითხთა კონფერენციაზე განხილვისა და ჩვენი საერთო პოზიციის ფორმირების გათვალისწინებით შეიძლებოდა უკვე უახლოეს ხანს შევდგომოდით პარტიული აპარატის ახალი სტრუქტურის შექმნას.

ამხანაგებო! ყველა ამ წინადადების მიზანია შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების თანამიმდევრული დაცვა, პარტიის მებრძოლურობის, იმ უნარის გაძლიერება, რომ სათავეში ჩაუდგეს საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლების პროცესებს, ტონს აძლევდეს გარდაქმნას.

ერთი სიტყვით, საქმე ეხება იმას, რომ პარტიის თვითკონტროლის, თავისი მოქმედების კრიტიკული ანალიზის უნარი უწინარესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად არის ხორცშესხმული მის საქმიანობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, კოლექტიურობა, მუშაობის კოლეგიურობა, საჯაროობა.

და კიდევ, ამხანაგებო! ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამის მეოხებით გამანადგურებელ დარტყმას მივაყენებთ ბიუროკრატიზმს — სენს, რომელმაც, ჩვენდა საუბედუროდ, შეიპყრო პარტიული ორგანოები, პარტიული კადრების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რაც იმით გამოიხატა, რომ ისინი მოსწყდნენ მშრომელებს, აღარ ანაღვლებთ ხალხის ინტერესები და საზრუნავი. რა თქმა უნდა, არ არსებობს და ვერც იქნება ყველა პრობლემის ერთბაშად გადაჭრის ერთადერთი საშუალება. საჭიროა მტკიცედ და თანამიმდევრულად ვიაროთ შინაპარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების აღორძინების გზით.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ პარტიაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შესახებაც. როგორც დისკუსია გვიჩვენებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ჩამოყალიბებულ წინადადებას ისეთი ერთიანი საკონტროლო-სარევიზიო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელსაც პარტიის ყრილობა აირჩევდა და რომელიც გააკონტროლებდა კომუნისტთა მიერ პარტიული დისციპლინის, სკკპ წესდების მოთხოვნების დაცვას, პარტიულ ორგანიზაციათა საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას, — მხარს უჭერენ.

3. რევოლუციური გარდაქმნის მეშვეობით — სოციალიზმის ახალი იერსახის დასამკვიდრებლად

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ჩვენი იდეოლოგიის განახლების ამოცანა ერთ რიგში დააყენა რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმასთან და პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან ერთად. ეს ცხადყოფს, რაოდენ აქტიურ როლს ანიჭებს პარტია იდეოლოგიურ მუშაობას გარდაქმნის მიზნების მიღწევაში.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისაგან განდგომამ იდეოლოგიას მძიმე დაღი დაასვა. დაქვეითდა მისი თეორიული დონე, პროპაგანდა არცთუ იშვიათად ეწინააღმდეგებოდა ცხოვრების რეალობებს. არსებითად იდეოლოგიური მუშაობა ემსახურებოდა დოგმატიკურ წარმოდგენებს სოციალიზმის შესახებ. დაკარგა კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილისადმი და ამით ხელი შეუწყო მოდუნების მოვლენებს. პროპაგანდა, რომელიც გვერდს უვლიდა ყოფიერების საჭირბოროტო პრობლემებს, თანდათან გადაგვარდა რიტორიკულ ფუჭსიტყვაობად და მეხოტბეობად, შეიძინა წმინდა წყლის რიტუალური მნიშვნელობა. ინტელექტუალური ინიციატივის დაკარგვას, დოგმატიზმს, სიტყვისა და საქმის დაშორების შედეგად მოჰყვა პარტიის იდეური გავლენის შესუსტება.

განვლილი სამი წელი აღინიშნა საზოგადოებრივი ცნობიერების დაძაბული მუშაობით. მიმდინარეობდა ალალმართალი, კრიტიკული სჯა-ბაასი ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კაცმა რომ თქვას, მრავალი წლის, ის კი არა, ათწლეულების მანძილზე პირველად მოხდა, რომ ჩვენ საკუთარ თავს შევხედეთ არა მარტო გულწრფელად და პირუთვნელად, არამედ ჩვენი განვითარების ყველა მხარის ურთიერთკავშირშიც.

კვლავ დაედო პატივი ჭეშმარიტებას, სიმართლის და არა სარფის ძიებას, კვლავ დაედო ფასი ობიექტური კვლევის სითამამეს და არა კონიუნქტურულ აღლოიანობას. ყველასათვის ჭკუის სასწავლებელი დასკვნაა სამერმისოდ: თუ არ იქნა ცხოვრების სიმართლე, მეცნიერული ჭეშმარიტებანი და მხატვრული აღმოჩენები, არ არის და ვერც იქნება სრულფასოვანი, მრავაფეროვანი სულიერი ცხოვრება, არ არის და ვერც იქნება ნამდვილად ქმედითი, მებრძოლი იდეოლოგიური მუშაობა.

პარტია დარწმუნებულია ასეთი მიდგომის სიმართლეში, საჯაროობის, დემოკრატიის, აზრთა სოციალისტური პლურალიზმის გასავითარებლად თავისი რევოლუციური ინიციატივის სისწორეში. მაგრამ მიამიტობა იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, რომ ზნეობრივი განწმენდის, დასაბუთებული კრიტიკის, უვარგისი წარსულის დაგმობის შედეგად თავისთავად, ავტომატურად, მაშინვე გაჩნდება ყოველმხრივ განახლებული საზოგადოება. არა, ცნობიერებისა და პრაქტიკის დიალექტიკა განუზომლად უფრო რთულია. იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობა გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული კონკრეტულ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

დღეს ჩვენ შეძლებით გაგვეღვიძებინა საზოგადოებრივი ცნობიერება, დაგვეძლია აპათიისა და გაუცხოების მდგომარეობა. და ახლა საკითხი ასე დგას: საით წარიმართება ეს გაღვიძებული ცნობიერება, რა მიმართულებით განვითარდება საზოგადოებრივი აზრი?

რას იზამს იგი, ემსახურება გარდაქმნის საქმეს, დაადგება კონსტრუქციული აღმშენებლობითი ძალისხმევის ზრდის, შრომისა და პასუხისმგებლობის გზას, სოციალური საზოგადოების ნამდვილი განახლების გზას?

თუ შედრკება ახალი ამოცანების სირთულისა და უჩვეულობის წინაშე, აჰყვება ვნებებსა და ემოციებს, ასცდება გზას და ამჯობინებს გარეგნულად მომგებიან თაოსნობებს, ამა თუ იმ ყაიდის კამპანიურობას?

ანდა, მოჰყვება ცხოვრებაზე წუწუნს და კვლავ რული მოერევა, რითაც ცამდე სწევს სიხარულით ყველას, ვისაც უძრაობის დრო მოსწონს?

ცხადია, რომ პროგრესს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი გზა — ეს არის გარდაქმნის გზა, განახლების გზა. პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რათა საზოგადოებრივი ცნობიერება ყალიბდებოდეს დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარების საფუძველზე და მიზნად ისახავდეს აღმშენებლობით მუშაობას. (ტაში).

განახლების საქმეს გარანტიები სჭირდება, დაცვა სჭირდება. ასეთი გარანტიები უნდა შევქმნათ, განვამტკიცოთ როგორც რადიკალური ეკონომიკური რეფორმის, პოლიტიკური სისტემის რეფორმის თანამიმდევრული განხორციელებით, ისევე საზოგადოებრივი ცნობიერების, სულიერი, იდეოლოგიური ცხოვრების სფეროში.

ამ ბოლო წლებში უდავოდ ბევრი რამ ითქვა გულსატკენი და ტრაგიკულიც კი, ისეთი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წუხილი, ტკივილი, სინანული და უთანხმოება. რა თქმა უნდა, უფრო მშვიდად გამყოფებს, არ იცოდე, თავში არ გაივლო ეს. მაგრამ ასეთი მიდგომა ვერ წარმოშობს რევოლუციურ ცნობიერებას, მოქალაქეობრივ პოზიციას, ადამიანის ვაჟკაცობასა და მაღალ პასუხისმგებლობას, რომლებიც ესოდენ საჭიროა გარდაქმნის წარმატებისათვის. სწორედ ამიტომ, პარტია თამამად შეუდგა წარსულის კრიტიკულ გადასინჯვას, ისტორიული სიმართლის აღდგენას, იმათ რეაბილიტაციას, ვინც უსამართლო პოლიტიკურ ბრალდებებსა და უკანონობას ემსხვერპლა. ეს მუშაობა უნდა განვაგრძოთ.

არ უნდა იყოს კითხვები, რომელთა პასუხის გაცემაზე თავის არიდება დაგვჭირდება, არ უნდა იყოს ეჭვები, რომლებიც შეიძლება არარად ჩავაგდოთ. საქმე ეხება ჩვენს პარტიულ სინდისსა და პატიოსნებას, ლენინის პარტიის ინტელექტუალურ ღირსებას.

ძნელი და რთულია ჭეშმარიტებისაკენ იქვალავდე გზას, მაგრამ პარტიამ, რომელიც განცხრომას მისცემია იდეოლოგიური კომფორტის პირობებში, რომელსაც ჰგონია, რომ ჭეშმარიტება განაღდებული აქვს და არ სჭირდება მისი ყოველდღიური მოპოვება, საკმარისია მხოლოდ გამოიღოს სეიფიდან, — ასეთმა პარტიამ შეიძლება დაკარგოს თავისი სულიერი და მორალური ავტორიტეტი, თავისი რევოლუციური ხასიათი და საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდობის უნარი.

ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას, საბჭოთა ადამიანს ბევრი შესანიშნავი თვისება სჩვევია. ეს ასეა. და მაინც, დღეს ჩვენ ვაყენებთ საკითხს ინიციატივის, დამოუკიდებლობის, სიახლის მწვავე ალღოს, მისი მოთხოვნილების მიზანმიმართული გამომუშავების საჭიროების შესახებ. უამისოდ ვერ დავძლევთ გარდაქმნის ახალ მიჯნებს. ამ თვისებების გამომუშავებას შევძლებთ მხოლოდ საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიულ ფორმებზე დაყრდნობით.

გარდაქმნამ ცხოვრების წინა ხაზზე გაიყვანა საჯაროობა, რომელიც ხორცს ისხამს სულ სხვადასხვა ფორმით — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობით, კრებებზე, მიტინგებზე, სამეცნიერო და შემოქმედებითს კონფერენციებზე, მოქალაქეთა ყრილობებზე. დღეს საზოგადოებრივი აზრის მძლავრ ტრიბუნად გვევლინებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. მათ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ აღედგინათ ისტორიული სიმართლე და სამართლიანობა, გაეკრიტიკებინათ ნაკლოვანებანი და ხარვეზები, გაევრცელებინათ გარდაქმნის გამოცდილება, გამოემუშავებინათ ადამიანებისათვის ახლებურად, შემოქმედებითად, მიზანდასახულად აზროვნებისა და მოქმედების უნარი.

მაგრამ ახლა უნდა განვაგრძოთ წინსვლა. ჩვენ გვჭირდება პარტიული პრესის ახლებური თვისება, მისი პოლიტიკურად განმანათლებელი და მაორგანიზებელი როლის ახლებური თვისება. ახლა ჩვენმა პრესამ ყოველივე იმის კრიტიკის დონის შეუმცირებლად, რაც ხელს უშლის გარდაქმნის გზით მოძრაობას, უნდა განაგრძოს პროცესების სიღრმეში წვდომა, გააანალიზოს ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების რთული დიალექტიკა, წინააღმდეგობრიობა მისი ცხოვრების ყველა სფეროში. ამისათვის კი მართებს მეტი ცოდნა და მეტი კომპეტენტურობა, მეტი კონსტრუქციულობა და პასუხისმგებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტას პრესა მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ მოიზიდავს საზოგადოების ფართო წრეებს, მეწინავე დროშად გაიხდის გარდაქმნის ნამდვილი ათისთავების გამოცდილებას.

დღეს აღარავის სჭირდება ჩიჩინი, რომ თუ არა საჯაროობა განახლებაც ვერ იქნება, რომ უმისოდ ვერ შევძლებდით ესოდენ მოკლე ვადაში გაგვეწია უდიდესი მუშაობა ნეგატიური მოვლენების მიზეზების, მათი დაძლევის გზების გასაანალიზებლად, ვერ შევქმნიდით საზოგადოებაში ახალ მორალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროს, ვერ წამოვწევდით წინა პლანზე გარდაქმნის იდეებს.

საჯაროობა გულისხმობს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის ყოველ საკითხზე აზრების პლურალიზმს, სხვადასხვა თვალსაზრისის თავისუფალ შეჯერებას, პაექრობას. და მხოლოდ ასეთი მიდგომის პირობებში შეასრულებს იგი თავის საზოგადოებრივ როლს, ემსახურება ხალხის, სოციალიზმის ინტერესებს.

მაგრამ საჯაროობა, ისევე როგორც დემოკრატიის ყოველგვარი გამოვლინება, დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს. საჯაროობა შეუთავსებელია შეხედულებათა მონოპოლიის პრეტენზიასთან, დოგმების ერთი წყების თავს მოხვევასთან მეორეთა ნაცვლად, რომლებზეც უარს ვამბობთ, ჯგუფობრივი ინტერესების მსახურებასთან, და, მით უმეტეს, ფაქტების დამახინჯებასა და ჯავრის ამოყრასთან. (ტაში). უაღრესად ანტიდემოკრატიულია წაართვა გაკრიტიკებულ ადამიანებს შესაძლებლობა არსებითად უპასუხონ კრიტიკას, მაშ რაღა საჯაროობაა ეს! და ყოვლად მიუღებელია, როდესაც პაექრობას, კრებებს, პრესის ფურცლებს, ტელევიზიის ეკრანებს იყენებენ ერთმანეთის სალანძღავად, შეურაცხყოფად და იარლიყების მისაწებებლად. (ტაში).

ამავე დროს, ამხანაგებო, დღემდე გრძელდება, და ეს კონფერენციაზე, პირდაპირ უნდა ითქვას, კრიტიკის ჩახშობის, ხშირად კი კრიტიკის გამო გადამტერების ფაქტები, ამას ვაწყდებით პარტიულ ორგანიზაციებშიც, შრომითს კოლექტივებშიც, საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიც, მმართველობითს აპარატშიც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიმართაც. არცთუ იშვიათად, საბჭოთა ადამიანების აქტიურობა და უკომპრომისობა კონკრეტულ ნაკლოვანებათა გამოვლენაში, მათი გამოსვლები რუტინისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, თანამდებობის პირთა მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ზოგ-ზოგების გააფთრებულ რეაქციასა და წინააღმდეგობას იწვევს. და ჩვენ კვლავ ვხდებით იმის მოწმენი, როგორ უკაცხანებენ, ხშირად კი სდევნიან იმათ, ვინც ხმას იღებს სიმართლის დასაცავად. პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები ყველა დონეზე უნდა იდგნენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების სადარაჯოზე, გამოდიოდნენ პრინციპული პოზიციებიდან.

როდესაც ჩვენ, ამხანაგებო, ვლაპარაკობთ ადამიანთა ურთიერთობაში პოლიტიკური კულტურის, ცივილიზებულობის გამომუშავებაზე, ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აქ შეუძლიათ უდიდესი როლი შეასრულონ, კერძოდ, თავიანთი მაგალითითაც.

ეტყობა, ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ საჯაროობის შესახებ კონფერენციის რეზოლუციის მომზადებისას.

და კიდევ — გარდაქმნის ახლანდელ ეტაპზე პარტიის პოლიტიკური საქმიანობის ერთი იდეოლოგიური ასპექტის შესახებ. ახლა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის აღდგენის, ყოველივე იმაზე უარისთქმის პროცესში, რაც ამახინჯებდა სოციალისტურ იდეოლოგიასა და პრაქტიკას, სტერეოტიპებისა და დოგმების მსხვრევის პროცესში ზოგიერთები ამტკიცებენ, ვითომდა ეს არის სოციალიზმის პრინციპების, საფუძვლების ძირის გამოთხრა, მისი ისტორიის თათხვა. ამას ვერ დავეთანხმებით, ამხანაგებო. კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით! (ტაში). ჩვენ არა გვაქვს უფლება დავუშვათ, რომ გარდაქმნამ წაიბორძიკოს დოგმატიზმისა და კონსერვატიზმის ქვებზე, ვიღაც-ვიღაცეების დაჩემებულ მოსაზრებებსა და პირად ამბიციებზე. საქმე ეხება ქვეყნის ბედ-იღბალს, სოციალიზმის სვებედს. და ჩვენ მოვალენი ვართ განვუმარტოთ სიტუაციის სიმწვავე იმათ, ვისაც ეს ჯერ ვერ შეუგნია. ყოველი ჩვენგანისათვის ამ მთავარ საკითხში კომპრომისი არ შეიძლება იყოს. (ტაში).

აქ, კონფერენციაზე, მინდა სრულიად გარკვევით ვთქვა, რომ ჩვენ კვლავაც განვავითარებთ ყველა ჭეშმარიტად სოციალისტურ ღირებულებას, გადაჭრით აღმოვფხვრით იმას, რაც ამახინჯებდა სოციალიზმის რევოლუციურ თეორიასა და იერსახეს.

მძაფრმა დისკუსიებმა და ვნებათა ჭიდილმა [illegible] მნიშვნელოვანი — გასახარი და შთამაგონებელი გარემოება: [illegible] განსაცდელის, დრამატული სიტუაციისა და ტრ[illegible] მდეგ იგი ახალი ძალით ადასტურებს იმ ისტორიული არჩევანის სისწორეს, ჩვენმა ხალხმა რომ მოახდინა 1917 წელს, — სოციალიზმის სასარგებლოდ არჩევანისას. (ტაში).

ნახეთ ახლა ყოველ კაცს შეუძლია ილაპარაკოს ის, რასაც ფიქრობს და რისი თქმაც უნდა. აზრების, მოსაზრებების, ემოციების ეს მრავალფეროვნება უმაგალითო მასშტაბით და სულ სხვადასხვა ფორმით გამოიხატება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაინც, რა მოხდა? ჩვენ უშიშრად და შეულამაზებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროის მანძილზე გაგონილი მსჯელობის მთელი სიმწვავისა და კრიტიკულობის მიუხედავად საბჭოთა ხალხმა გარდაქმნის პროცესში ერთხელ კიდევ მტკიცედ და ძალუმად მისცა ხმა სოციალიზმს. (ტაში).

დიახ, ჩვენ უარს ვამბობთ ყოველივე იმაზე, რამაც დაამახინჯა სოციალიზმი 30-იან წლებში და რამაც გამოიწვია მისი უძრაობა 70-იან წლებში. მაგრამ ჩვენ გვწადია ისეთი სოციალიზმი, რომელიც განწმენდილი იქნება წარსული პერიოდების დანაშრევებისა და დამახინჯებებისაგან და ამასთანავე შეისისხლხორცებს ყოველივე საუკეთესოს, რაც კი რამ უშვია ჩვენი მოძღვრების ფუძემდებელთა შემოქმედებითს აზროვნებას, რაც განუხორციელებია ხალხის გარჯასა და ძალისხმევას, რაც მის იმედებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. ჩვენ გვწადია სოციალიზმი, რომელიც გაითავისებს მსოფლიო განვითარების მთელ მოწინავე გამოცდილებას და სრულად დაეყრდნობა კაცობრიობის პროგრესის მიღწევებს.

რა თქმა უნდა, დღეს შეუძლებელია წვრილად, დეტალურად დავხატოთ მომავალი კონკრეტული იერსახე, რომლისკენაც მივდივართ გარდაქმნის გზით. მაგრამ ძირითადი პარამეტრები, იმის მთავარი ნიშნები, რასაც ჩვენ საზოგადოების თვისებრივად ახლებურ მდგომარეობას ვუწოდებთ, შეგვიძლია მოვნიშნოთ და უნდა მოვნიშნოთ.

შეგვიძლია მოვნიშნოთ, რადგან საზოგადოებრივი გარდაქმნების მთავარი მიმართულებები და ტენდენციები უკვე გამოვლინდა. უნდა მოვნიშნოთ, რადგან გამოვლენილ ნაკლოვანებათა კრიტიკასთან, იმის გაგებასთან ერთად, რაზეც ჩვენ უსათუოდ უნდა ვთქვათ უარი, ასევე დიდია მოთხოვნილება კონსტრუქციულ, პოზიტიურ ორიენტირებზე, რომლებიც განსაზღვრავდნენ სოციალიზმის საბოლოო მიზნებთან და იდეალებთან პრაქტიკის მიახლოების გზებსა და საშუალებებს.

სოციალიზმი ჩვენ მიგვაჩნია ჭეშმარიტი, რეალური ჰუმანიზმის წყობილებად, რომელშიც ადამიანი ნამდვილად გვევლინება „ყოველთა საგანთა საწყაოდ“. საზოგადოების მთელი განვითარება, მისი ეკონომიკით დაწყებული და სულიერ-იდეოლოგიური სფეროთი დამთავრებული, მიზნად ისახავს ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მის ყოველმხრივ განვითარებას. თანაც, ყოველივე ეს კეთდება თვით ადამიანთა გარჯით, შემოქმედებითი ენერგიით.

ჩვენ სოციალიზმი მიგვაჩნია ეფექტიანი და დინამიკური ეკონომიკის წყობილებად, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკეთესო მიღწევებს და უზრუნველყოფს უდიდეს შრომის ნაყოფიერებას; ეკონომიკისა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მარჯვედ ეგუება მათ. ასეთი ეკონომიკის საფუძვლად გვევლინება საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების, წარმოების ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმები, რომელთა დროსაც მშრომელები რეალურად გამოდიან მის ბატონ-პატრონად, უზრუნველყოფილია გამომუშავებისა და შრომის შედეგების პირდაპირი კავშირი. ეკონომიკის გეგმიან მართვას საფუძვლად უდევს სტრუქტურული საკითხების გადაწყვეტისას ცენტრის როლის ორგანული შეხამება საწარმოო ერთეულების როგორც სამეურნეო ანგარიშისა და დამოუკიდებლობის საწყისებით მოქმედი და ბაზრისთვის მომუშავე საქონელმწარმოებლების ფართო დამოუკიდებლობასთან.

სოციალიზმი ჩვენ მიგვაჩნია სოციალური სამართლიანობის წყობილებად, რომელიც შრომაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე, ბინაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე ადამიანის საარსებო მნიშვნელობის მოთხოვნილებათა სოციალურ გარანტიებს უხამებს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის თანამიმდევრულ განხორციელებას, გათანაბრებისა და სოციალური პარაზიტიზმის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრას. ეს არის საზოგადოება, რომელშიც ყველაზე მეტად ფასობს და ღირსეულად ჯილდოვდება მატერიალურად და მორალურად ადამიანის უნარი, მისი ნაყოფიერი შრომა, ოსტატობა და ნიჭი.

სოციალიზმი ჩვენ მიგვაჩნია მაღალი კულტურისა და მორალის წყობილებად. იგი ისისხლხორცებს და ამრავლებს კაცობრიობის სულიერი განვითარების საუკეთესო მიღწევებს, მის მდიდარ ზნეობრივ გამოცდილებას. ეს არის მომხმარებლობის, სულიერი სიმწირისა და კულტურული პრიმიტივიზმის უარმყოფელი მშრომელი კაცის მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით მჩქეფარე და სისხლსავსე ცხოვრების საზოგადოება. მაღალი კულტურის ცნება გულისხმობს საზოგადოების ეკოლოგიურ კულტურასაც, მზრუნველ, გონივრულ დამოკიდებულებას ადამიანთა ცხოვრებისა და საწარმოო საქმიანობის ბუნებრივი პირობებისადმი, ბუნებრივ სიმდიდრეთა შენარჩუნება-გამრავლებას.

სოციალიზმი ჩვენ მიგვაჩნია ნამდვილი სახალხო ხელისუფლების წყობილებად, რომლის დროსაც ყველა მშრომელს უზრუნველყოფილი აქვს სრული შესაძლებლობა — გამოხატავდეს თავის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, მონაწილეობდეს საზოგადოებრივი პროცესების მართვაში, წყობილება, რომელიც ძლევს ადამიანის გაუცხოებას ხელისუფლებისაგან. ეს არის ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის, ეკონომიკის, სოციალური პროცესების მართვაში ღრმა და თანამიმდევრული დემოკრატიზმის, კანონიერების, კარგახსნილობისა და საჯაროობის საზოგადოება.

სოციალიზმი ჩვენ მიგვაჩნია ყველა ერისა და ეროვნების ნამდვილი თანასწორობის, მათი სოციალური, სულიერი აყვავებისა და ურთიერთგამდიდრების წყობილებად, სადაც არ უნდა ჰქონდეს ეროვნებათაშორისი შუღლის არავითარი გამოვლინება, ნაციონალისტური და შოვინისტური ცრურწმენები, სადაც არის ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმობის სუფევა.

და ბოლოს, სოციალიზმი ჩვენ მიგვაჩნია წყობილებად, რომლის ბუნებისა და ინტერესებისათვის ორგანულად არის დამახასიათებელი მისწრაფება მშვიდობისადმი, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და თანამოქმედების განმტკიცებისადმი, ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებისადმი თანასწორუფლებიანობის, ერთურთის საქმეებში ჩაურევლობის დემოკრატიული პრინციპების, ხალხთა იმ სუვერენული უფლების ცნობის საფუძველზე, რომ თავად განსაზღვრონ თავიანთი ბედი.

სოციალიზმის სწორედ ასეთ დემოკრატიულ, ჰუმანურ იერსახეს ვგულისხმობთ ჩვენ, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი საზოგადოების როგორც კომუნიზმისაკენ აღმასვლის დიდმნიშვნელოვანი საფეხურის თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე.

მომავალი წლები განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის მყოფადს, საბჭოთა წყობილების ბედს. ჩვენთვის ეს მყოფადი იქნება ისეთი, როგორსაც ჩვენ შევქმნით. ჩვენ თვითონ — სხვა არავინ ჩვენს ნაცვლად თუ ჩვენს მაგივრად. ასე დგას საკითხი და მოვალენი ვართ გავცეთ მას პირდაპირი პასუხი. დაუფარავად და მიუკიბმოუკიბავად. გავცეთ ისე, რომ არ ვეცადოთ თავის არიდებას საწადელისა და სინამდვილის, სიტყვისა და საქმის, სუბიექტური წარმოდგენებისა და ობიექტური რეალობების პატიოსანი შედარებისაგან.

საბჭოთა ხალხს სწადია ნათელი პერსპექტივა. სისხლსავსე და უცილობელი დემოკრატია, უგამონაკლისო კანონიერება. საჯაროობა ყველაფერში — დიდსა თუ მცირეში, ძმობა და ამხანაგობა ურთიერთობაში, შრომისმოყვარეობისა და ნიჭის, საქმისა და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ერთგული მსახურების პატივისცემა. ჩვენ გვჭირდება არა სოციალური უტოპიები, არამედ მკაფიო ორიენტირები, სოციალისტურობის ობიექტური კრიტერიუმები ცვლილებათა ყველა ეტაპზე, რათა მკაფიოდ მოჩანდეს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციები. რათა არ გადაგვიყოლოს, როგორც არაერთგზის მოგვსვლია წინათ, მიმდინარე საქმეებიდან თავაუღებლობამ და თვალში ნაცრის შეყრამ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფლობაში, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა სოციალური სამართლიანობის საზოგადოების, თავისუფალ და თანასწორუფლებიან ადამიანთა ცივილიზაციის აშენების შესაძლებლობა. სწორედ ამით ვხელმძღვანელობთ ჩვენ რევოლუციური გარდაქმნის პროცესში, სწორედ ასე ვიმოქმედებთ ჩვენ მის ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, რომელსაც ჩვენი პარტკონფერენცია ხსნის! (ტაში).

ამხანაგებო! მოხსენების დასასრულს მინდა, ზოგადად მოგახსენოთ იმ დისკუსიაზე, რომელიც წინ უძღოდა კონფერენციას და რომელიც განსაკუთრებით გაჩაღდა ცენტრალური კომიტეტის თეზისების გამოქვეყნების შემდეგ.

დიდი ხანია, პარტიაში, საზოგადოებაში არ გვქონია ესოდენ ფართო, მგზნებარე და ნაყოფიერი დისკუსია, რომელიც გამოირჩევა ცოცხალი აზრით, წინადადებების დიდი რაოდენობით და ხშირად — მოსაზრებათა მწვავე შეჯახებით. მის ცენტრში იყო გარდაქმნის, საზოგადოებრივი და შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციის არსებითად მთავარი საკითხები. საქმე ეხებოდა პრაქტიკულად ერთს: როგორ გავაკეთოთ ეს უფრო უკეთ.

პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინადადებები და იდეები, რომლებითაც ცენტრალური კომიტეტი შევება კონფერენციას, შვა პარტიის, მთელი ხალხის კოლექტიურმა აზრმა.

ჩვენი მიზანია მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი, მშრომელი კაცის უკეთესი ცხოვრება, ქვეყნის სიდიადე და კეთილდღეობა.

ჩვენ ამ დღეებში უნდა შევაჯამოთ ამ მიზნების მისაღწევად გაწეული მუშაობის შედეგები და მივიღოთ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტები, რომლებმაც ახალი სტიმული უნდა მიანიჭონ გარდაქმნას, გახადონ იგი შეუქცევადი. სწორედ ეს განსაზღვრავს პარტიისა და ხალხის წინაშე ყოველი დელეგატის, მთელი ჩვენი კონფერენციის პასუხისმგებლობის საწყაოს. (ხანგრძლივი ტაში).

ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით

(დასასრული)

ანაზღაურების შედარებით. ეს შედარება ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ როდი მეტყველებს.

აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც ორატორის აზრით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთო-სახალხო დისკუსიაში, რომელიც წინ უსწრებდა კონფერენციას. საქმე ეხება რაღაც „ფანტასტიკურ" პრივილეგიებს, რომლებიც თითქოს პარტიულ მუშაკებს ჰქონდეთ. ამ თემას, ორატორის აზრით, ზოგიერთები განზრახ ბერავენ და აზვიადებენ. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება პრესაში გულახდილად ითქვას, თუ რა აქვს სინამდვილეში პარტიულ მუშაკს.

პარტიას არაფერი აქვს დასამალი მასებისაგან, იგი ვერსად ვერ იმუშავებს უმასებოდ. რაც უფრო მეტად ვუბრუნდებით პრაქტიკაში სოციალიზმის არსის ლენინისეულ გაგებას, თქვა ორატორმა, ჩვენ ასევე უნდა მივუბრუნდეთ პარტიის როლის ლენინისეულ გაგებას, რომელიც უნდა განახლდეს, განვითარდეს, გარდაიქმნას და დარჩეს მასების პოლიტიკურ ხელმძღვანელად.

რეალისტურად ვაფასებთ რა საქმეს, ჩვენ, განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ხერსონის ოლქის ზელოზერკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **დ. ქ. მოტორნიმ,** კანონზომიერად გამოგვაქვს მთავარი დასკვნა: გარდაქმნას ალტერნატივა არ აქვს. მან მოიცვა საზოგადოების ყველა ფენა და სფერო, ძალას იკრებს, ღრმავდება და ფართოვდება. გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დაჩქარების კურსს, რომელსაც დაადგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩვენმა ხალხმა, მთელმა ქვეყანამ.

დიდი ხანია არ ყოფილა ესოდენ გულწრფელი, საყოველთაო დაინტერესება, როგორც ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვის დროს. დღეს პოზიცია „გარდაქმნის მომხრე ხარ თუ არა?" შეიძლება შეამოწმო მხოლოდ პრაქტიკული საქმეებით. ამ თვალსაზრისით, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თქვა, მეურნეობის საქმეები, რომელსაც იგი მეთაურობს, მოწმობს, რომ მას რეალური წვლილი შეაქვს სასურსათო პრობლემის გადაჭრაში. ორატორმა განაცხადა, რომ გვალვიანი წელისათვის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია რწყვა. რეზერვები? რეზერვებიც არის. უწინარეს ყოვლისა ეს გახლავთ კოლმეურნეობის ინტერესებისა და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების გონივრული დაკავშირება.

ჩვენ მივეჩვიეთ, თქვა შემდეგ დელეგატმა მცირე ანაზღაურებასა და ცუდ მუშაობას. დღეს, მისი აზრით, ზოგან შეინიშნება სხვა ტენდენციაც: კარგი მუშაობა, მაგრამ საარაკოდ დიდი ანაზღაურებაც, რომელიც სამ-ოთხჯერ აღემატება გაწეული შრომის რაოდენობასა და ხარისხს. ერთიცა და მეორეც ცუდია. ჩვენ არ ვიცით ობიექტური ეკონომიკური კანონების, განსაკუთრებით შრომის მიხედვით განაწილების კანონის გამოყენება, და ეს უწინარესად სწავლულ ეკონომისტთა ბრალია. ეკონომიკური მეცნიერება, მიაჩნია ორატორს, ჯერჯერობით რეკომენდაციებს იძლევა სინჯებისა და შეცდომების მეთოდით.

ორატორმა განაცხადა, რომ აპარატის მუშაკებს უნდა წავგლიჯოთ მითვისებული უფლება, მბრძანებლობდნენ, მაგალითად, კოლმეურნეობებს. ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ეკონომიკის დემოკრატიზაციის პირობებში. კანონად უნდა იქცეს: ფულის მოხმარება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მას გამოიმუშავებს.

შეეხო რა შემდეგ ფასწარმოქმნის აქტუალურ პრობლემას, დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა: ამ საკითხების განხილვისას საჭიროა უაღრესად აწონილ-დაწონილი მიდგომა. არ შეიძლება ამ საქმეში შეცდომების დაშვება.

ხალხი გარდაქმნის შედეგებს აფასებს უწინარეს ყოვლისა იმის მიხედვით, რამდენად საგრძნობია ძვრები სურსათით უზრუნველყოფაში, ადამიანის სხვა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. სამწუხაროდ, სიტუაცია სასიკეთოდ ძალზე ნელა იცვლება. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ორატორს მიაჩნია ეკონომიკური სტიმულირების, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმის უგულებელყოფა. მან განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს სოფლის სოციალური გარდაქმნა. ძლიერი სოციალური პოლიტიკა, თქვა მან, უნდა განვამტკიცოთ სოფლის თანამედროვე სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის ოპერატიული ღონისძიებებით. დღემდე გრძელდება სოფლის მოსახლეობის მიგრაცია. თანამედროვე სოფლისათვის უნდა გადაწყდეს სამი მთავარი საკითხი: მას უნდა მივცეთ გათბობა, გავიყვანოთ გზები, მივცეთ წყალსადენი და კანალიზაცია. ეს პრობლემები, კოლმეურნეობის თავმჯდომარის აზრით, უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე საცხოვრებლით უზრუნველყოფა. მათ გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სოფლად კადრების დამკვიდრების საკითხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ დემოკრატიზაციის განვითარების მძლავრმა პროცესმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების რევოლუციურმა სულისკვეთებამ გამოაღვიძა საზოგადოების ძალები. მათი ზეგავლენით გაირღვა გულგრილობის, ხალხის ხმაგაკმენდილი მორჩილების კედელი.

საჯაროობას გაუჩნდა არსებითი პოზიტიური თავისებურება: იგი გახდა კონსტრუქციული, საზოგადოებრივი განვითარების დეფორმაციის გამოსწორებისათვის გამიზნული. რესპუბლიკის კომუნისტებს ეს განსაკუთრებით ახარებთ, რადგან ყაზახეთში რამდენიმე თვის წინათ შექმნილმა სიტუაციამ სერიოზული შიში გამოიწვია. რეალური საფრთხე შეექმნა გარდაქმნის დასახულ ცვლილებებს. ვითარების გაჯანსაღებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, გადამწყვეტი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ყაზახეთის რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის შესახებ. მასში საგანგებოდ აღინიშნა ის ლენინური დებულება, რომ ეროვნული თვითშეგნება არასოდეს არ ყალიბდება თავისთავად. მის განვითარებას განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური პირობები, საზოგადოებაში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

კომუნისტებმა გასული წლის განმავლობაში შეძლეს გამოენახათ არასტანდარტული მიდგომა მწვავე სოციალური პრობლემების რეალიზაციისადმი. ორატორმა მაგალითად მოიყვანა ის, რომ სერიოზული გარდატეხა მოხდა ადამიანების ბინებით უზრუნველყოფაში. გაძლიერდა ყურადღება სოციალურ-კულტურულ საყოფაცხოვრებო ობიექტებისადმი, სურსათის მომარაგებისადმი. ამასთან, შეეხო რა წარმატებებს, ორატორმა შენიშნა, რომ თვითდამშვიდება დაუშვებელია: აქაო და მარაგნაკეთი გვაქვსო, მუშაობა თავისთავად წარიმართებაო. არა, მუშაობა თავისთავად არ წარიმართება. პირიქით, საჭირო იქნება მეტი ორგანიზატორული და პოლიტიკური გზნება, სიტყვისა და საქმის მეტი ერთიანობა. წინათ მთავარი იყო არა საბოლოო შედეგი, არამედ სახარბიელო ციფრებით ეკვილიბრისტიკა. ასეთი მიდგომა დღესაც არ აღმოფხვრილა. ადამიანები კი დაიღალნენ ციფრებისაგან, მათ სჭირდებათ ხილული ცვლილებები, რომლებიც დაამტკიცებენ გარდაქმნის წარმატებას.

ორატორმა პარტიული კომიტეტების მიერ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების ფუნქციური მაგივრობის გაწევაზე უარის თქმას დადებითი ღონისძიება უწოდა და აღნიშნა, რომ ეს სულაც არ შეამსუბუქებს პარტიული მუშაკების ცხოვრებას. მათგან ყველას როდი შესწევს უნარი იმოქმედოს დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ვითარებაში. ამ უნარს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვის პრაქტიკაში.

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ კადრების შერჩევასა და აღზრდას. საქმე კარგად მიდის იქ, სადაც პარტიულ ორგანიზაციას სათავეში უდგას გონიერი ადამიანი. ასეთი ადამიანები ყველაფერს თავად როდი მართავენ, მათ შეუძლიათ მთავარის დანახვა, საქმეში სხვების ჩაბმა. მთავარი ამოცანა ის არის, რომ თავიანი კაცი შეირჩეს მუშაობის ყოველ უბანზე.

ორატორმა სერიოზული ყურადღება დაუთმო პარტიის ავტორიტეტის ზრდას, რომლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კონკრეტული საქმეებით, თითოეული კომუნისტის ძალისხმევით. ახლა უაღრესად საჭიროა ამხანაგური შეკავშირება პარტიულ რიგებში, პატიოსანი, კეთილმოსურნე, ზნეობრივი ატმოსფეროს დამკვიდრება.

გარდაქმნა გარდაუვალია

რადგან იგი პარტიის ნებას, ხალხის ნებას ემყარება, მან ძირფესვიანად უნდა განაახლოს ჩვენი ცხოვრება, ახალი მძლავრი იმპულსი მისცეს ამ პროცესს. და ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ მისი ბედისათვის, — ასე გამოხატა თავისი აზრი სკკპ წევრმა 1930 წლიდან არჩილ გურგენიძემ XIX საკავშირო პარტკონფერენციის შესახებ. რესპუბლიკის დედაქალაქში მცხოვრებ პარტიის სხვა ვეტერანებთან ერთად იგი მოვიდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, რომლის ერთ-ერთ დარბაზში ორგანიზებული იყო პარტკონფერენციის მუშაობის დაწყების ამსახველი რეპორტაჟის ჩვენება.

— სამ წელიწადზე მეტი ხანია, რაც განახლების გზას ვადგავართ, — ამბობს პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მაკარ ჯაში, — ზოგი რამ უკვე მართლაც გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქვეყანამ უძრაობა დაძლიოს. რამდენ ახალ კითხვას გვიყენებს ცხოვრება. ზოგიერთ მათგანს უნდა უპასუხოს კონფერენციამ, რომლის მუშაობის დაწყებას საბჭოთა ადამიანები არცთუ უსაფუძვლოდ დიდ იმედებს უკავშირებენ. ვფიქრობ, ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ღრმა ანალიზს, რომელიც მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაშია მოცემული, გულგრილი არავინ დაუტოვებია. გარდაქმნას მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის, მთლიანად სოციალიზმის ბედ-იღბალს. განსაკუთრებით დამახსომდა სიტყვები, რომ განახლების ქარი აკაჟებს საზოგადოების ზნეობრივ ჯანმრთელობას, რომ ადამიანებმა, ბოლოს და ბოლოს, იგრძნეს პასუხისმგებლობა, რომ ისინი თავისუფლდებიან აპათიისა და გაუცხოებისაგან. დარწმუნებული ვარ, პარტიული კონფერენცია მიიღებს ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ნამდვილი სახალხო ხელისუფლების პრინციპებს დაამკვიდრებენ.

(საქინფორმი).

სურათზე: 28 ივნისს, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გახსნის დღეს, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში შეიკრიბნენ პარტიის ვეტერანები. ისინი ერთად უყურებდნენ გადაცემას კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

ჯ. ლომაძის („კომუნისტი") ფოტო.

სტიქია და ადამიანები

კოკისპირული წვიმები საქართველოში

ამჟამად კოლხეთის დაბლობის მეტ წილ რაიონებში გამოიდარა. 24-25 ივნისს კი აქ გადაუღებელი კოკისპირული წვიმების შედეგად ყველაზე პატარა მდინარეებიც კი აბობოქრდა. სტიქიამ მკაცრი გამოცდა მოუწყო წყალტუბოს საქალაქო ზონის მეურნეობებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მდინარე გუბისწყლის აუზში. წყალმა დატბორა 700 ჰექტარამდე ბოსტნები და სიმინდის ყანები. ამ სავარგულების უმეტესობა ხელახლა უნდა დაითესოს. წინასწარი მონაცემებით, წყალდიდობით გამოწვეულმა ზარალმა მარტო მაღლაკის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობასა და შოთა რუსთაველის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში 200 ათას მანეთს გადააჭარბა.

სტიქიამ კორექტივები შეიტანა ქალაქ-კურორტ წყალტუბოს სამეურნეო ცხოვრებაშიც. აქ ძლიერი წვიმების გამო გარკვეული დროით ტრანსპორტის მოძრაობაც კი შეწყდა, იყო შეფერხებები წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდებაში.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული ზომების შედეგად ვითარება ქალაქში მოწესრიგდა. მინდვრად დაიწყო აღდგენითი სამუშაოები.

განმარტა რა ეს ცნობა, საქართველოს ჰიდრომეტცენტრის მთავარმა ინჟინერმა ჯ. დოლიძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ძლიერი კოკისპირული წვიმები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მოვიდა 23 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით, განსაკუთრებით კი მის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, გამოწვეული იყო ამინდის ანომალიით. კავკასიონის თავზე „ერთმანეთს შეხვდა" ატლანტიკის მხრიდან შემოჭრილი ჰაერის ზედმეტად ნოტიო მასები და სამხრეთის თბილი მასები. მათი ინტენსიური შერევის შედეგად განსაკუთრებით გაწვიმდა აფხაზეთში და კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ზონაში. აქ ოთხი დღის განმავლობაში მრავალ რაიონში ნალექების 2,5 თვის ნორმა მოვიდა.

კოკისპირული წვიმების გამო მკვეთრად აიწია ბევრი მდინარის დონემ, რომლებიც დიდი კავკასიონის მთების სამხრეთი ფერდობებიდან მიედინებიან შავი ზღვისაკენ. ამ სტიქიურმა მოვლენამ დიდ ფართობზე დატბორა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გაავდრებას მოჰყვა ქარის გაძლიერება. ყველაზე ძლიერი ქარი აღინიშნა თბილისის აეროპორტის ზონაში. მისი სიჩქარე წამში 25 მეტრს აღწევდა. ამ ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენის მოახლოება რესპუბლიკის ამინდის სამსახურების მუშაკებმა დროულად აცნობეს სახალხო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებს. ამან შეამცირა ავდრით გამოწვეული ზარალი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
28 ივნისი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

უარყვეს უსაფუძვლო მტკიცებანი

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. თ. პეტროვსკი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ვ. მ. შაბანოვი, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხთა მესამე სპეციალურ სესიასთან დაკავშირებით, შეხვდნენ ავღანეთში საბჭოთა სამხედრო ტყვეების ხსნის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს, რომელიც ახლახან შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გამართული საუბრის დროს კომიტეტის წევრებმა ვ. თ. პეტროვსკისა და ვ. მ. შაბანოვს სთხოვეს, კერძოდ, განემარტათ მტკიცებები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში ავრცელებენ იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში დაბრუნებულ სამხედრო ტყვეებს სასტიკი სასჯელი მოელით. საბჭოთა მხარემ ნათლად განაცხადა, რომ, როგორც უკვე აღინიშნეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენლებმა, სოციალისტური ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე, სამშობლოში დაბრუნებული ყოფილი სამხედრო ტყვე საბჭოთა ჯარისკაცების მიმართ არ იქნება დევნა.

თანხმობას ვერ მიაღწიეს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხთა მესამე სპეციალური სესიის მონაწილეებმა, რომელიც აქ კვირას დამთავრდა, ვერ მიაღწიეს თანხმობას სპეციალური სესიის საბოლოო დოკუმენტის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა, აღნიშნავს პერეს დე კუელიარი, დაუახლოვეს თავიანთი პოზიციები ამ დოკუმენტის პროექტის მეტ წილ დებულებებში, მაგრამ ბოლო ეტაპზე ცალკეული ქვეყნების პოზიციები მოუქნელი აღმოჩნდა წარმოდგენილი დოკუმენტის ტექსტის მიმართ კომპრომისის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, სიტუაცია განიარაღების დარგში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის აზრით, პოზიტიური რჩება. სპეციალურ სესიაზე გაიმართა კონსტრუქციული დისკუსია და ერთმანეთს მიუახლოვდა კიდეც სხვადასხვა პოზიცია განიარაღების საკითხებში.

◆ დასავლეთ ბერლინი

ნეონაცისტთა გამოხდომა

დასავლეთი ბერლინი. დასავლეთ ბერლინში მოპარპაშე ნეონაცისტებმა კვლავ წაბილწეს ქალაქის ტირგატენის რაიონში აღმართული როზა ლუქსემბურგის ძეგლი, რომელიც ფაშისტური ლოზუნგებით აჭრელეს. გასული წლის დეკემბრიდან, როდესაც მგზნებარე გერმანელი რევოლუციონერის მონუმენტი გაიხსნა, ნეონაცისტებმა უკვე მესამედ ხელყვეს იგი. პოლიციას არც ერთ შემთხვევაში არ გამოუვლენია დამნაშავენი.

ფაშისტების მორიგმა გამოხდომამ ქალაქის დემოკრატიული საზოგადოებრიობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადეს დასავლეთ ბერლინის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ და კ. ლიბკნეხტის სახელობის ახალგაზრდობის სოციალისტურმა კავშირმა. ქალაქის ასობით მცხოვრები მონაწილეობდა ანტიფაშისტურ მიტინგში კონგრესთა საერთაშორისო ცენტრის შენობასთან, სადაც პოლიციის დაცვით მიმდინარეობდა ნეონაცისტური „გერმანიის სახალხო კავშირის" თავყრილობა. მიტინგზე გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ როზა ლუქსემბურგის ძეგლის მორიგი წაბილწვა ნათლად მოწმობს ქალაქში ნეონაცისტთა აქტიურობის ზრდას. მათ აღშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ პოლიცია იცავს „მარად გუშინდელთა" გამოხდომებს და ამავე დროს აბრკოლებს ანტიფაშისტური დემონსტრაციების მოწყობას.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ნიუ-იორკი. ორშაბათს აქ დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციის კომიტეტის მორიგი სესია. მისი მონაწილეების ყურადღების ცენტრშია საკითხი საერთაშორისო წესის დამყარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარების შესახებ, რომელმაც უნდა განამტკიცოს მშვიდობა და საერთაშორისო ურთიერთგაგება.**

● **პარიზი. საფრანგეთის ქალაქ ვერდენში გაიმართა „მშვიდობისათვის მებრძოლი ქალაქების" მსოფლიო კავშირის ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომა. ექვსი წლის წინათ შექმნილი კავშირი აერთიანებს ქალაქებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაინგრა პირველი და მეორე მსოფლიო ომების, სხვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ 10 ქალაქის წარმომადგენლები. განიხილეს უახლოესი ნახევარი წლის მუშაობის პროგრამა.**

● **პრაღა. ხელოვნების ტრადიციული დღესასწაული — „საერთაშორისო კულტურული ზაფხული" გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის განთქმულ კურორტში ქალაქ ლუგაჩოვიცაში. მის პროგრამაში შეტანილია სიმფონიური და საესტრადო მუსიკის ათობით კონცერტი, პოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების გამოსვლები, „შემოქმედი ახალგაზრდობის დღეების" მოწყობა.**

◆ ნიკარაგუა

მოლაპარაკება კვლავ ჩაიშალა

მანაგუა. შეიარაღებული კონტრრევოლუციის თავკაცებმა უარყვეს ნიკარაგუის მთავრობის წინადადება განეხილათ ქვეყანაში ცეცხლის საბოლოო შეწყვეტის შესახებ პირდაპირი მოლაპარაკება, რომელიც მათი მიზეზით შეწყდა.

ამჯერად კონტრასებმა სანდინისტურ მთავრობასთან მოლაპარაკების განგრძობის პირობად მოითხოვეს, კერძოდ, მიანიჭონ მანაგუაში მიმოსვლის შეუზღუდველი თავისუფლება და მემარჯვენე რეაქციასთან შეხვედრების მოწყობის შესაძლებლობა. მათ აგრეთვე მოითხოვეს შეწყდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ მასალების პუბლიკაცია, რომლებიც ამხილებენ კონტრასთა ერთ-ერთი ახლანდელი მეთაურის, ყოფილი სომოსელი პოლკოვნიკის ბერმუდესის დანაშაულობებს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ათასობით ნიკარაგუელის დაღუპვაში.

„წინააღმდეგობის" ხელმძღვანელობამ წინადადება წამოაყენა გამართონ მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, მათი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება უკვე ხელმოწერილ საზავო მორიგებათა ფორმასა და შინაარსს.

● აშშ—ისრაელი

ი. რაბინის ვიზიტი

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქში მყოფი ისრაელის თავდაცვის მინისტრი იცხაკ რაბინი შეხვდა და მოლაპარაკება ჰქონდა ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, სახელმწიფო მდივანთან ჯორჯ შულცთან და თავდაცვის მინისტრთან ფრენკ კარლუჩისთან. კარლუჩისა და რაბინის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, მოლაპარაკების მთავარი საკითხი იყო ის, რომ შეერთებულმა შტატებმა გაზარდოს ისრაელისათვის სამხედრო მიწოდებათა ისედაც გიგანტური მასშტაბი, აგრეთვე „განმარტოს" ოკუპირებულ მიწებზე პალესტინელთა მიმართ ისრაელის ტერორის მიზეზები. რაბინმა ილაპარაკა ამერიკა-ისრაელის ახალ უპრეცედენტო სამხედრო პროგრამაზე, რომელიც ამჟამად მუშავდება. ეს პროგრამა, მისი თქმით, მიზნად ისახავს ტაქტიკური რაკეტებისაგან ისრაელის დაცვის სისტემის შექმნას. რაც შეეხება პალესტინელთა წინააღმდეგ ტერორს, რაბინი ამტკიცებდა, რომ ისრაელი ძალას მიმართავს თავისი ეროვნული უშიშროების ინტერესების უზრუნველსაყოფად. უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებს, მან განაცხადა, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა გამოინახოს მოლაპარაკების გზით. მან უარი თქვა დაეზუსტებინა, ვინ უნდა მონაწილეობდეს ამ მოლაპარაკებაში.

ფოტოინფორმაცია

◆ იტალია

რომში დამთავრდა რესტავრაცია განთქმული ბერძნული ქანდაკებისა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „მჯდომარე გოგონა". მის აღდგენაზე დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა რესტავრატორი იან კოსინკა. როგორც იგი ამბობს, დიდი და რთული სამუშაო ჩატარდა, ვინაიდან „მჯდომარე გოგონა" თითქმის 22 საუკუნისაა. ფართო საზოგადოებრიობას ამ უნიკალურ ქანდაკებას უჩვენებენ რომის საქალაქო საგამოფენო დარბაზში.

სურათზე: იან კოსინკა მუშაობის დროს.

ანსა-საქდესის ფოტო.

შემთხვევა

კატასტროფა ვაგზალში

პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქის ლიონის ვაგზალში ორშაბათს საღამოს მოხდა სარკინიგზო კატასტროფა. მატარებლების შეტაკების შედეგად, რომელთაგან ერთ-ერთი ვაგზლის ბაქანთან იდგა, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი, ათობით ადამიანი დაიჭრა. კატასტროფა მოხდა მატარებლების ინტენსიური მოძრაობის დროს. როგორც რკინიგზების ეროვნული საზოგადოების წარმომადგენელმა განაცხადა, ავარიის მიზეზი დაკავშირებულია, როგორც ჩანს, მატარებლის სამუხრუჭო სისტემასთან. გრძელდება დაზარალებულთა ძებნა, რომლებიც შეტაკებული მატარებლების ნამსხვრევების ქვეშ არიან.

სპორტი

წყალში ხტომა:

ნაკრებში მიიწვიეს

წყალში მხტომელთა საკავშირო თასის გათამაშება, რომელიც თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყალოსნო კომპლექსში გაიმართა, სეულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. ამიტომ აქ საასპარეზოდ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩამოვიდა. სარბიელზე ვერ ვიხილეთ მხოლოდ გიორგი ჩოგოვაძე, რომელიც ახლა ტრავმას იშუშებს.

როგორც ვიუწყებოდით, ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესის სახელი მარინა ბაბკოვამ მოიპოვა, ხოლო თბილისელმა დიანა მჭედლიძემ მესამე ადგილი დაიკავა.

5-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში საკავშირო თასს ერევნელი არმინე მელქუმიანი დაეუფლა, მჭედლიძემ კი კვლავ მესამე ადგილი დაიკავა. მჭედლიძის თანაგუნდელი, შარშანდელი საკავშირო თასის მფლობელი ანა როსტიაშვილი მეხუთე იყო.

ვაჟთა შორის ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა კიეველმა ვალერი სტაცენკომ. აქ თბილისელი გიორგი შელიუგოვი მეოთხე იყო. სამაგიეროდ 5-მეტრიან კოშკზე შეჯიბრებაში შელიუგოვმა ნახტომების სერია ჩინებულად შეასრულა და, როგორც შარშან, ახლაც საკავშირო თასს დაეუფლა.

— ოლიმპიური თამაშებისათვის ჩვენი ქალების მზადებით უკმაყოფილო ვარ, — გვეუბნება სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იური კრუტოვი, — ისინი საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში მოიკოჭლებენ. ეს დაადასტურა თბილისში სპეციალურ მომზადებაში გამართულმა შეჯიბრებამ. უკეთესი მდგომარეობაა ვაჟთა შორის. მათგან ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი აქვს გიორგი ჩოგოვაძეს, რომელიც ბოლო წლებში სტაბილურად მაღალ შედეგებს აჩვენებს. ამ შეჯიბრებაზე ძალზე მომეწონა გიორგი შელიუგოვმა. მან ჭეშმარიტი მებრძოლის ხასიათი გამოავლინა და საკავშირო ნაკრების კანდიდატებთან ერთად ახლა შეკრებაზე ვიწვევთ, თუმცა ჯერჯერობით გაუჭირდება ჩოგოვაძესთან და კიდევ რამდენიმე სპორტსმენთან მეტოქეობა.

ნ. ხოშტარია.

ევროპის ჩემპიონატის ექო

ვან ბასტენი— საუკეთესო

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ამ ფეხბურთელს ხმა მისცა ჩემპიონატზე აკრედიტებულმა 1250-მა ჟურნალისტმა. რეფერენდუმში მეორე ადგილი დაიკავა რუდ გულიტმა — 578, მესამე — ასევე ჰოლანდიის წარმომადგენელმა ფრანკ რაიკაარდმა — 498.

დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" შეადგინა ევროპის სიმბოლური ნაკრები: დასაევი (სსრკ), რ. კუმანი (ჰოლანდია), კუზნეცოვი (სსრკ), რაიკაარდი (ჰოლანდია), მიხაილიჩენკო (სსრკ), გულიტი (ჰოლანდია), მათეუსი (გფრ), პროტასოვი (სსრკ), ვან ბასტენი (ჰოლანდია), ვიალი (იტალია).

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. გრძელდება უიმბლდონის ტურნირი. საბჭოთა გუნდის ლიდერი ნატალია ზვერევა მოულოდნელად დამარცხდა ამერიკელ როზალინ ფაირბანკთან (2:6. 4:6) და ბრძოლას გამოეთიშა. უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა პატ კეშმა (ავსტრალია) იოლად მოუგო მოსკოველ ანდრია ვოლხოვსკის — 6:3, 6:3, 6:3. ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა ხუთსაათიან ბრძოლაში აჯობა ავსტრალიელ მარკ ვუდფორდს — 7:5, 6:7, 6:7, 7:5, 10:8. შეჯიბრებას გამოეთიშა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი გაბრიელა საბატინი (არგენტინა).

ჭადრაკი. ბელფორში (საფრანგეთი) მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაში 11 ტურის შემდეგ 8,5 ქულით კვლავ გარი კასპაროვი ლიდერობს. ბოლო შეხვედრა მან შავი ფიგურებით მოუგო ბელიავსკის. იან ელვესტს 7,5 ქულა აქვს. 6,5 ქულით მესამე ადგილზეა ბორის სპასკი (საფრანგეთი). კარპოვმა, სოკოლოვმა, ჰიუბნერმა (გფრ) და რიბლიმ (უნგრეთი) 6-6 ქულა მოაგროვეს, შორტმა (ინგლისი) — 5,5. ნოგეირასმა (კუბა), სპილმენმა (ინგლისი) და იუსუპოვმა — 4,5-4,5.

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მე-18 ტურში ლანჩხუთის „გურიამ" ფრედ დაამთავრა შეხვედრა რიგაში ადგილობრივ „დაუგავასთან" — 2:2. ქულები გაიყვეს აგრეთვე ლვოვის „კარპატმა" და ბათუმის „დინამომ" — 0:0.

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

ტელევიზია — ოთხშაბათი, 29 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.00 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. (მ.). 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.00 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 16.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროგრამა. 17.00 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. (მ). 17.15 — განცხადებები. 17.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი. „იხარეთ და იდღეგრძელეთ". 17.40 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 17.50 — კონცერტი. 18.25 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 19.15 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის XIX საკავშირო პარტკონფერენციის დღიური (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — კონცერტი XIX საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატებისათვის. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 22.00 — „ვრემია". 23.00 — ჩვენი პრემიერა. სატელევიზიო ფილმი-კონცერტი „ზურაბ ანჯაფარიძე". 0.10 — დღეს მსოფლიოში (მ.).

მეორე პროგრამა. 18.05 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.15 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკავშირო პარტკონფერენციის დღიური 20.00 — მოამბე. 20.35 — კონცერტი სკკპ XIX საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატებისათვის. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — 120 წუთი". 9.35 — „მოქმედი პირნი". XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატები, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივნის ე. ა. ბერიძის შესახებ. 10.10 — რ. სოლნცევი. „სამნი წითელ ხალიჩაზე". ტელესპექტაკლი. 11.20 — „დრო ჩვენთან ერთად მოაბიჯებს". ფილმ-კონცერტი. 12.00 და 17.00 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია. 17.15 — საბჭოური სიმღერის კონცერტი. 17.35 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. ჟურნალი „ტელეეკო". 18.05 — ახალი ამბები. 18.10 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „სტუმარი მომავლიდან". III სერია. 19.15 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დღიური. 20.00 — **კონცერტი XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატებისათვის.** ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 22.00 — „ვრემია". 23.00 — კინოწარმოდგენა „ყოველთვის კადრის უკან". გასართობი პროგრამა ა. კურლიანსკის ფილმებისა და მოთხრობების მიხედვით. 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ხალხური მუსიკის ანსამბლის „პიირილეიკის" კონცერტი. 9.50 — „თეთრი იმედი". დოკუმენტური ტელეფილმი მიკროქირურგიის დარგში ლიტველ მეცნიერთა კვლევა-ძიების შესახებ. 10.20 და 11.55 — გერმანული ენა. 10.50 — საბავშვო მხატვრული ფილმი „ვესნუხინის ფანტაზიები". I სერია. 12.25 — მხატვრული ფილმი „ხავერდოვანი სეზონი". 14.05 — მულტფილმები. 14.30 — ახალი ამბები. 14.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „მოსოლქსოფლმშენის" ქ. ვოლოკოლამსკის № 18 ტრესტის მუშაობის შესახებ. 15.25 — ფილმ-ბალეტი. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები. ა. სევიდოვი (ფორტეპიანო). 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15; 23.15 და 0.50 — ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. 22.00 — „ვრემია". 23.00 — მხატვრული ფილმი „ივანეს კატარღა". 0.40 — ახალი ამბები.

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14
ტელეფონები:
ცნობებისათვის — 93-95-54,
მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

საკორესპონდენტო პუნქტები:
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 5-56-36; თელავი—3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 25-82. სიღნაღი — 3-20-77.